პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კაპ. (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58, ღამის მორიგის 13—80, ექსპედიციის 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელის მომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებანი: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის 18—80.

ხუთშაბათი, 10 ივნისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 130 (1585)

დ ღ ი უ რ ი

ინგლისში ამჟამად 2.720.000 უმუშევარია.
კანტონში აღმოაჩინეს შეთქმულება მთავრობის წინააღმდეგ.
პოლონეთში გლეხთა მღელვარება ფართო ხასიათს იღებს.
საფრანგეთში შესაძლებლად სთვლიან [illegible] გადადგომას.
სპარსეთში ჯერ არ შეუდგენიათ თავ[illegible].
რუმინეთში გლეხებსა და ჯარებს შორის შეტაკება ხდება.
საფრანგეთ-ესპანეთი შეთანხმდნენ მაროკოს საკითხში.
მოსკოვში თავი მოიკლა მწერალმა ა. სობოლმა.

ინგლისის გაფიცვა და პოლონეთის ამბები

ამხ. სტალინის მოხსენება თბილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში 1926 წ. 8 ივნისს

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ გადავიდე ინგლისის გაფიცვასთან დაკავშირებულ საქმეების და პოლონეთის ამბების მიმოხილვაზე, რომელსაც, თუმცა ამ კრების თავმჯდომარემ, ამხ. ჩხეიძემ კეთილ ინება და მოხსენება უწოდა, მაგრამ ნამდვილად უფრო მართებული იქნება მოკლე ცნობა დავარქვათ.

1. რატომ დაიწყო ინგლისში გაფიცვა?

პირველი კითხვა: რა მიზეზებმა გამოიწვიეს გაფიცვა ინგლისში? როგორ მოხდა, რომ ინგლისი, ეს ქვეყანა კაპიტალისტური ძლიერებისა და უმაგალითო კომპრომისებისა, ბოლო დროს უდიდეს სოციალურ კონფლიქტების ასპარეზად გადაიქცა? როგორ მოხდა, რომ „დიდი ინგლისი", „ზღვათა მფლობელი" საყოველთაო „ბოლშევიკური" გაფიცვის ქვეყნად იქცა?

მე მინდა აღვნიშნო რამოდენიმე გარემოება, რომელთაც აუცილებელი გახადეს საყოველთაო გაფიცვა ინგლისში. ჯერ კიდევ დრო არ არის, რომ ამ კითხვას ამომწურავი პასუხი გავცეთ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ ზოგიერთი გადამწყვეტი მოვლენა აღვნიშნოთ, რომელთაც გაფიცვის აუცილებლობა გამოიწვიეს. ამ მოვლენებს შორის განსაკუთრებით ოთხი უმთავრესი გარემოება უნდა აღინიშნოს.

პირველი. წინათ ინგლისს ეჭირა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის მონოპოლიური მდგომარეობა. როგორც უზარმაზარ კოლონიებისა და სანიმუშო მრეწველობის მფლობელს, მას შეეძლო „მსოფლიო ქარხნის" როლი ეთამაშა და უდიდესი ზემოგება მიეღო. ეს იყო „მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის" პერიოდი ინგლისისათვის. კაპიტალი ზემოგებას ღებულობდა, ნამცეცები მუშათა კლასის კალთაში სცვიოდა, კაპიტალი ნელ-ნელა აშინაურებდა და ჰგეშავდა ინგლისის მუშათა მოძრაობის ბელადებს, ხოლო შრომისა და კაპიტალის კონფლიქტები ჩვეულებრივ კომპრომისების შემწეობით სწყდებოდა. მაგრამ მსოფლიო კაპიტალიზმის შემდგომმა განვითარებამ, განსაკუთრებით გერმანიის, ამერიკის და ნაწილობრივ იაპონიის გაძლიერებამ, მათმა გამოსვლამ საერთაშორისო ბაზარზე ინგლისის კონკურენტების როლში, საფუძვლიანად შეარყია ინგლისის მონოპოლიური მდგომარეობა. ომმა და ომის მომდევნო კრიზისმა საბოლოოდ დასცეს ინგლისის მონოპოლიური მდგომარეობა. ზემოგება შემცირდა. იკლო აგრეთვე ნამცეცებმა, რომელიც წინათ ინგლისის მუშათა ბელადების კალთებში სცვიოდა. გახშირდა ლაპარაკი, რომ ინგლისის მუშათა კლასის საცხოვრებელი დონე უნდა შეიზღუდოს. [illegible] ხანა შეტაკებების, ლოკაუტების და გაფიცვების ხანამ შესცვალა. ინგლისელი მუშა გამემარცხენების გზას დაადგა, გახშირდა ბოლშევიკური მეთოდის, კაპიტალთან უშუალო ბრძოლის მეთოდის გამოყენება.

ადვილი გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ინგლისელი მემადნეები უპასუხოთ ვერ დასტოვებდნენ მაღაროების პატრონების ტლანქ შეძახებას, ლოკაუტის გამოცხადების მუქარას მათ მხრივ.

მეორე. მეორე გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ბაზრის ურთიერთობა აღსდგა და ამის გამო გამწვავდა კაპიტალისტურ ჯგუფების ბრძოლა ბაზრებისათვის. ომის მომდევნო კრიზისისთვის დამახასიათებელია ის, რომ მან გასწყვიტა საერთაშორისო ბაზრის თითქმის ყველა კავშირები კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და ერთგვარი ქაოსი დაამყარა. ახლა ეს ქაოსი, კაპიტალის დროებითი სტაბილიზაციის გამო, იფანტება და საერთაშორისო ბაზრის ძველი ურთიერთობა ნელ-ნელა მყარდება და თუ რამდენიმე წლის წინათ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ფაბრიკები და ქარხნები უნდა აღსდგეს და მუშები კაპიტალისათვის უნდა ამუშავდნენო, ეხლა კითხვა ბაზრებისა და ნედლი მასალის უზრუნველყოფას ეხება უკვე აღდგენილი ფაბრიკებისა და ქარხნებისთვის. ამ გარემოებამ ბრძოლა ბაზრების მოსაპოებლად ხელახლა გაამძაფრა; ამ ბრძოლაში ის კაპიტალისტური ჯგუფი და კაპიტალისტური სახელმწიფო გაიმარჯვებს, რომელსაც უფრო მაღალი ტეხნიკა აქვს და უფრო იაფფასიანი საქონლის მიწოდება შეუძლია. ბაზარზე კი დღეს ახალი ძალები გამოვიდნენ: ამერიკა, საფრანგეთი; იაპონია, გერმანია, ინგლისის დომინიონები, ინგლისის კოლონიები, რომელთაც ომის დროს თავიანთი მრეწველობა განავითარეს და ახლა ბაზრებისათვის იბრძვიან. ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ მოგების ძველი გზით გამოწოვა საზღვარგარეთის ბაზრებიდან, რაც ინგლისს ძველი დროიდან სჩვევია, ახლა შეუძლებელი გახდა. ძველ კოლონიურ მეთოდს, რომლის შემწეობით ინგლისი მონოპოლიურად სძარცვავდა ბაზრებსა და ნედლი მასალის მიმწოდებლებს, ადგილი უნდა დაეთმო ახალი მეთოდისათვის, რომლის შემწეობით ბაზრის დაპყრობა იაფფასიანი საქონლით ხდება. აქედან წარმოსდგება ინგლისის კაპიტალის მისწრაფება, რომ წარმოება შეამციროს, ან უკიდურეს შემთხვევაში ის ანაზდეულათ აღარ გააფართოვოს. აქედან წარმოსდგება ინგლისის მრავალრიცხოვანი უმუშევართა არმია, როგორც უკანასკნელი წლების მუდმივი მოვლენა. აქედან წარმოსდგება აგრეთვე უმუშევრობის მუქარა, რომელიც ნერვიულ განწყობილებას ჰქმნის ინგლისელ მუშებში და მათ აყენებს ბრძოლის გუნებაზე. ბოლოს ამითვე აიხსნება ელვისებური გავლენა, რომელიც საზოგადოთ მუშებზე და განსაკუთრებით მემაღაროებზე ლოკაუტის მუქარამ მოახდინა.

მესამე. მესამე გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისის კაპიტალი ცდილობს მიაღწიოს ინგლისის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების დაკლებას და საქონლის გაიაფებას ინგლისის მუშათა კლასის ინტერესების ხარჯზე. ის ფაქტი, რომ მთავარი იერიშების ობიექტებათ ამ შემთხვევაში მემაღაროები შეიქნენ, ეს ფაქტი არ შეიძლება შემთხვევითად ჩავსთვალოთ. ინგლისის კაპიტალი მემაღაროებს თავს დაესხა არა მარტო იმიტომ, რომ ნახშირის მრეწველობა ტეხნიკურათ ცუდათ არის მოწყობილი და მას ესაჭიროება „რაციონალიზაცია", არამედ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მემაღაროები ყოველთვის იყვნენ და აქამდის დარჩენ ინგლისის პროლეტარიატის მოწინავე რაზმათ. ამ მოწინავე რაზმის დამორჩილება, სამუშაო ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის გადიდება იმისათვის, რომ ამ უმთავრეს რაზმის დამარცხების შემდეგ ანგარიში გაუსწოროს მუშათა კლასის სხვა რაზმებსაც,—აი როგორი იყო ინგლისის კაპიტალის სტრატეგია. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული გმირობა, რომელიც ინგლისის მემაღაროებმა გაფიცვის დროს გამოიჩინეს.

მეოთხე. მეოთხე გარემოება—ეს არის კონსერვატიული პარტიის ბატონობა ინგლისში, პარტიის, რომელიც მუშათა კლასის უბოროტესი მტერია. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყოველი სხვა ბურჟუაზიული მთავრობა არსებითად ისევე მოიქცეოდა მუშათა კლასის მოძრაობის [illegible] ტორების მთავრობა მოიქცა. მაგრამ ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ მუშათა კლასის მხოლოდ ასეთ დაუძინებელ მტრებს, როგორიც არიან კონსერვატორები, შეეძლოთ გადაედგათ ისეთი თავხედური და უმაგალითო ნაბიჯი ინგლისის მუშათა კლასის წინააღმდეგ, როგორიც გადასდგეს კონსერვატორებმა, რომელნიც მუშათა კლასს დაემუქრენ ლოკაუტით. ეხლა დამტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს, რომ ინგლისის კონსერვატიულ პარტიას არამც თუ უნდოდა ლოკაუტი და გაფიცვა, არამედ ის ამისათვის მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა. მან დროებით გადასდო მემაღაროებზე თავდასხმა წარსული წლის ივლისში, რადგან მომენტი „არახელსაყრელად" მიაჩნდა. მაგრამ ის ამ ხნის განმავლობაში ემზადებოდა, აგროვებდა ნახშირის მარაგს, აწყობდა შტრეიკბრეხერების ორგანიზაციებს და ამზადებდა საზოგადოებრივ აზრს იმისთვის, რომ იერიში მიეტანა მემაღაროებზე მიმდინარე წლის აპრილში. მხოლოდ კონსერვატორების პარტიას შეეძლო ასეთი „სახელმწიფოებრივი" მნიშვნელობის ნაბიჯის გადადგმა. კონსერვატორების პარტიამ მთავრობა ხელში ჩაიგდო ყალბი დოკუმენტების და პროვოკაციის საშუალებით. თავისი არსებობის პირველ დღესვე თავს დაესხა ეგვიპტეს, გამოიყენა რა პროვოკაციის ყველა საშუალებები. ის უკვე ერთი წელია ბრძოლას აწარმოებს ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ, მიმართავს რა ძარცვა-გლეჯის და ჩაგვრის კოლონიალურ მეთოდების ნაცად საშუალებებს. ის არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ შეუძლებელი გახადოს საბჭოთა კავშირის ხალხთა დაახლოება დიდი ბრიტანეთის ხალხებთან, ამზადებს რა ამავე დროს შესაძლო ინტერვენციის ელემენტებს. ეხლა ის თავს ესხმის თავის საკუთარი ქვეყნის მუშათა კლასს. ამ თავდასხმას ის ზედმიწევნით დაბეჯითებით ამზადებდა მთელი წლის განმავლობაში. კონსერვატორების პარტიას არ შეუძლია იცხოვროს კონფლიქტების გარეშე ინგლისის შიგნით და მის გარეშე. განა გასაკვირალია ამის შემდეგ ის, რომ ინგლისის მუშებმა იერიშზე იერიშითვე უპასუხეს.

ასეთია უმთავრესად ის გარემოება, რომელთაც გამოიწვიეს გაფიცვა ინგლისში.

2. რატომ დამარცხდა საყოველთაო გაფიცვა ინგლისში?

ინგლისის საყოველთაო გაფიცვა დამარცხდა მთელი რიგი მიზეზების გამო, რომელთაგან, ყოველ შემთხვევაში, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

პირველი. ინგლისის კაპიტალისტები და კონსერვატორების პარტია, როგორც ეს გამოააშკარავა გაფიცვის მსვლელობამ, აღმოჩნდენ უფრო გამოცდილი, დარაზმული, გაბედული და ამიტომ უფრო ძლიერიც, ვიდრე ინგლისის მუშები და მათი ხელმძღვანელები გენერალური საბჭოს და ეგრედ წოდებული მუშათა პარტიის სახით.

მეორე. ინგლისის კაპიტალისტები და კონსერვატორების პარტია გრანდიოზულ სოციალურ კონფლიქტს შეხვდენ უაღრესად მომზადებულნი და ყოველმხრივ აღჭურვილნი, მაშინ, როცა მუშათა მოძრაობის ლიდერებს მაღაროთა მფლობელების მიერ გამოცხადებული ლოკაუტი თავს დაატყდა მოულოდნელად ისე, რომ მათ სამისოდ არ უწარმოებიათ არავითარი მოსამზადებელი მუშაობა და, წარმოიდგინეთ, კონფლიქტამდე ერთი კვირით ადრე იმედსაც გამოსთქვამდენ, რომ კონფლიქტი არ იქნებაო.

მესამე. კაპიტალისტების შტაბი—კონსერვატორების პარტია ბრძოლას აწარმოებდა შემჭიდროებულად და ორგანიზაციულად, და იერიშები მიჰქონდა ბრძოლის გადამწყვეტ პუნქტებზე მაშინ, როცა მუშათა მოძრაობის შტაბი — პროფკავშირთა გენერალური საბჭო და მისი „პოლიტიკური კომისია",—მუშათა პარტია აღმოჩნდა შიგნით დაშლილი და დემორალიზაციაქმნილი, რადგან ამ შტაბის ხელმძღვანელი მთავარი პირები იყვნენ მაღაროს მუშების და ინგლისის მთელი მუშათა კლასის ან პირდაპირი გამცემლები (ტომასი, ჰენდერსონი, მაკდონალდი და კომპ.), ან ამ გამცემლების უხასიათო თანამგზავრები, რომელთაც შეეშინდათ ბრძოლის და უფრო მეტად მუშათა კლასის გამარჯვების (პერსელი, ხიკსი და სხვა).

შეიძლება გვკითხონ: როგორ მოხდა, რომ ინგლისის ძლევამოსილ პროლეტარიატს, რომელიც ბრძოლას შეუდარებელი გმირობით აწარმოებდა, აღმოაჩნდა ან მოსყიდული, ან მხდალი და ან უხასიათო ბელადები? ეს არის დიდი მნიშვნელობის საკითხი: ასეთი ბელადები ერთბაშად არ წარმოშობილან. ისინი აღმოცენდნენ ქვევიდან—მუშათა მოძრაობიდან, მათ გაიარეს მუშათა ლიდერების ცნობილი სკოლა ინგლისში, სკოლა იმ პერიოდის, როცა ზედმეტი მოგებით გასუქებულ ინგლისის კაპიტალს შეეძლო დაესაჩუქრებინა და ამ საშუალებით გამოეყენებინა მუშათა ლიდერები ინგლისის მუშათა კლასთან კომპრომისების მისაღწევად. ამასთან ერთად ყოფა-ცხოვრებით და მდგომარეობით უახლოვდებოდენ რა ბურჟუაზიას, მუშათა კლასის ეს ლიდერები ამ გარემოების წყალობით თანდათან შორდებოდენ მუშათა მასებს, ზურგს აქცევდენ მათ და ჰკარგავდენ მათი [illegible] უნარს. ესენი მუშათა კლასის ისეთი ბელადები არიან, რომელნიც დაუბრმავებია კაპიტალიზმის ბრწყინვალებას, რომელნიც დაუმორჩილებია კაპიტალის სიმძლავრეს და რომელნიც დღე მუდამ ოცნებობენ [illegible], რომ [illegible] შეერგონ „მაღალ წრეში", შეუერთდენ „შეძლებულ პირებს", ეჭვს გარეშეა, ეს, უკაცრავად პასუხია, ბელადები, წარმოადგენენ წარსულის ნაშთს, რომელიც უკვე აღარ შეეფერება ახალ გარემოებას. ეჭვს გარეშეა, რომ შემდეგში ისინი ადგილს დაუთმობენ ახალ ბელადებს, რომელნიც უფრო შესაფერი იქნებიან ინგლისის პროლეტარიატის გმირობის და მებრძოლი სულისათვის. მართალი იყო ენგელსი, როცა ასეთ ბელადებს მუშათა კლასის „გაბურჟუებულ" ბელადებს უწოდებდა.

მეოთხე. ინგლისის კაპიტალიზმის შტაბს—კონსერვატორების პარტიას შეგნებული ჰქონდა, რომ ინგლისის მუშების გრანდიოზული გაფიცვა არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი, რომ ასეთი გაფიცვის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის საშუალებით, რომ გაფიცვის დასამარცხებლად აუცილებელია მეფის ავტორიტეტის, თემთა პალატის და კონსტიტუციის ავტორიტეტის მოშველება; რომ ჯარების მობილიზაციის და საგანგებო წესების გამოცხადების გარეშე შეუძლებელია გაფიცვის ლიკვიდაცია,—მაშინ, როცა ეს უბრალო ჭეშმარიტება არ ესმოდა ინგლისის მუშათა მოძრაობის შტაბს—გენერალურ საბჭოს, ან არ სურდა, ან კიდევ ეშინოდა გაეგო ეს ჭეშმარიტება; რაკი იგი არწმუნებდა ყველას და თვითეულს, თითქოს საყოველთაო გაფიცვა არის მხოლოდ ეკონომიური ხასიათის ღონისძიება, რომ მას არ სწადია და არც განზრახვა აქვს ბრძოლას პოლიტიკური ხასიათი მისცეს, რომ მას ფიქრადაც არ აქვს შეუტიოს ინგლისის კაპიტალის გენერალურ შტაბს—კონსერვატორების პარტიას, რომ მას—გენერალურ საბჭოს განზრახვა არა აქვს ძალაუფლების საკითხი დღის წესრიგში დასვას. ასეთი მოქმედებით გენერალურმა საბჭომ გაფიცვა გასწირა აუცილებელი დაღუპვისათვის, რადგან, როგორც ისტორია გვასწავლის, საყოველთაო გაფიცვა, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე არ გადადის, აუცილებლად უნდა დამარცხდეს.

მეხუთე. ინგლისელ კაპიტალისტების შტაბს ესმოდა, რომ ინგლისის გაფიცვისათვის ინტერნაციონალური დახმარების გაწევა საფრთხეში ჩააგდებდა ბურჟუაზიის არსებას, მაშინ როცა გენერალურ საბჭოს არ ესმოდა, ან ის თავს იკატუნებდა, თითქოს არ ესმოდა, რომ ინგლისის მუშების გაფიცვა ნაყოფს გამოიღებდა მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის შემწეობით. აქედან გამომდინარეობს გენერალურ საბჭოს მიერ საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოების მუშებისაგან ფინანსიური დახმარების მიღებაზე უარის თქმა. ისეთ გრანდიოზულ გაფიცვას, როგორიც ინგლისის საყოველთაო გაფიცვა იყო, შეეძლო საგრძნობი შედეგების მოტანა, ყოველ შემთხვევაში ორი მთავარი პირობით: თუ გაფიცვა გადაყვანილი იქნებოდა პოლიტიკურ რელსებზე და ის იქცეოდა ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტარების ბრძოლად კაპიტალის წინააღმდეგ. მაგრამ ინგლისის პროფკავშირების გენერალურმა საბჭომ გამოიჩინა განსაკუთრებული, მისთვის ჩვეული სიბრძნე და უარი სთქვა ორივე ამ პირობაზე, რითაც წინასწარ გადასწყვიტა საყოველთაო გაფიცვის ბედი.

მეექვსე. ეჭვს გარეშეა, რომ არა ნაკლები როლი ითამაშა მეორე ინტერნაციონალის და პროფკავშირთა ამსტერდამის გაერთიანების უაღრესად ორჭოფულმა საქციელმა ინგლისის გაფიცვის დახმარების საქმეში. სოციალ-დემოკრატების ამ ორგანიზაციების პლატონიური გადაწყვეტილებები გაფიცვისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ ფაქტიურად ნიშნავდა უარის თქმას ყოველგვარ ფინანსიურ დახმარებაზე, ვინაიდან მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ორჭოფული საქციელით აიხსნება ის ფაქტი, რომ ევროპის და ამერიკის პროფკავშირების მიერ ერთად აღმოჩენილი დახმარება არ აღემატება ერთ მერვედს იმ ფინანსიური დახმარებისას, რომელიც საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა აღმოუჩინეს თავის ინგლისელ ამხანაგებს. მე უკვე არ ვილაპარაკებ სხვა სახის დახმარებაზე, როგორიც არის ქვა-ნახშირის მიწოდების შეწყვეტა; აქ პროფკავშირების ამსტერდამის გაერთიანება სავსებით შტრეიკბრეხერულათ იქცევა.

მეშვიდე. ეჭვს გარეშეა, აგრეთვე, რომ საყოველთაო გაფიცვის ჩაშლის საქმეში არანაკლები როლი ითამაშა ინგლისის კომუნისტური პარტიის სისუსტემ. უნდა ითქვას, რომ ინგლისის კომუნისტური პარტია კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ - ერთ სა[illegible] და აღინიშნოს, რომ მისი პოზიცია ინგლისის გაფიცვაში თავიდან ბოლომდე სწორი იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ავტორიტეტი ინგლისელ მუშებს შორის ჯერ კიდევ სუსტია. და ამ გარემოებას არ შეეძლო საბედისწერო როლი არ ეთამაშა საყოველთაო გაფიცვის მსვლელობაში.

ასეთია, ამხანაგებო, ის პირობები, ყოველ შემთხვევაში ის მთავარი პირობები, რომელთა განჭვრეტა ჩვენ ამჟამად შეგვიძლია და რომლებითაც აიხსნება საყოველთაო გაფიცვის არასასურველად დამთავრება ინგლისში.

3. საყოველთაო გაფიცვის გაკვეთილები

როგორია ინგლისის საყოველთაო გაფიცვის გაკვეთილები, ყოველ შემთხვევაში მთავარი მათგანი? ეს გაკვეთილები შემდეგში მდგომარეობენ:

პირველი. ინგლისის ქვანახშირის მრეწველობაში შექმნილი კრიზისი და მასთან დაკავშირებული საყოველთაო გაფიცვა პირდაპირ აყენებს საკითხს იარაღების და საწარმოო საშუალებების სოციალიზაციის შესახებ ქვანახშირის მრეწველობის დარგში მუშათა კონტროლის შემოღებასთან ერთად. ეს არის სოციალიზმის დაპყრობის საკითხი. უდავოა, რომ ქვანახშირის მრეწველობაში შექმნილ კრიზისის საფუძვლიანად გადაჭრა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომელსაც ინგლისის კომუნისტური პარტია იცავს. ქვანახშირის მრეწველობის კრიზისი და საყოველთაო გაფიცვა ინგლისის მუშათა კლასის წინაშე პირდაპირ აყენებს სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელების საკითხს.

მეორე. ინგლისის მუშათა კლასს არ შეეძლო თავის თავზე არ განეცადა, რომ მისი მიზნის განხორციელებას წინ ეღობება კაპიტალისტების პოლიტიკური ხელისუფლება, ამ შემთხვევაში კონსერვატორების პარტია და მისი მთავრობა. თუ პროფკავშირების გენერალური საბჭო ჭირივით გაურბოდა იმის თქმას, რომ ეკონომიურ ბრძოლას განუყრელი კავშირი აქვს პოლიტიკურ ბრძოლასთან, სამაგიეროდ ინგლისელ მუშებს ეხლა არ შეუძლიათ არ შეიგნონ, რომ მათ მძიმე ბრძოლაში შეკავშირებული კაპიტალის წინააღმდეგ ხელისუფლების საკითხი ამჟამად ძირითად საკითხს წარმოადგენს, რომ ხელისუფლების საკითხის გადაუჭრელად შეუძლებელია გადაიჭრას როგორც ქვანახშირის მრეწველობის, ისე საერთოდ ინგლისის მთელი მრეწველობის კრიზისი.

მესამე. საყოველთაო გაფიცვის მსვლელობა და დაბოლოვება აუცილებლად დაარწმუნებს ინგლისის მუშათა კლასს, იმაში, რომ პარლამენტი, კონსტიტუცია, მეფე და ბურჟუაზიული ხელისუფლების დანარჩენი ატრიბუტები წარმოადგენენ მხოლოდ კაპიტალისტების კლასის ფარს, მიმართულს პროლეტარიატის წინააღმდეგ. გაფიცვამ ფეტიშის და ხელშეუხები სიწმინდის სამოსელი ჩამოაცალა როგორც პარლამენტს, ისე კონსტიტუციას. მუშები შეიგნებენ, რომ ეხლანდელი კონსტიტუცია არის ბურჟუაზიის იარაღი, რომელიც მუშების წინააღმდეგ არის მიმართული. მუშებს არ შეუძლიათ არ შეიგნონ, რომ მათაც ესაჭიროებათ საკუთარი მუშური კონსტიტუცია, როგორც იარაღი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ ამ ჭეშმარიტების შეთვისება ინგლისის მუშათა კლასისათვის უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს.

მეოთხე. გაფიცვის მსვლელობა და დასასრული უსათუოდ დაარწმუნებს ინგლისის მუშათა მასებს ძველი ხელმძღვანელების უვარგისობაში, დაარწმუნებს, რომ გამოუსადეგი არიან ძველი ბელადები, რომელნიც ინგლისის ძველი კომპრომისული პოლიტიკის სკოლაში აღიზარდენ. მათ არ შეუძლიათ არ შეიგნონ, რომ ძველი ბელადები შეცვლილი უნდა იქნენ ახალი, რევოლიუციონერი ბელადებით.

მეხუთე. ინგლისელ მუშებს ამჟამად არ შეუძლიათ არ ესმოდეთ, რომ ინგლისის სამთამადნო მუშები ინგლისის მუშათა კლასის მოწინავე რაზმებს წარმოადგენენ, რომ ქვანახშირის მრეწველობაში გამოცხადებული გაფიცვის მხარის დაჭერა და მისი გამარჯვების უზრუნველყოფა ინგლისის მთელი მუშათა კლასის საქმეს წარმოადგენს. გაფიცვის მთელი მსვლელობა ინგლისის მუშათა კლასს უკარნახებს ამ გაკვეთილის აბსოლიუტურ გარდაუვალობას.

მეექვსე. საყოველთაო გაფიცვის მძიმე წუთებში, როცა ხდებოდა სხვადასხვა პარტიების პლატფორმების და პროგრამების შემოწმება საქმით, ინგლისელ მუშებს არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ ერთად-ერთ პარტიას, რომელსაც ბოლომდე მხნედ და შეუპოვრად შეუძლია მუშათა კლასის ინტერესების დაცვა, კომუნისტების პარტია წარმოადგენს.

ასეთია საერთოდ ინგლისის საყოველთაო გაფიცვის მთავარი გაკვეთილები.

4. ზოგიერთი დასკვნები

გადავდივარ ზოგიერთ დასკვნებზე, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

პირველი საკითხი—ეს არის საკითხი კაპიტალის სტაბილიზაციის შესახებ. ინგლისში მომხდარმა გაფიცვამ სავსებით გაამართლა კომუნისტური ინტერნაციონალის დებულება, რომ სტაბილიზაცია დროებითია და მერყევი. ინგლისის კაპიტალის თავდასხმა ინგლისის სამთამადნო მუშებზე წარმოადგენს დროებითი, მერყევი სტაბილიზაციის მტკიცე და მუდმივ სტაბილიზაციად გადაქცევის ცდას. ეს ცდა არ დ[illegible] და [illegible] შეიძლებოდა დამთავრებულიყო გამარჯვებით. ინგლისელმა მუშებმა, რომლებმაც ამ ცდას გრანდიოზული გაფიცვით უპასუხეს, მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოს დაანახვეს, რომ ომის შემდგომი პერიოდის პირობებში კაპიტალიზმის მტკიცე სტაბილიზაციის დამყარება შეუძლებელია, რომ ისეთ ექსპერიმენტებს, როგორიც ინგლისში მოახდინეს, შეუძლია კაპიტალიზმის საფუძვლების შერყევა. მაგრამ თუ შემცდარია დებულება კაპიტალიზმის სტაბილიზაციის სიმტკიცის შესახებ, ამდენათვე შემცდა[illegible] საწინააღმდეგო დებულება, რომ სტაბილიზაცია დამთავრდა, რომ მას ბოლო მოეღო და ჩვენ ამ ჟამად თითქოს რევოლიუციონური ქარიშხალის უაღრესი გამძაფრების პერიოდში შევდივართ. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია დროებითი და მერყევია, მაგრამ სტაბილიზაცია ჯერ-ჯერობით მაინც რჩება.

შემდეგ, სწორედ იმიტომ, რომ ეხლანდელი დროებითი და მერყევი სტაბილიზაცია ჯერ კიდევ რჩება, კაპიტალი ეცდება მომავალშიაც თავს დაესხას მუშათა კლასს. რასაკვირველია, ინგლისის გაფიცვის გაკვეთილმა მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოს უნდა დაანახვოს, თუ რამდენათ საბედისწეროა კაპიტალის არსებობისათვის ისეთი ექსპერიმენტი, როგორიც კონსერვატორების პარტიამ მოახდინა ინგლისში. რომ ექსპერიმენტი ამაოდ არ ჩაივლის კონსერვატორების პარტიისათვის, ეს ეჭვს გარეშეა. ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ ამ გაკვეთილებს ყველა ქვეყნის კაპიტალისტები გაითვალისწინებენ. მიუხედავათ ამისა, კაპიტალი მაინც შეეცდება ახალი თავდასხმის მოხდენას მუშათა კლასზე, ვინაიდან ის თავს მტკიცედ ვერ გრძნობს და არ შეიძლება არ გრძნობდეს უფრო მოღონიერების აუცილებლობას. მუშათა კლასის და კომუნისტურ პარტიების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ძალები მოამზადონ მუშათა კლასზე ასეთი თავდასხმების მოსაგერიებლად.

კომუნისტურ პარტიების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მათ მომავალშიაც უნდა განაგრძონ მუშების ერთიანი ფრონტის განმტკიცება და ყოველივე ძალ-ღონე იხმარონ იმისათვის, რომ კაპიტალისტების იერიშები გადააქციონ მუშათა კლასის კონტრ-იერიშად, მუშათა კლასის რევოლიუციონურ შეტევად, მუშათა კლასის ბრძოლად პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლათ და კაპიტალიზმის ლიკვიდაციისათვის.

დაბოლოს, ამ მორიგი ამოცანების შესასრულებლად, ინგლისის მუშათა კლასი პირველყოვლისა ეხლანდელ ხელმძღვანელებისგან უნდა განთავისუფლდეს. არ შეიძლება ომის წარმოება კაპიტალისტების წინააღმდეგ ისეთი ბელადების ხელმძღვანელობით, როგორიც არიან ტომასები და მაკდონალდები. არ შეიძლება გამარჯვების იმედი გვქონდეს, როცა ზურგში გყავთ ისეთი მოღალატეები, როგორიცაა ჰენდერსონი და კლაინსი. ინგლისის მუშათა კლასმა უნდა ისწავლოს ასეთი ლიდერების გაპანღურება, რადგან ორში ერთი: ან ინგლისის მუშათა კლასი ისწავლის ტომასების და მაკდონალდების გაპანღურებას, ან ის ვერ ეღირსება თავის გამარჯვებას.

ასეთია, ამხანაგებო, ის დასკვნები, რომლებიც თავის თავად გამომდინარეობენ.

ეხლა ნება მომეცით გადავიდე პოლონეთის ამბებზე.

5 პოლონეთის უკანასკნელი ამბების შესახებ

არსებობს აზრი, რომ მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს პილსუდსკი, არის რევოლიუციონური მოძრაობა. ამბობენ, რომ პილსუდსკი იცავს პოლონეთის რევოლიუციონურ საქმეს, იცავს გლეხობას მემამულეების წინააღმდეგ, —მუშებს კაპიტალისტების წინააღმდეგ, იცავს პოლონეთის დაჩაგრულ ეროვნებათა თავისუფლებას პოლონეთის შოვინიზმის და ფაშიზმის წინააღმდეგ. ამბობენ, რომ ამის გამო პილსუდსკი ღირსია, რომ მას მხარი დაუჭირონ კომუნისტებმა.

ეს, ამხანაგებო, სრულებით არ არის სწორი.

ნამდვილათ პოლონეთში ეხლა სწარმოებს ბრძოლა ბურჟუაზიის ორ ფრაქციას შორის, მსხვილ-ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ფრაქციებს შორის, ბრძოლა, რომლის მიზანია ბურჟუაზიულ სახელმწიფოს გამაგრება და [illegible] ხების ინტერესების, დაჩაგრულ ეროვნებათა ინტერესების დაცვა.

საქმე იმაშია, რომ პოლონეთის სახელმწიფო გახრწნის პერიოდში იმყოფება. ფინანსების მდგომარეობა კატასტროფიულია. ზლოტი ეცემა. მრეწველობა დამბლადაცემულია. ნაციონალური უმცირესობანი საშინლად იჩაგრებიან. ზევით, ხელმძღვანელ ფენებთან დაახლოებულ წრეებში კი გამეფებულია მტაცებლობის ვაკხანალია, როგორც ამას აღნიშნავენ სეიმის ყველა და ყოველგვარ ფრაქციების წარმომადგენლები. ამასთან დაკავშირებით ბურჟუაზიული კლასების წინაშე სდგას დილემა: ან სახელმწიფოს გახრწნა მივა იქამდის, რომ თვალებს აუხელს მუშებს და გლეხებს და დაანახვებს მათ მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ რევოლიუციონური ხელისუფლების შექმნის აუცილებლობას, ან ბურჟუაზიამ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა შეაჩეროს ეს ნგრევა, უნდა შესწყვიტოს მტაცებლობის ვაკხანალია და, ამგვარად, თავიდან აიცილოს, სანამ გვიან არ არის, მუშების და გლეხების რევოლიუციონური მოძრაობის აფეთქება. ეხლა საქმე იმაშია, თუ ბურჟუაზიის რომელმა ფრაქციამ უნდა მოჰკიდოს ხელი პოლონეთის სახელმწიფოს სტაბილიზაციას, პილსუდსკის ფრაქციამ თუ პოზნანელთა ფრაქციამ? ეჭვს გარეშეა, რომ მუშები და გლეხები პილსუდსკის ბრძოლას უკავშირებენ მისწრაფებას თავისი მდგომარეობის ძირითად გაუმჯობესებისაკენ. აშკარაა, რომ სწორედ ამიტომ უჭერენ ასე თუ ისე მხარს მუშათა კლასის და გლეხობის ზედა ფენები წვრილ-ბურჟუაზიულ და წვრილ-მემამულეთა ფენების წარმომადგენელ პილსუდსკის ბრძოლას პოზნანელების წინააღმდეგ, რომელნიც არიან მსხვილ კაპიტალისტების და მემამულეების წარმომადგენლები. მაგრამ ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ პოლონეთის მშრომელ კლასთა ზოგიერთ ფენების მისწრაფებებს ამჟამად იყენებენ არა რევოლიუციისათვის, არამედ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და ბურჟუაზიულ წესწყობილების განმტკიცებისათვის.

აქ, რასაკვირველია, როლს თამაშობენ ზოგიერთი გარეშე ფაქტორებიც. პოლონეთი არ არის დიდი სახელმწიფო. პოლონეთი, ბურჟუაზიული პოლონეთი, ფინანსიურად დაკავშირებულია ანტანტის განსაზღვრულ წრეებთან. მისთვის, ბურჟუაზიული პოლონეთისათვის, არსებულ კრიტიკულ საფინანსო მდგომარეობაში აუცილებლად საჭიროა საგარეო სესხები. მაგრამ, ეგრედ წოდებული დიდი სახელმწიფოები სესხს ვერ მისცემენ ისეთ სახელმწიფოს, რომლის წრეები ერთხმად აღიარებენ, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის მთელ ხაზზე გამეფებულია მტაცებლობის ვაკხანალია. სესხის მიღებისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა სახელმწიფო მმართვა-გამგეობის „გაუმჯობესება", მტაცებლობის ვაკხანალიის შეწყვეტა, ერთგვარი გარანტიის შექმნა იმისათვის, რომ პროცენტები სესხზე გადახდილ იქნება და სხვ. აქედან წარმოსდგება პოლონეთის სახელმწიფოს „რაციონალიზაციის" აუცილებლობა.

ასეთია უმთავრესად საშინაო და საგარეო წინასწარი პირობები, რომელნიც განსაზღვრავენ პოლონეთის ორ უმთავრეს ბურჟუაზიულ ფრაქციების ეხლანდელ ბრძოლას.

პოლონეთი ამჟამად ისეთ ძირითად წინააღმდეგობებშია ჩავარდნილი, რომლებიც, თუ კიდევ განვითარდენ, აუცილებლად შექმნიან პოლონეთში რევოლიუციონურ სიტუაციას, ეს წინააღმდეგობანი სამი ძირითადი ხაზით მიმდინარეობენ: მუშათა საკითხის ხაზით, გლეხთა საკითხის ხაზით, ეროვნულ საკითხის ხაზით. ყველა ეს წინააღმდეგობები შეიძლება მალე გაიშალონ და გამოიწვიონ აფეთქება, თუ პოლონეთი წავა ომის ავანტიურაზე, თუ იგი ვერ შესძლებს მის ირგვლივ მყოფ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამყარებას. შეუძლია თუ არა პილსუდსკის, შეუძლია თუ არა პილსუდსკის ჭრელფეროვან ჯგუფებს ამ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა? შეუძლია თუ არა ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ჯგუფს მუშათა საკითხის გადაწყვეტა? არა, არ შეუძლია, ვინაიდან მაშინ მან უნდა მოახდინოს ძირითადი კონფლიქტი კაპიტალისტების კლასთან, რაც მას არ შეუძლია, და არც მოახდენს არავითარ შემთხვევაში, თუ კი მას არ სურს დაჰკარგოს დიდ სახელმწიფოთა მხრივ ფინანსიური დახმარება. შეუძლია თუ არა მას, ამ ჯგუფს, გლეხთა საკითხი გადასწყვიტოს იმგვარად, მაგალითად, რომ ჩამოართვას მიწები მემამულეებს? არა, არ [illegible] არ ჩაიდენს ამას, თუ კი მას არა სურს სრული გახრწნა შეიტანოს პილსუდსკის ჯარის უფროსთა შემადგენლობაში, რომელიც სავსებით წვრილ და საშუალო მემამულეებისაგან შესდგება. შეუძლია თუ არა ამ ჯგუფს გადასწყვიტოს ეროვნული საკითხი პოლონეთში იმგვარად, რომ ეროვნული თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება მიენიჭოს დაჩაგრულ ერებს, უკრაინელებს, ლიტველებს, ბელორუსებს და სხ.? არა, არ შეუძლია და არ იზამს ამას, თუ კი მას არა სურს ყოველგვარი ნდობა დაჰკარგოს იმ დიდ პოლონეთის შოვინისტებისა და ფაშისტების თვალში, რომელიც პილსუდსკის ჯგუფის მორალურ არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

რაღა რჩება ამ შემთხვევაში?

რჩება ერთი: დაამარცხა რა **სამხედრო** მხრივ მსხვილ-ბურჟუაზიის ფრაქცია, დაიმორჩილოს ამავე ფრაქციას **პოლიტიკურად** და კუდში მისდიოს მას, თუ კი, რასაკვირველია, პოლონეთის მუშათა კლასი და პოლონეთის გლეხობის რევოლიუციონური ნაწილი ახლო მომავალში ხელში არ აიღებს რევოლიუციონურ საქმეს პოლონეთის სახელმწიფოს გარდაქმნისა და არ გააგდებს პოლონეთის ბურჟუაზიის ორივე ფარქციას —ფრაქციას პილსუდსკისა და ფრაქციას პოზნანელებისა.

ამასთან ერთად საკითხი სდგება პოლონეთის კომუნისტური პარტიის შესახებ. როგორ მოხდა, რომ მუშებისა და გლეხების მნიშვნელოვან ნაწილის რევოლიუციონურმა უკმაყოფილებამ პოლონეთში პილსუდსკის წისქვილზე დაასხა წყალი და არა პოლონეთის კომუნისტურ პარტიის წისქვილზე?

ეს კი მოხდა სხვათა შორის იმიტომ, რომ პოლონეთის კომუნისტური პარტია სუსტია, უაღრესად სუსტია, რომ მან კიდევ უფრო დაასუსტა თავისი თავი ამ ბრძოლაში თავისი არა სწორი პოზიციით პილსუდსკის ჯარების მიმართ, რომ მან ყოველივე ამის გამო ვერ შესძლო რევოლიუციონურად განწყობილ მასის სათავეში დამდგარიყო. ამას წინად მე წავიკითხე ჩვენს საბჭოთა პრესაში გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრის ამხ. ტელმანის წერილი. ამხ. ტელმანი ამ წერილში ეხება პოლონეთის კომუნისტების პოზიციას, რომლებმაც იმ ჟამად პილსუდსკის ჯარების მხარის დაჭერის ლოზუნგი წამოაყენეს, და აკრიტიკებს ამ პოზიციას, როგორც არა რევოლიუციონურს. მე უნდა ვაღიარო, სამწუხაროდ, რომ ამხ. ტელმანის კრიტიკა სავსებით სწორია. მე უნდა ვაღიარო, ჩვენმა პოლონელმა ამხანაგებმა ამ შემთხვევაში მეტად უხეში შეცდომა დაუშვეს.

აი, ყოველივე ის, რაც მინდოდა მეცნობებია თქვენთვის, ამხანაგებო, ინგლისის საქმეებისა, ინგლისში მომხდარ გაფიცვებისა და პოლონეთის უკანასკნელ ამბების შესახებ (მხურვალე ტაში).

მისალმებანი

ამხ. ძამანაშვილი

ნება მომეცით მხურვალეთ მივესალმო ძვირფასს ამხ. სოსოს—მუშათა კომისიის „ახალგზრდელი"-ს რედაქციის და ახალგზრდების სახელით.

ამხანაგებო! თქვენ იცით, რომ დღევანდელი დღე განსაკუთრებული დღეა. დღემდის ჩვენ არ ვიცოდით რას ფიქრობდა კომპარტია ამ საკითხების შესახებ და რას ფიქრობდა მისი ხელმძღვანელი სოსო. თქვენ იცით, რომ მას ჩვენ შარშან მოკლეთ გავაცანით ის, თუ რა ხდებოდა საქართველოში და, კერძოთ აქ, ჩვენ მთავარ სახელოსნოში, რომელიც, ამხანაგებო, მუდამ იყო რევოლიუციის ლაბორატორია. აი დღეს აქ არის ორი ათასი მუშა ახალგზრდელი, რომელნიც სდგანან კომპარტიის გზაზე და იმ დროშის ქვეშ, რომელიც აქვს კომუნისტურ პარტიას ხელში. ჩვენ დღეს აქედან ვაცხადებთ, რომ დღეს აქ არ არის ის გაუგებრობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, კერძოთ, საქართველოში. დღეს შექმნილი არის მთლიანი ფრონტი, რომელიც თანდათან მტკიცდება და მთელი საქართველოს ხალხი, მისი პროლეტარიატი, მისი გლეხობა უსურვებს გამარჯვებას ძვირფას ხელმძღვანელს და დგება იმ დროშის ქვეშ, რომელიც ამაჟამად მიაქვს მე-3-ე ინტერნაციონალს. გაუმარჯოს იმ ამხანაგ სოსოს, რომელმაც თავის გამჭრიახობით და ენერგიით მიგვიყვანა ამ გამარჯვებამდე. ჩვენ უნდა ვუსურვოთ მას, რომ არა მარტო რუსეთის და საქართველოს ფარგლებში, არამედ მთელ დედამიწაზე აფრიალდეს წითელი დროშა, რომელიც დღეს მიაქვს კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელ ამხ. სოსოს (ტაში, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

თუ მოვიგონებთ წარსულ წლებს, 1917 წლიდან დღემდე, არ ყოფილა შემთხვევა, რომ საერთაშორისო მდგომარეობაზე გაკეთებულიყოს მოხსენება მთავარ სახელოსნოში. ეს პირველი მოვლენაა და ეს ნიშნავს იმას, რომ თბილისის მუშათა კლასის აზრი უნდა ეცნოს მთელ მსოფლიოს მუშათა კლასს.

მე მივესალმები ამხ. სოსოს. უსურვებ, რომ ის კვლავაც მიგვიძღოდეს გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ამხ. სოსოს და მესამე ინტერნაციონალს, რომელიც ხელმძღვანელია მუშათა კლასის წინსვლისა.

ამხ. ლორთქიფანიძე

ამხანაგებო! ჩვენთვის დღეს განსაკუთრებული დღე არის. იმიტომ, რომ ჩვენ გვეწვია ძვირფასი სტუმარი, რომელმაც რევოლიუციის დაწყების დღიდან დღემდე ატარა ის წითელი დროშა, რომელსაც თავიდანვე ეწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

იმ დღიდან მან განიცადა მრავალი ბრძოლა, მრავალმა ყვავ-ყორნებმა გადაუარა ზედ, მაგრამ მან დასძლია ყველა ეს. ჩვენ, [illegible] საქართველოს მუშათა კლასი, ყოველთვის [illegible] არ[illegible] დით რუსეთის ხალხთან ერთად, თვითმპყრობელობის დასანგრევად [illegible] ტატების 50 [illegible] სო პირველ [illegible] ისწინებული იყო, [illegible] რით გამსჭვალული, რათა [illegible] მუშათა კლასს მოპოვებული თავისუფლება არ დაეკარგა, და ეს [illegible] გეზი, მაშინ აღებული, [illegible] დღესაც შერჩა მას და ჩვენ ვამაყობთ, ჩვენ, მთავარი სახელოსნოს მუშები და, განსაკუთრებით, ყოფილი მენშევიკები, რომ ჩვენ[illegible] მსხვერპლმა ტყუილად არ ჩაიარა, და ის [illegible] ბელადი, რომელიც ყოველთვის ხელმძღვანელობდა რევოლიუციას, დღესაც ხელმძღვანელობს, რათა ის დაცული, ფრთაგაშლილი [illegible] სხვა ქვეყნებშიც. აი ამისათვის განსაკუთრებით ვდღესასწაულობთ დღევანდელ დღეს და ვუსურვებთ ამხ. სოსოს, ძველ რევოლიუციონერს, რევოლიუციის ბელადს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, იმისათვის, რომ ყვავ-ყორნები კიდევ სულდგმულობენ პილსუდსკისა და სხვების სახით. ჩვენ გვინდა, რომ ასეთს მებრძოლს, რომელსაც ბევრი მსხვერპლი გაუღია რევოლიუციისათვის ბრძოლაში და რომელსაც შეუძლია კვლავ იბრძოლოს, ვუსურვოთ მომავალშიც ჯანმრთელობა. გისურვებთ, ამხ. სოსო, რომ თქვენ მოგვესალმოთ გამარჯვებით არა იმ ფარგლებში, როგორც იყო დღეს, არამედ მომავალში ამას დამატებოდეს მთელი მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების სიტყვით თქვენგან მისალმებისა (ტაში).

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასს!
გაუმარჯოს მე-3-ე კომინტერნს და მის ბელადს—ამხ. სოსოს! (ტაში).

ამხ. რაზმაძე.

ამხანაგებო! ნება მომეცით მივესალმო ამხ. სტალინს ორი ათასი მუშის სახელით და უსურვო დღეგრძელი ცხოვრება.

მე ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, 21 წელში, სამწუხაროდ, ცუდათ შევხვდით მას. ჩვენ დღეს მწუხარებით მოვიგონებთ ამ წარსულს და აღვნიშნავ, რომ დღეს ყველა ჩვენ ერთსულოვნათ ვხვდებით ამხ. სტალინს. ჩვენ მაშინ ვერ ვერკვეოდით. მაგრამ, შემდეგში, ბრძოლის ტაქტიკამ, რომელიც ტარდებოდა ამხ. ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით, დაგვიმტკიცა, რომ ნამდვილი დამცველი მუშათა კლასის ინტერესებისა არის კომუნისტური პარტია და მისი ხელმძღვანელები. ის ხელმძღვანელები კი, რომლებიც იმ დროს ჩვენთან იყვნენ, დღეს ბურჟუაზიულ ბანაკში მოექცნენ. ამ ბანაკში ამოჰყვეს თავი ჩვენმა ყოფილმა ბელადებმა, მენშევიკებმა.

ჩვენ, მუშებმა, დავინახეთ ჩვენი თვალით ის მიღწევები, რომელიც აქვს მუშათა კლასს, მაგალითად, ხელფასის მხრივ, რომელიც გაიზარდა, განათლების მხრივ, როდესაც მთელი ქვეყანა დაიფარა მუშფაკებით და სხვა. აგრეთვე მეურნეობის დარგში კომპარტია არ ზოგავს თავის ენერგიას, რათა აღორძინოს ჩვენი ჩამორჩენილი მეურნეობა. თქვენ ხედავთ შავი ზღვის რკინისგზას, შარაგზების გაყვანას და ჭაობების ამოშრობას, რაც მართლაც გვიმტკიცებს, რომ აქ არის დაცვა მუშათა კლასის ინტერესებისა და მათზე ზრუნვა.

მე მინდა დასასრულ ვუსურვო ამხ. სტალინს, რომ ის დროშა, რომელიც მას ჩააბარა მუშათა კლასმა, ის მებაირახტრობა რევოლიუციისა, რომელიც აგრეთვე მუშათა კლასმა არგუნა მას, გამარჯვებისაკენ მიეყვანოს.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასს!
გაუმარჯოს მესამე კომინტერნს და მის ბელადს—სტალინს!
(ტაში. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ამხ. არაქელა

ამხანაგებო! ქართული ანდაზა არის: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასო". მე კი ვიტყოდი: „ის ურჩევნია რევოლიუციას, რომ შეგირდი სჯობდეს ოსტატს".

ბევრმა მუშებმა ვიცით ვინ არის სოსო, ისიც ვიცით კარგად, რომელ სკოლას ეკუთვნის. იმ სკოლას, სადაც თავს იყრიდენ სულით ძლიერნი; იმ სკოლაში არ არიგებდენ პორტ-ფელებს. მათ მხოლოდ სდევნიდენ და აგზავნიდენ კატორღაში.

მე გეკითხებით თქვენ, ვინ იქნებოდა თუ არა სულით მაღალი, რომელიც, მიუხედავათ ასეთი დევნისა, ციხეებისა, კატორღებისა, მაინც განაგრძობდა ამ სკოლაში ყოფნას. ასეთი სულით მაღალი იყვენ არა ბევრი და ერთი მათგანი იყო ამხ. სოსო. სულ ახალგაზრდა მოვიდა ჩვენთან ის და ისე იოლათ ეპყრობოდა ამ საშიშ საქმეს, რომ ბევრ ჩვენთაგანს ეჭვი შეგვეპარა „არ ესმის სიმძიმე ამ საქმის-თქო" (სიცილი).

[illegible] მაგრამ გავიდა სამი წელიწადი და მან დაამტკიცა [illegible] რომ ის იყო სულით ძლიერი, როდესაც [illegible] ანარქისტებმა; ის ერთ-ერთი მათ[illegible] ლიას და მის კომპანიას.

შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და ჩვენ ამ ბრძოლისათვის ბორკილ გაყრილი წაგვიყვანეს და ბაქოში დაგვხვდა ამხ. სოსო, რომელმაც გადმოგვძახა: „ბიჭებო მაგ ბორკილები არ გააფუჭოთ მეფის მთავრობისათვის გამოგვადგება"-ო.

დასრულდა ეს. როდესაც ციხის კარები დაინგრა, მაშინ მე მომაგონდა: „ჩემმა შეგირდმა სთქვა—ბორკილები არ გააფუჭოთ, მეფის მთავრობისათვის გამოგვადგება"-ო.

ჩვენს წინაშე სდგას ჩვენი შეგირდი, ჩვენი ხელმძღვანელი. უსურვოთ მას დღეგრძელობა, იყოს ხელმძღვანელი მთელი პროლეტარიატის. (ტაში).

ამხ. ვარლამოვი

ამხანაგებო! თქვენი სახელით მივესალმები ამხ. სტალინს. ის მუდამ ცხოვრებაში ატარებდა იმ დებულებებს, რომლებიც ჩვენ მოგვცა ამხანაგმა ლენინმა და რომლებმაც დღეს მიგვიყვანეს დღევანდელ მდგომარეობამდი.

მე შემომაქვს წინადადება, რომ ვინაიდან ჩვენს სახელოსნოს ჯერ არა აქვს სახელი, უწოდოთ მას: „სოსოს სახელობის სახელოსნო". გარდა ამისა ვთხოვთ ამხ. სტალინს, რომ მან გადასცეს ჩვენი სალამი კომპარტიას და კომინტერნს, რომელიც ბელადია მომავალი მთელი მსოფლიოს გამარჯვებისა (ტაში. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ამხ. სტალინის პასუხი მისალმებებზე

ამხანაგებო, პირველ ყოვლისა ნება მომეცით ამხანაგური მადლობა გამოგიცხადოთ იმ მისალმებებისათვის, რომელნიც აქ წარმოსთქვეს მუშების წარმომადგენლებმა.

სინდისის ქვეშ უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ მე არ დამიმსახურებია იმ ქების ნახევარიც, რომელიც აქ გაისმოდა ჩემ მისამართით. მე თურმე ვყოფილვარ ოქტომბრის გმირიც, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ხელმძღვანელიც, კომინტერნის ხელმძღვანელიც, დევგმირი და ყველაფერი, რაც გნებავთ ყველაფერი ეს, ამხანაგებო, ზედმეტი და გადაჭარბებულია. ასეთი ტონით ჩვეულებრივად გარდაცვალებულ რევოლიუციონერის კუბოსთან ლაპარაკობენ. მაგრამ, მე, ამხანაგებო, ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ.

ამიტომ მე იძულებული ვარ აღვადგინო ნამდვილი სურათი იმის, თუ ვინ ვიყავი წინად და ვის უნდა უმადლოდე პარტიაში ეხლანდელ ჩემ მდგომარეობის გამო.

აქ ამხ. არაქელამ სთქვა, რომ წარსულში ის თავის თავს სთვლიდა ერთ-ერთ ჩემ მასწავლებლად, ხოლო მივაჩნდი თავის შეგირდათ. ეს სრული სიმართლეა, ამხანაგებო. მე მართლაც ვიყავი და ეხლაც ვრჩები თბილისის რკინის გზის სახელოსნოების მოწინავე მუშების ერთ-ერთ შეგირდათ.

ნება მომეცით მივმართო წარსულს.

ვიგონებ 1898 წელს, როცა მე პირველად მივიღე რკ. გზის სახელოსნოების მუშების წრე. ეს იყო 28 წლის წინად. მაგონდება, როგორ მივიღე მე პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილი ამხ. სტურუას ბინაზე სილიბისტრო ჯიბლაძის (მაშინ ისიც ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელთაგანი იყო), ზაქრო ჩოდრიშვილის, გიორგი ჩხეიძის, მიხო ბოჭორიშვილის, ამხ. ნინუას და თბილისის სხვა მოწინავე მუშების თანდასწრებით. ამ ამხანაგებთან შედარებით მაშინ მე უსუსური ბავშვი ვიყავი. შეიძლება მაშინ მე უფრო ნაკითხი ვიყავი, ვინემ ბევრი ამ ამხანაგთაგანი, მაგრამ როგორც პრაქტიკულ მუშაკს, მე არავითარი გამოცდილება არ მქონდა. აქ, ამ ამხანაგების წრეში მე მივიღე ბრძოლის პირველი რევოლიუციონური ნათლობა. აქ, ამ ამხანაგების წრეში მე გავხდი მაშინ რევოლიუციის შეგირდი. როგორც ხედავთ, ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ. ნება მომეცით გულწრფელი, ამხანაგური მადლობა გამოუცხადო მათ (ტაში).

შემდეგ მე მაგონდება 1907—1908 წლები, როცა მე პარტიის ნებით სამუშაოდ გაგზავნილი ვიყავი ბაქოში. ორი წლის რევოლიუციონურმა მუშაობამ ნავთის მრეწველობის მუშებს შორის, გამაკაჟეს, როგორც პრაქტიკული მებრძოლი და ერთი პრაქტიკული ხელმძღვანელთაგანი. ბაქოში ისეთ მოწინავე მუშებთან თანამშრომლობის დროს, როგორც ვაცეკი, სარატოვეცი და სხვები იყვნენ, ერთის მხრივ, და ნავთის მრეწველებსა და მუშებს შორის წარმოებულ ბრძოლის დროს, მეორეს მხრივ —მე პირველად გავიგე, თუ რას ნიშნავს მუშათა დიდი მასების ხელმძღვანელობა. ამგვარად იქ, ბაქოში, მე მივიღე მეორე რევოლიუციონური ნათლობა. აქ მე გავხდი რევოლიუციის **ქარგალი.** მომეცით ეხლა ნება გულწრფელი, ამხანაგური მადლობა ვუძღვნა ჩემს ბაქოელ მასწავლებლებს (ტაში).

დასასრულ, მე მაგონდება 1917 წელი, როცა მე პარტიის ნებით, ციხეებში ხეტიალისა და გადასახლების შემდეგ, გადატყორცნილი ვიქენ ლენინგრადში. იქ რუსი მუშების წრეში, მთელი ქვეყნის პროლეტარების დიდებული მასწავლებლის ამხ. ლენინის გვერდით, პროლეტარიატის და ბურჟუაზიის უდიდესი შეტაკების ქარიშხალში, იმპერიალისტური ომის პირობებში, მე პირველად ვისწავლე შეგნება იმისი, თუ რას ნიშნავს და მუშათა კლასის დიდებული პარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი. იქ,—რუსეთში, ლენინის ხელმძღვანელობით მე გავხდი რევოლიუციის ერთი **ოსტატთაგანი.** მომეცით ნება ჩემი გულწრფელი ამხანაგური მადლობა გადაუხადო ჩემს რუსს მასწავლებლებს და თავი დავხარო ჩემს მასწავლებელ ლენინის ხსოვნის წინაშე.

შეგირდობიდან (თბილისი), ქარგლობაზე გადასვლა (ბაქო), ქარგლობიდან ჩვენი რევოლიუციის ოსტატის ხარისხის მიღება (ლენინგრადი)—აი,—როგორია, ამხანაგებო, ჩემი რევოლიუციონური მოწაფეობის სკოლა.

ასეთია, ამხანაგებო, გადაუჭარბებლად რომ ვილაპარაკოთ, ნამდვილი სურათი იმისა, რა ვიყავი და რა გავხდი. (ტაში).

საფრანგეთში შესაძლებლად სთვლიან მთავრობის გადადგომას

ფრანკის კურსი ეცემა.—ამერიკელი ბანკები სესხს არ აძლევენ საფრანგეთს

ესპანეთისა და ბრაზილიის წარმომადგენლები არ ესწრებიან ერთა ლიგის საბჭოს სესიას

ჰინდენბურგმა გაილაშქრა ყოფ. მეფის საგვარეულო ქონების ექსპროპრიაციის წინააღმდეგ

მოხდა გაფიცულ სამთა-მადნო მუშების და მაღაროთა პატრონების წარმომადგენელთა შეხვედრა

კლასობრივი ბრძოლა ინგლისში

გაფიცვის შეწყვეტა

ლონდონი, 9 ივნისი. მიდლსბოროში გაფიცვა შესწყვიტეს დოკერებმა. მწარმოებლებმა მოხსნეს ლოკაუტი, რომელიც გამოცხადებული ჰქონდათ დოკერების მიმართ.

2.500 გირ. სტერლინგი გაფიცულებს

ლონდონი, 9 ივნისი. განმანაწილებელ მუშათა კავშირის აღმასკომმა დაადგინა 2.500 გირ. სტერლინგი გადასდოს სამთამადნო მუშების სასარგებლოდ.

დახმარების გაცემის შეწყვეტა

ლონდონი, 8 ივნისი. შრომის სამინისტროს სამოსამართლო კამერამ გასცა განკარგულება, რათა დაუყოვნებლივ შეუწყვიტონ დახმარების მიცემა იმ 5000 მუშას, რომლებიც უკვე ცხრა თვეა იღებენ დახმარებას ორ მაღაროში მუშაობის შეწყვეტის გამო.

გაფიცვის გავლენა სოფლის მეურნეობაზე

ლონდონი, 8 ივნისი. სამთამადნო მუშების გაფიცვა დიდ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობაზე ინგლისის სხვადასხვა რაიონებში, განსაკუთრებით კი ქვანახშირის მაღაროების ახლომდებარე რაიონებში. მაგ. სელბში და იორკშირში კვერცხი იყიდება ნახევარ ფასად. კარტოფილსაც კი არა ყავს მყიდველი. **გლეხები ძლიერ უკმაყოფილო არიან და აცხადებენ, რომ ასეთი ცუდი დრო მათ არ ახსოვთ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში.**

3000 დოკერის გაფიცვა

მანჩესტერი, 8 ივნისი. გაიფიცა 3000 დოკერი. გაფიცვა გამოიწვია იმან, რომ სამუშაოზე მიიღეს 250 არაკავშირის წევრი. გაფიცულებმა გადასწყვიტეს არ დაუბრუნდენ სამუშაოს სანამ ამ 250 კაცს არ დაითხოვენ.

მუშაობის შემცირება საფეიქრო ქარხნებში

მანჩესტერი, 8 ივნისი. საფეიქრო ქარხნების მეპატრონეთა სხდომაზე გადაწყდა, შემცირებული იქნეს მუშაობა იმ ქარხნებში, სადაც ამერიკულ ბამბას ხმარობდენ.

სამთამადნო მუშებისა და მაღაროს მეპატრონეების წარმომადგენელთა შეხვედრა

ლონდონი, 8 ივნისი. სამთამადნო მუშებისა და მაღაროს პატრონების წარმომადგენლები შეხვდენ ერთმანეთს. შეხვედრა გაგრძელდა 3½ საათს.

შეხვედრის დამთავრებისას კუკმა განაცხადა, რომ მდგომარეობა არაფრით არ შეცვლილა. მაღაროს პატრონთა ასოციაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ არის მოლაპარაკების განახლების იმედები.

ქვანახშირის მომჭირნეობა

ბერლინი, 9 ივნისი. ბრიტანეთის მთავრობის დადგენილებით, ნახშირის ნაკლებობის გამო, საექსპორტო [illegible] ქვანახშირი მიეცემათ მხოლოდ გან[illegible]

2.700.000 უმუშევარი

ლონდონი, 9 ივნისი. შრომის სამინისტრო აცხადებს, რომ 31 მაისისათვის იყო 1.614.000 უმუშევარი, მემაღაროეთა გარდა. უკანასკნელ ოფიციალურ ცნობების მიხედვით 24 აპრილისათვის ითვლებოდა 1.107.129 უმუშევარი მემაღაროე. სულ უმუშევართა საერთო რიცხვი 2.720.000 კაცამდე აღწევს.

მოსკოვის აქტივი გაფიცვის შესახებ

მოსკოვი, 9 ივნისი. 8 ივნისს შესდგა საკავშირო კომპარტიის მოსკოვის აქტივის კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ბუხარინის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ამხ. ბუხარინი უმთავრესად შეეხო ინგლისის სამთამადნო მუშების გაფიცვის საკითხს. მან დაწვრილებით დაახასიათა ინგლისის გაფიცვის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა და მისი გაკვეთილები.

ბუხარინის მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ინგლისის საყოველთაო გაფიცვას, გამწვავებულ კლასთა ბრძოლის პირობებში, კრება სთვლის უდიდეს რევოლიუციურ მნიშვნელობის ფაქტად მუშათა საერთაშორისო რევოლიუციურ მოძრაობისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ რეფორმისტული ბელადები სცდილობდენ ეკონომიური ბრძოლის ჩარჩოებში მოემწყვდიათ გაფიცვა, ის მაინც უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფაქტორად გადაიქცა. საყოველთაო გაფიცვა დამარცხდა იმიტომ, რომ მას ერთის მხრივ ხელმძღვანელობდენ აშკარა მოღალატეები ტრედ-იუნიონების და ინგლისის მუშათა პარტიის მემარჯვენე ბელადები, მეორეს მხრივ კი, ეგრედ წოდებული, მემარცხენეები, რომელთაც სამარცხვინოდ დასთმეს რამდენიმე მილიონ ინგლისელ მუშის ინტერესები. მემაღაროები განმარტოებულნი დარჩენ ბრძოლაში, ხოლო სხვა დარგის მუშების ფართო მასები გენერალურმა საბჭომ გათავხედებული კაპიტალის და მისი მთავრობის შურისძიების ობიექტად გახადა.

მიმდინარე მომენტის ძირითადი ამოცანებია, როგორც აშკარა მოღალატე ბელადების, ისე მემარცხენე კაპიტულიანტების გამცემლური როლის დაუღალავი მხილება, ინგლისის პროლეტარიატის რევოლიუციურ მოძრაობასთან კავშირის განმტკიცება ინგლის-რუსეთის კომიტეტის შენარჩუნების და მის მუშაობის გაძლიერების გზით.

კრება საჭიროდ სთვლის განმარტებითი მუშაობის გაძლიერებას მუშათა ფართო მასებში. ინგლისის გაფიცვის გაკვეთილებთან დაკავშირებით ხელი უნდა შეუწყოთ მთლიანი ფრონტის სისწორით გაგებას და ყოველ მხრივ უნდა გავაძლიეროთ ინგლისის გაფიცულ მემაღაროებისათვის დახმარების მიწოდება, რაც განამტკიცებს ჩვენი საკუთარი ბრძოლის და მიღწევების საერთაშორისო მნიშვნელობას.

არავითარი დათმობა

ლონდონი, 8 ივნისი. დღეს, მემაღაროეთა გაფიცვის მე-30-ე დღეზე მაღაროების ბელადები შეხვდენ მაღა[illegible] სახალხო მეურნეობის წარმომადგენლებს და [illegible] არავითარ შეთანხმებაში არ განაახლებენ მოლაპარაკებას, თუ მათი პირობები არ იქნა მიღებული: „სამუშაო ხელფასს არ უნდა დააკლდეს არც ერთი პენი, არც ერთი წამით არ უნდა იქნეს გადიდებული სამუშაო დღე".

ამრიგათ დღემდე მოლაპარაკების დასაწყებად ნიადაგი არ არის შექმნილი. კუკი ამ კრებიდან ღიმილით გამოვიდა.

ბრიანის მთავრობის გაჭირვება

კრიზისის მოლოდინში

ბერლინი, 9 ივნისი. საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს ფრანკის კურსის განსამტკიცებლად შემოიღოს ომის დროს არსებული ბარათები პურსა და ხორცზე. მთავრობის ამ ღონისძიებას სასტიკად აკრიტიკებენ, რადგან ეჭვობენ, რომ მან უშველოს მდგომარეობას.

„ჟურნალ"-ი მოელის მთავრობის კრიზისს. ოთხშაბათს მოელიან ბრიანის დაბრუნებას ჟენევიდან. როგორც კი ჩამოვა ბრიანი, მოწვეული იქნება მთავრობის სხდომა.

ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, ამერიკის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ფრანკის სტაბილიზაციისათვის პირველი ნაბიჯია განიარაღება და მტკიცე ბიუჯეტის შედგენა.

ფრანკის დასაცავად

პარიზი, 9 ივნისი. დეპუტატთა პალატაში შესდგა კრება, რომელმაც გაარჩია ფრანკის დამცველ საპარლამენტო ჯგუფის შექმნის საკითხი. სენის დეპუტატმა რობაიამ წინადადება მისცა მთავრობას განაგრძოს შეზღუდვის და ეკონომიის პოლიტიკა.

ერთა ლიგაში

ბრაზილიის პოზიცია

პარიზი, 9 ივნისი. ცნობა იმის შესახებ, რომ ბრაზილიამ უარი სთქვა ერთა ლიგის მუშაობაში მონაწილეობაზე, ჯერ ჯერობით არ დადასტურებულა. ფიქრობენ, რომ ბრაზილიის ასეთი გადაწყვეტილება დროებითი ხასიათის იქნება.

ერთა ლიგის საბჭოს საფინანსო კომისიამ უარყო წინადადება ჰუნგრეთზე ფინანსიური კონტროლის შეწყვეტის შესახებ.

ესპანეთის და ბრაზილიის ბოიკოტი

პარიზი, 8 ივნისი. ის გარემოება, რომ ესპანეთისა და საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლები დემონსტრატიულად არ ესწრებიან ერთა ლიგის საბჭოს სესიის სხდომებს, „მატენის" ფურცლებზე პესიმისტურ შეფასებას პოულობს. გაზეთი სწერს:

„ერთა ლიგას მოელის დიდი კრიზისი, რომელიც საფრთხეს უმზადებს თვით მის არსებობას. მუდმივი ადგილების საკითხი გადაუწყვეტელია. ამ საკითხის გადაჭრის ცდა—ნახევრათ-მუდმივი ადგილების შექმნით—მარცხით დამთავრდა. გერმანიის მოთხოვნილებამ, რომ მხოლოდ მისთვის მიეცათ მუდმივი ადგილი ერთა ლიგაში, გამოიწვია ღრმა კრიზისი, რომლის შედეგების გათვალისწინება მთლიანად ჯერ კიდევ შეუძლებელია".

ჰინდენბურგი ვილჰელმის ინტერესებს იცავს

ბერლინი, 9 ივნისი. ჰინდენბურგი ყოფ. მეფის გვარეულობის ქონების კონფისკაციის საკითხში იმავე თვალსაზრისს ადგია, რომელიც გამოსთქვა მან რეიხსტაგის თავმჯდომარის—ლებეს სახელზე გაგზავნილ წერილში. ჰინდენბურგმა განაცხადა, რომ მას არაფერი აქვს ამ წერილის გამოქვეყნების საწინააღმდეგო.

ბერლინის პრესა მიუთითებს, რომ ვინაიდან ის წერილი პრეზიდენტის კერძო აზრს გამოხატავს, მთავრობა საკითხს ამოწურულად ჩასთვლის.

ყოფ. სამეფო გვარეულობათა ქონების ექსპროპრიაციისათვის

პარიზი, 9 ივნისი. ლიუტერს საკოალიციო პარტიებთან უშედეგო მოლაპარაკება ჰქონდა ყოფ. სამეფო გვარეულობათა ქონების ექსპროპრიაციის გარშემო.

კომპარტიამ რეიხსტაგში შეიტანა შეკითხვა ჰინდენბურგის და ლებეს მიწერ-მოწერის შესახებ.

არეულობა ჰანნოვერის პოლიტეხნიკუმში

ბერლინი, 9 ივნისი. ჰანნოვერის პოლიტეხნიკუმიდან პროფ. ლესსინგის წინააღმდეგ მოწყობილ დემონსტრაციისათვის გამორიცხეს 250 სტუდენტი.

ლესსინგი ამჟამად იმყოფება ბერლინში, სადაც ის მიწვეულია სოციალ-დემოკრატ სტუდენტებისათვის მოხსენების წასაკითხავად.

კომფრაქციის შეკითხვა

ბერლინი, 8 ივნისი. კომუნისტურმა ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა რეიხსტაგში, რომელშიაც ეყრდნობა რა ჰინდენბურგის წერილს, ყოფილ მინისტრ ლებელის სახელზე გამოგზავნილს, 20 ივნისის სახალხო კენჭის ყრის საკითხის შესახებ, კითხვას იძლევა:

„მაშინდელი მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლიუტერი, სავაჭრო ფლოტის საკითხში მოქმედებდა ჰინდენბურგის სურვილის მიხედვით და არღვევდა კონსტიტუციას. სწორედ ასევე ეხლაც, მარქსის მთავრობა თავისი ქცევით ხელს აფარებს ჰინდენბურგის ცდას კონსტიტუციის შეცვლისა—სახალხო კენჭის ყრის საკითხში.

მზადაა თუ არა მთავრობა დაუყოვნებლივ ჩააბაროს ანგარიში რეიხსტაგს თავისი საქციელის შესახებ. რეიხსტაგის კომუნისტურ ფრაქციასაც აქვს განზრახვა შეიტანოს მარქსის მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი ყოფილ საგვარეულო ქონების ჩამორთმევის საკითხის შესახებ ახალი საკომპრომისო წინადადების განხილვის დროს.

განხეთქილება ინგლისელ ლიბერალებს შორის

ლოიდ-ჯორჯი და ლიბერალები

ლონდონი, 9 ივნისი. ლიბერალური პარტიის კრებაზე ლოიდ-ჯორჯმა, როგორც საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ მიიღო 20 ხმა 10-ის წინააღმდეგ. კენჭის ყრა მოხდა იმ წინადადების გამო, რომელიც გმობდა ლოიდ-ჯორჯსა და ასკვიტს შორის არსებულ მიწერ-მოწერის გამოქვეყნებას.

გაკიცხვა ლორდ ასკვიტს

ლონდონი, 9 ივნისი. ლოიდ-ჯორჯის თავმჯდომარეობით შესდგა ლიბერალური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, რომელსაც ფრაქციის 34 წევრი დაესწრო.

ფრაქციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც არსებითად გაკიცხვას უცხადებს ლორდ ოქსფორდ ასკვიტს. რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმა მისცა 10-მა, თავი შეიკავა 4-მა.

ამ სხდომის შედეგი ნიშნავს განხეთქილებას ლიბერალური პარტიის შიგნით, მის გაყოფას ორ ჯგუფად.

◆

სიმართლის ეშინიათ

პრაღა, 8 ივნისი. გერმანიის კოოპერატივთა ყრილობამ კარლსბადში უარჰყო წინადადება საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის შესახებ.

◆

მუშების პროტესტი

გადასახადის გადიდების წინააღმდეგ

პრაღა, 7 ივნისი. პრაგის, კლადნოს და ბოლისლავის ლითონის წარმოებების კომუნისტ, სოციალ-დემოკრატ და ნაციონალ-სოციალისტ მუშების დეპუტაციამ მთავრობას წარუდგინა მემორანდუმი პროტესტით აგრარული გადასახადის გადიდების წინააღმდეგ. პრემიერ მინისტრმა ჩერნიმ დეპუტაციას განუცხადა, რომ მას არ შეუძლია შესცვალოს პარლამენტის უმრავლესობის გადაწყვეტილება. საღამოს ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე შესდგა გრანდიოზული კომუნისტური მიტინგი. სოც. დემოკრატების და ნაციონალ-სოციალისტების მიტინგები გაიმართა დახურულ შენობაში.

◆

ტერორი რუმინეთში

ვენა, 8 ივნისი. რუმინეთში საქალაქო არჩევნების დროს ჟანდარმებსა და საარჩევნო ტერორით აღშფოთებულ გლეხებს შორის, ხშირად ხდება შეტაკებები. გლეხებს ყოველგვარი საშუალებით ხელს უშლიან მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. რანში (დმახინჯებულია) ჟანდარმებმა სროლა დაუწყეს გლეხებს, რომლის დროს მოკვდა ორი და მრავალი დაიჭრა. მთავრობამ ამ რაიონში ჯარები გაგზავნა.

◆

ბრძოლა ნადავლისათვის

საფრანგეთ-ესპანეთის ბლოკი

პარიზი, 8 ივნისი. პარიზის პრესა გადაწყვეტილად სთვლის საკითხს, რომ **მოლაპარაკება მაროკოს შესახებ იწარმოებს მხოლოდ ესპანეთსა და საფრანგეთს შორის.**

მიღწეულია შეთანხმება საფრანგეთის საზღვრების შესწორების შესახებ რიფების ოლქში. უთანხმოებას აქვს ადგილი მხოლოდ აბდ-ელ-ქერიმის მომავალი ბედის საკითხში.

ესპანეთი მოითხოვს, რათა აბდ-ელ-ქერიმი გასამართლებული იქნეს, როგორც მეამბოხე.

პრესის აზრი

რომი, 9 ივნისი. გაზეთი „მესაჯერო" ეხება იმ დიპლომატიურ ურთიერთობას, რომელიც მაროკოს საქმეების გარშემო დამყარდა. უწინარეს ყოვლისა გაზეთი მოითხოვს, რომ გადასინჯულ იქნას ტანჟერის ხელშეკრულება, რომლის დადებაში იტალიას მონაწილეობა არ მიუღია. **მაროკოს განაწილება საფრანგეთსა და ესპანეთს შორის არ შეიძლება საბოლოოდ დადასტურებულ იქნას.** მართალია ფრანგული პრესა ეწინააღმდეგება ახალი კონფერენციის მოწვევას მაროკოს საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ იტალიას ვერავინ წაართმევს უფლებას, რომ მან ინტერესი გამოიჩინოს იმ საქმეებისადმი, რომელნიც თავიანთი ბუნებითა და ხასიათით არ წარმოადგენენ საფრანგეთისა და ესპანეთის მონოპოლიას. **დღეს უკვე აშოტივტივდნენ ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტამ უნდა შესცვალოს როგორც არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, ისე არსებული ტერიტორიალური ურთიერთობა მაროკოში.**

გაზეთი „პოპოლი დი რომა" ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ იტალიის ნებადაურთველად არ შეიძლება დღევანდელი პოლიტიკური წონასწორობის შეცვლა ხმელთა შუა ზღვის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაპირებზე. იმიტომ რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იტალიის არსებითი ინტერესები შეიბღალებოდა.

ინგლისურმა პრესამაც დაიწყო აბდ-ელ-ქერიმის დამარცხების შედეგებზე ლაპარაკი. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიურ კორესპონდენტს ჯერჯერობით ნაადრევად მიაჩნია რაიმე გადაჭრილი ცნობების გამოქვეყნება. რადგან უეჭველია, რომ ერთ-ერთი გამარჯვებულთაგანი მაინც რიფების ტერიტორიაზე ცვლილებების მოხდენას მოითხოვს. იტალიის დიპლომატიური ჩარევა აუცილებელია. ლონდონში წელს იტალიის მონაწილეობას მომავალ მოლაპარაკებაში მეტის თანაგრძნობით უცქერიან, ვიდრე შარშან უცქეროდენ. ეს ცვლილება განსაკუთრებით იმ წრეებს ემჩნევათ, რომელნიც იტალიისა და ინგლისის თანამშრომლობას მოითხოვენ ხმელთა შუა ზღვაზე.

„საყოველთაო გაფიცვა არასოდეს არ განმეორდება"

ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარჯვენე ბელადებმა ახლა ფართე კამპანია დაიწყეს საყოველთაო გაფიცვის—როგორც ბრძოლის მეთოდის—წინააღმდეგ. მათ 8 მაისს ვერ შესძლეს საყოველთაო გაფიცვის თავიდან აცილება, სამაგიეროდ ეხლა წამოაყენეს ლოზუნგი: „საყოველთაო გაფიცვა აწი არასოდეს არ განმეორდება".

მაკდონალდი, რასაკვირველია, ამ კამპანიას სათავეში უდგას. თავის უკანასკნელ წერილში იგი აცხადებს, რომ „საყოველთაო გაფიცვა ორ დიდ რამეს გვასწავლის. პირველ ყოვლისა, ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ „იდეალური ზავი" საზოგადოებაში აუცილებლად საჭიროა; მეორე: დავრწმუნდით, რომ საყოველთაო გაფიცვა უვარგისია, როგორც პროლეტარიატის ბრძოლის საშუალება.

მაკდონალდმა განაცხადა: „ჩვენ ახლა, საკმაოა რომ ბევრჯერ მოვისმინოთ, თითქო საყოველთაო გაფიცვა წარმოადგენს პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის ნამდვილ საშუალებას. პროფკავშირებმა უნდა აღიარონ ეს ფაქტი. მუშები გმირულად დასტოვებენ ფაბრიკებს, მაგრამ რა მოხდება მაშინ, როცა ისინი ქუჩაში ამოყოფენ თავს? ისინი შესძლებენ დემონსტრაციების გამართვას, მაგრამ ამით საყოველთაო გაფიცვა ვერ გაიმარჯვებს. მათ შეუძლიათ სიმშილისაგან დაიხოცონ, მაგრამ ამით დამაკმაყოფილებელ შედეგებს ვერ მიაღწევენ".

ყველამ იცის, რომ მაკდონალდი საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებამდისაც ბრძოლის ამ საშუალების გამოყენების სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და საერთოდ ყოველთვის უარყოფდა ყოველგვარ გაფიცვას, როგორც პროლეტარიატის ბრძოლის იარაღს.

მაკდონალდი თავის უკანასკნელ წერილში, რომელიც მოთავსებულია ბურჟუაზიულ ორგანო „პასუხში", სწერს: „ჩემი გული მწუხარებით აღივსო საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების დროს. ვერავითარი სახელმწიფო ხელისუფლება თუნდაც მასაც წილი ჰქონდეს დანაშაულში, ვერ მოითმენს, რომ საყოველთაო გაფიცვამ ისეთი ნაყოფი გამოიღოს, რომელიც ქვეყანას დამარცხებულის მდგომარეობაში ჩააგდებს".

ინგლისის ბურჟუაზიას, რასაკვირველია, შეუძლია დამშვიდებული იყოს, სანამ ინგლისის მუშათა მოძრაობის სათავეში ისეთი ხალხი იქნება, როგორიც არის მაკდონალდი ან ტომასი. განცვიფრებული სიცხადით იხატება კონტურები ერთიანი ფრონტის, დაწყებული ბალდუინიდან და გათავებული ლიბერალების და ისეთი მუშათა ბელადებით, როგორიც არიან მაკდონალდი და ტომასი.

ლორდ გრეიმ თავის უკანასკნელ სიტყვაში, რომლითაც იცავდა ასკვიტს ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ, ე. ი. იცავდა ბალდუინის მთავრობის უხეშ პოლიტიკას, მადლობა გამოუცხადა „მუშათა" ბელადებს, რომლებმაც იმდენი „გამბედაობა" გამოიჩინეს, რომ შესძლეს საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტა. ხოლო ლორდმა ლინკოლნშაირმა, ომ ლიბერალური კლუბის თავმჯდომარემ, სადაც გრეიმ თავისი სიტყვა წარმოსთქვა გაფიცვის გაკვეთილების შესახებ, თავის საბოლოო სიტყვაში არა თუ გამოხატა მთელი ინგლისის ბურჟუაზიის გრძნობები, არამედ აგრეთვე სწორად დაახასიათა არსებული მდგომარეობა. მან სთქვა:

„ინგლისის სახელმწიფო ხომალდს ძლევამოსილად და დამშვიდებით შეუძლია ატაროს თავისი დროშა უაღრესად სახიფათო ბრძოლის დროსაც, სანამ ქვეყნის პოლიტიკურ ბელადებს ისეთი ხალხი წარმოადგენს, როგორიც არის ლორდი ოქსფორდი, ლორდი გრეი და მისტერ ბოლდუინი, რომელთაც თვითეული ლიბერალი უაღრეს პატივს უნდა სცემდეს მათი საქციელისათვის ამ მძიმე მომენტში. ინგლისის სახელმწიფოს შეუძლია დამშვიდებული იყოს, სანამ არიან ისეთი მუშათა ბელადები, რომლებმაც აღიარეს მათ მიერ დაშვებული სახიფათო შეცდომა, და იმდენი გონიერება გამოიჩინეს, რომ თავის დროზე უკან დაიხიეს და შესწყვიტეს საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გააჩაღებდა ქვეყანას და მიიყვანდა მას ნაციონალურ გაკოტრებამდე. ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით ვიყოთ, სანამ ქვეყანას განაგებს გაბედული და მტკიცე ხალხი, აღსავსე ძლიერი ნებისყოფით, კეთილშობილი პრინციპებით და კეთილი სურვილით".

ლიბერალი ლორდი მართალია: სანამ ინგლისის მუშათა მოძრაობას ისეთი ბელადები ჰყავს, როგორიც მაკდონალდი და ტომასია, ძველი კაპიტალისტური ინგლისის ხომალდი ზღვათაც ყოველგვარ გრიგალის დროს უვნებლად გადარჩება.

მაგრამ, განა სამუდამოთ დარჩებიან ძველი ინგლისის ბელადები? ინგლისის მუშათა მოძრაობაში წინააღმდეგობათა გაღრმავება მო[illegible] რომ მუშათა კლასის ბელადების და ბურჟუაზიის [illegible] აქვს. წინააღ[illegible] საყოველთაო [illegible]ვით იქნა მიცემული, ამავე დროს სამგლოვიარო ზარების რეკა იყო „ძველი ალფრთოვანებული ინგლისისათვის".

საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების დღეს საფლავი გაეთხარა კლასიურ მშვიდობიანობას ინგლისის ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ინგლისის ბურჟუაზიამ მაკდონალდისა და მისი დამქაშების შემწეობით ჩაახშო საყოველთაო გაფიცვა, მაგრამ თვით ცხოვრების ძლიერი ხმა მრისხანედ ჩასძახის ინგლისის ბურჟუაზიას: „საყოველთაო გაფიცვა მოკვდა. გაუმარჯოს საყოველთაო გაფიცვას".

მაკდონალდი აცხადებს, რომ საყოველთაო გაფიცვა შემდეგში არასოდეს არ განმეორდება, რომ ის ძლიერ იარაღს არ წარმოადგენს მუშათა კლასის ხელში, რომ თვით მისი იდეა „ძირითადი შეცდომაა", რომ უკანასკნელ დროს ამბების მსვლელობა საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ არის მიმართული. ის სიტყვა-სიტყვით ასე სწერს:

„ჩვენმა უკანასკნელმა მიღწევებმა მობილიზაციის, პროპაგანდის მეთოდებში და საქალაქო ტრანსპორტის საშუალებებში შესცვალეს ეკონომიური ბრძოლის ტაქტიკა".

სამობილიზაციო შესაძლებლობანი, პროპაგანდა და ტრანსპორტი შეუძლებლად ხდიან საყოველთაო გაფიცვის გამარჯვებას. აი მაკდონალდის მთავარი თეზისი. ჩვეულებისამებრ, ის ამახინჯებს ჭეშმარიტებას. ნამდვილად კი, სწორედ სამობილიზაციო საშუალებების, პროპაგანდის და ტრანსპორტის განვითარება, ეკონომიური თვალსაზრისით, შესაძლებლად და უტყუარად ხდის საყოველთაო გაფიცვის გამოყენებას, რომელიც მრავალმილიონიან მუშათა კლასის ბრძოლის უძლეველ იარაღს წარმოადგენს.

სწორედ ასეთ უაღრესად ინდუსტრიულ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, სადაც ყოველი კუთხე მჭიდროთ არის მოფენილი რკინისგზის ქსელით, სადაც ზედმიწევნით განვითარებულია ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიოს ქსელი, სადაც რამდენიმე ასი ათასი ავტომობილი მოიპოვება,—შესაძლებელი იყო საყოველთაო გაფიცვის დაწყება მრეწველობის ყველა დარგში ერთსა და იმავე დროს. სწორედ ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ინგლისი, სადაც მსხვილ მრეწველობას უმთავრესი ადგილი უჭირავს, სადაც გლეხობა თითქმის არ არსებობს და სამრეწველო პროლეტარიატი თავისი რიცხვით მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს, საყოველთაო გაფიცვას ასე მოკლე ხანში შეეძლო საგრძნობი კვალი დაეჩინა ეკონომიურ ცხოვრებისათვის.

ინგლისის საყოველთაო გაფიცვიდან და აგრეთვე მთელი ევროპის და ამერიკის მოძრაობიდან მიღებული მთავარი გაკვეთილებიდან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ საყოველთაო გაფიცვა შესაძლებელია, და რომ ის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს პროლეტარიატის ხელში.

საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტა მოწმობს არა მისი იდეის დამარცხებას, არამედ გაფიცვის მოღალატე-ბელადების გაკოტრებას. მთელი ინგლისის მუშათა კლასმა იცის, რომ საყოველთაო გაფიცვა შესწყდა არა იმიტომ, რომ მუშათა კლასს მებრძოლი სული დაძაბუნდა, ან გაფიცვას შესუსტება დაეტყო, არა იმიტომ, რომ უმუშევრები, როგორც ამას ოტტო ბაუერი ჭორავს, შტრეიკბრეხერებად გამოვიდნენ, არამედ პირიქით: საყოველთაო გაფიცვა ჩაიშალა იმიტომ, რომ მან იწყო გაფართოება, მას მიეცა პოლიტიკური ხასიათი და იმიტომ, რომ რეფორმისტული ბელადები შეუშინდენ პირდაპირი სამოქალაქო ომის სიმძაფრეს.

ინგლისის საყოველთაო გაფიცვის როგორც ძლიერებამ, ისე სისუსტემ გაამართლა ლენინის მიერ თავის დროზე გაკეთებული ანალიზი. ინგლისის საყოველთაო გაფიცვის ძლიერება იმაში მდგომარეობდა, რომ მას სარჩულად ედო „ეკონომიურ მოთხოვნილებათა მტკიცე და მნიშვნელოვანი საფუძველი", სამუშაო ხელფასის და სამუშაო დღის დასაცავად, მისი სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ მან ხელისუფლებისათვის ბრძოლის ფორმები არ მიიღო ამჟამად. ინტერნაციონალური ლენინიზმის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ის, რომ საყოველთაო გაფიცვა გაშუქებული იქნეს, როგორც იარაღი მუშათა კლასის ბრძოლისა მთელი ევროპის და ამერიკის მუშების განთავისუფლებისათვის.

ჯონ პეპერ.

მოსკოვი, 9 ივნისი, გადმოცემულია ტელეგრაფით.

მდგომარეობა პოლონეთში

ახალი მთავრობა

ვარშავა, 8 ივნისი. პოლონეთის ახალი კაბინეტი ალბად ოთხშაბათს შესდგება. ჯერ-ჯერობით საბოლოოდაა მიღებული შემდეგი კანდიდატები: პრემიერი ბარტელი, სამხედრო მინისტრი—პილსუდსკი, გარეშე საქმეთა მინისტრი—ზალესსკი, შინაგან საქმეთა მინისტრი—პოდიანოვსკი.

დასვენება ხანგრძლივი ვადით

ვარშავა, 8 ივნისი. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში ხმები დადის, რომ სეიმი და სენატი მთავრობის რწმუნებულებათა დამტკიცების შემდეგ დათხოვნილი იქნება გამოურკვეველ დრომდე, შესაძლოა ერთი წლითაც. ამგვარად, ახალი არჩევნები არ დაინიშნება. იუწყებიან, რომ მთავრობა ამუშავებს პროექტს სახელმწიფო საბჭოს მოწყობის შესახებ 30 წევრის შემადგენლობით. სახელმწიფო საბჭოში შევლენ სეიმის ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები.

ამ პროექტის მიხედვით სახელმწიფო საბჭო სათათბირო ორგანოს როლს ითამაშებს და მის წევრებს პრეზიდენტი დანიშნავს.

შეცდომას გრძნობენ

ვარშავა, 8 ივნისი. გაზეთი „პორანნა ვარშავსკა" აქვეყნებს რა მოსკოვის „პრავდის" ცნობას პოლონეთის წარმომადგენელ იანკოვის მიერ ბალტიის სახელმწიფოებთან გამართულ მოლაპარაკების შესახებ, მოითხოვს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა მისცეს სათანადო განმარტება პოლონეთის საზოგადოებრივ აზრს.

„ხელშეკრულების დასკვნა, რომლის შესახებაც ლაპარაკობს მოსკოვის „პრავდა",—სწერს გაზეთი,—პოლონეთს დიდ საფრთხეს უქადის და სამაგიეროს კი არაფერს არ იძლევა. თუ მოსკოვის „პრავდის" ინფორმაცია მართალი გამოდგება, მაშინ ბალტიის სახელმწიფოებთან ასეთი ხელშეკრულების დადება მშვიდობიანობის მომასწავებელი ვერ იქნება".

ხელს უშლიან დამშეულთა დახმარებას

ვარშავა, 8 ივნისი. პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით პოდვოლოჩისკში დაიჭირეს 15 ვაგონი ქერი, რომელიც რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებამ შესწირა დასავლეთ უკრაინის დამშეულებს.

უკრაინის წრეებში, რომელნიც შეწირულ პურს ანაწილებენ დამშეულ გლეხობის შორის, ამ ზომამ განსაკუთრებული შეშფოთება მოახდინა, მით უმეტეს, რომ წინად შეწირული პური დაუბრკოლებლივ იქნა გაშვებული.

მუშების გამარჯვება

ვარშავა, 7 ივნისი. პოზნანში კეგელსკის ფაბრიკაში გაიფიცა 6.600 მუშა. გაფიცვა გამოიწვია მუშების ერთი ნაწილის დათხოვნამ ქირარდოვის ფაბრიკაში, გაიფიცა 400 კაცი. გაფიცულები მოითხოვდენ შეებულების მიცემას ჯამაგირის დაუკავებლად. ადმინისტრაციაზე გავლენის მოსახდენათ გაფიცულებმა დაიკავეს კანტორა და ფაბრიკის დირექტორის კერძო ბინა. ადმინისტრაცია დასთანხმდა მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

მღელვარება გლეხებში

ვარშავა, 7 ივნისი. ბელეცკის ოლქში გლეხების მღელვარება დაიწყო. გლეხები შეუდგენ ტყეების გაჩეხას და დაეპატრონენ მემამულეების მიწებს. **პოლიციის უძლურების გამო გამოწვეულ იქნა 4 ქვეითი პოლკი, რომელთაც ჩააქრეს გლეხობის მოძრაობა.**

ასეთსავე მღელვარება მოხდა ლიუბლინის ოლქში.

◆

მდგომარეობა ჩინეთში

შეთქმულების აღმოჩენა კანტონში

კანტონი, 7 ივნისი. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ ჩან-კან-შინმა დააპატიმრა კანტონის პოლიციის ყოფილი უფროსი ვუტ-ე-ჩენი. **დაპატიმრება გამოწვეულია მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების აღმოჩენით.** შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდენ მემარჯვენე ელემენტები.

კონსულების პროტესტი

პეკინი, 7 ივნისი. შანხაის საკონსულოების კორპუსმა ჩინეთის ხელისუფლებას პროტესტი განუცხადა ჩინეთის ქალაქებში 30 მაისის წლის თავის აღსანიშნავ მიტინგების ნებადართვის გამო, რასაც მოჰყვა ახალი მღელვარება.

შერეულ სასამართლოს გაუქმება

პეკინი, 7 ივნისი. შანხაის საკონსულო კორპუსმა დაარსა იაპონიის, შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის და ნორვეგიის კონსულთა კომისია შერეულ სასამართლოს გაუქმების საკითხის განსახილველათ.

პოლიციის ნებართვით

პეკინი, 7 ივნისი. მიუხედავათ საზოგადოებრივ ორგანიზაციების შუამდგომლობისა, 30 მაისს პეკინში დაპატიმრებული სტუდენტები ჯერაც არ არიან განთავისუფლებული.

პოლიციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა გატარდენ რეგისტრაციაში პოლიციის სამმართველოში. პოლიციამ აკრძალა კრებების მოწყობა პოლიციის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ჟურნალისტი ჯილბერტი

პეკინი, 7 ივნისი. ჩინეთის საზოგადოებრივი წრეები შანხაიში მოითხოვენ **დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნეს ჩინეთიდან ინგლისელი ჟურნალისტი ჯილბერტი,** რადგან უკანასკნელმა ამ ცოტა ხნის წინად გამოუშვა წიგნი, რომელშიაც მოითხოვს შეიარაღებულ ინტერვენციის ჩინეთში.

კონტროლის „მოხსნა"

ბერლინი, 9 ივნისი. ერთა ლიგასთან არსებულმა ავსტრიის საქმეთა კომისიამ, რომლის თავმჯდომარეა ჩემბერლენი, დაადგინა 3 ივნისიდან მოხსნას კონტროლი ავსტრიის ფინანსებზე.

ინგლისელი „მეთვალყურე"

ვენა, 8 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს საფინანსო კომისიამ დაადგინა გააუქმოს ერთა ლიგის კომისარის თანამდებობა ავსტრიაში.

სინამდვილეში კი ერთა ლიგა იტოვებს კონტროლის უფლებას, ვინაიდან ეროვნულ ბანკში, ორი წლის განმავლობაში, ერთა ლიგა წარმოდგენილი იქნება თვისი ინგლისელი მრჩეველებით.

ამას გარდა, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტიანი იქნება, ხელმეორედ დაწესდება ათწლიანი კონტროლი.

◆

მოსულის საკითხის გარშემო

ხელშეკრულების ტექსტის გამოქვეყნება

ანგორა, 7 ივნისი. გამოქვეყნდა მოსულის ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც ხელს აწერენ ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ტეფვიკ რუშდი ბეი, ინგლისის ელჩი ოსმალეთში ლინდსეი და ირაქის წარმომადგენელი სადინური-ფაშა.

ხელშეკრულების დამტკიცება

ბერლინი, 9 ივნისი. ვოლფის სააგენტოს მიერ ანგორიდან მიღებული ცნობების თანახმად, ოსმალეთის მეჯლისმა დაამტკიცა ხელშეკრულება მოსულის შესახებ.

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 8 ივნისი. საფრანგეთის პრესა, უკეთებს რა კომენტარიებს შეთანხმებას მოსულის შესახებ, აღნიშნავს, რომ ჩემბერლენმა ხელოვნურად გამოიყენა იტალია და საბერძნეთი, რომ დათმობები მიეღო ოსმალეთის მხრივ. არსებითად ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულებას აქაურ პოლიტიკურ წრეებში აფასებენ, როგორც დაპირისპირებას საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულებისადმი.

თევფიკ-რუშდი-ბეის სიტყვა

ანგორა, 8 ივნისი. ოსმალეთის გარეშე საქმეთა კომისარმა თევფიკ-რუშდი-ბეიმ სიტყვა წარმოსთქვა მოსულის ხელშეკრულების შესახებ და საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის სირიის საკითხის გარშემო მიღწეულ შეთანხმების შესახებ.

ხაზი გაუსვა რა იმ გარემოებას, რომ მოსულის ხელშეკრულებით ხელ-უხლებელი რჩება საზღვრები ოსმალეთისა და ირაქის შორის, რომელიც ერთა ლიგის კომისიის ბრიუსელის კონფერენციამ შეიმუშავა, **თევფიკ-რუშდი-ბეიმ** განაცხადა, რომ ოსმალეთისათვის ტერიტორიალურ საკითხს არა აქვს პრინციპიალური მნიშვნელობა.

„ირაქის სასარგებლოდ ათას კვადრატიულ კილომეტრის ტერიტორიის დათმობა,—სთქვა რუშდი-ბეიმ,—პოლიტიკის ძირითადი პრინციპებითაა ნაკარნახევი. ოსმალეთი ახლო აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფოა და მიისწრაფვის განათლებულ ერებთან თანამშრომლობისაკენ წესრიგის დაცვისა და პროგრესის მიზნით.

ჩვენ გავიღეთ მსხვერპლი, რომ უზრუნველვჰყოთ მშვიდობიანობა ახლო აღმოსავლეთში, ირაქის დამოუკიდებლობა და ინგლისთან ნორმალური ურთიერთობა.

ხაზი გაუსვა რა შემდეგ იმას, რომ ოსმალეთის მიერ ლოზანის და ჟენევის კონფერენციებზე მოსულის საკითხის გარჩევის დროს წამოყენებული წინადადებები, ისევ ძალაში რჩებიან, რუშდი-ბეიმ განაგრძო: ჩვენი მოთხოვნილებანი სამართლიანად იცნო მრავალმა მოღვაწემ, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციები ამას არ გამოეხმაურენ. ერთა ლიგის საბჭოს, შუამავლის როლის მაგიერ მოსულის საკითხში, სურდა ეთამაშნა არბიტრის როლი.

ჩვენ არ შეგვეძლო დავთანხმებულიყავით იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ჩვენი თანხმობის გარეშე მიიღეს პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომლის წევრები რჩევას იღებენ მასში შემავალ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთაგან.

შეეხო რა შემდეგ შეთანხმებას სირიის შესახებ, თევფიკ-რუშდიმ განაცხადა, რომ ეს შეთანხმება ახალ ეპოქას ჰქმნის ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის ისტორიაში.

ორივე შეთანხმება, მინისტრის სიტყვით, არაფრით არ არღვევს ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის საერთო ხაზს და მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ოსმალეთი ყველა სახელმწიფოებთან მშვიდობიან ცხოვრებისაკენ ისწრაფვის.

◆

სპარსეთის პრემიერი

თეირანი, 8 ივნისი. გამოქვეყნებულია ბრძანება **მუსტოუფი-მემალეკის** პრემიერად დანიშვნის შესახებ მუსტოუფი მოლაპარაკებას აწარმოებს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებთან მთავრობაში მონაწილეობის შესახებ.

პრესა თავს იჭერს ყოველგვარ კომენტარიებისაგან მთავრობის კრიზისის შესახებ.

ბრძოლა ნადავლისათვის

იაპონიაში

რეფორმისტულ პროფკავშირების თავმჯდომარე—მექრთამე

ტოკიო, 7 ივნისი. რეფორმისტულ პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს სუზაკის ბრალათ ედება, რომ ში-ჰანის ტრამვაის მოსამსახურეების გაფიცვის დროს მან ელექტრონის საზოგადოებისაგან 10.000 იენი მიიღო ქრთამათ. ამის შესახებ მუშათა წრეებში შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს იძლევიან. როცა შეთანხმების პირობებით უკმაყოფილო გაფიცულები ადმინისტრაციასთან გამოცხადდენ და მას შეთანხმების გადათვალიერება მოსთხოვეს, ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სუზაკი მათ შეჰპირდა, 4 წლის განმავლობაში არავითარი გაფიცვა არ იქნება, რისთვისაც მიიღო 10.000 იენი. დადის ხმები, რომ ასეთივე ქრთამი აიღეს რეფორმისტულ კავშირების ზოგიერთმა სხვა თანამდებობის პირებმა.

საქალაქო არჩევნები

ტოკიო, 7 ივნისი. მუნიციპალური არჩევნები იაპონიაში მთავრობის პარტიის კენსეიკაის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

პროფ. ხვოლსონის დაჯილდოება

მოსკოვი, 9 ივნისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა პროფესორი ხვოლსონი, მისი 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის აღსანიშნავად, დაასაჩუქროს შრომის წითელი დროშის ორდენით.

ამხ. ტომსკის მოხსენება

გემო-კვების მუშაკთა ყრილობაზე

მოსკოვი, 8 ივნისი. ტომსკიმ გემო-კვების დარგის მუშების ყრილობაზე წაიკითხა მოხსენება პროფმოძრაობის ამოცანების შესახებ. თანამედროვე მომენტში.

პროფმოძრაობის ძირითადი ამოცანები ახლო პერიოდში, ამბობს ტომსკი, მდგომარეობს მუშათა კლასის აღზრდასა და მომზადებაში მუშათა სახელმწიფოს მართვისათვის. მთავარი მეთოდი ამ ამოცანის განსახორციელებლად—მასიური პროფმოძრაობა.

ის პროფკავშირი, რომელიც სრულიად განახორციელებს ამ ლოზუნგს, საუკეთესოდ ჩაითვლება ს. ს. რ. კ. პროფკავშირებში. პროფკავშირები—საბჭოთა ხელისუფლების ბაზისია. პროფკავშირების გარეშე წარმოუდგენელია პროლეტარიატის დიქტატურა. ახლა როდესაც წარმოებას მუშათა ახალი მასა ემატება, პროფკავშირებმა უწინარეს ყოვლისა ყურადღება ახალგაზრდა პარტაქტივის აღზრდას უნდა მიაქციონ. საჭიროა ამ დარგში მუშაობის მეთოდების გაუმჯობესება. მისი სხვადასხვა გზებით მიმართვა, დაწყებული აუცილებელ შემწეობათა გაცემით და რომ ის არ დაწვრილმანდეს, ჩვენი მოვალეობით.

შეეხო რა პროფკავშირის როლზე, მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარებისათვის, ტომსკიმ სთქვა:

„მომჭირნეობისათვის ბრძოლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი სოციალისტური ამშენებლობის წარმატება. ჩვენ თვალყურს უნდა ვადევნებდეთ როგორ ტარდება მომჭირნეობისათვის ბრძოლა და რომ ის არ დაწვრილმანდეს. ჩვენი მოვალეობაა—დავეხმაროთ მეურნეებს და მივმართოთ მათი მუშაობა, მიზანშეწონილ და გონიერ მომჭირნეობის ხაზით.

ან. სობოლის თვითმკვლელობა

მოსკოვი, 9 ივნისი. 7 ივნისს გათენებისას მწერალმა ანდრია სობოლმა თვითმკვლელობის მიზნით რევოლვერით დაიჭრა თავი. ტყვიამ გახვრიტა კუჭი და ნაწლავები. სობოლი მიიყვანეს სასწრაფო დახმარების ინსტიტუტში, სადაც მას ოპერაცია გაუკეთეს. სისხლისაგან დაცლის და გულის მოქმედების დასუსტების გამო, სობოლი გარდაიცვალა.

ანდრია სობოლი დაიბადა 1888 წელს სარატოვში, ღარიბ ებრაელის ოჯახში. 1904-5 წ. სობოლმა დაიწყო მუშაობა სოციალისტ-რევოლიუციონერების წრეებში. რევოლიუციონურ მუშაობისათვის 1906 წელს მას მიუსაჯეს 4 წლის საკატორღო მუშაობა. სობოლი გაგზავნეს ზერენტუეში ამურის რკ. გზაზე, საიდანაც ის გაიპარა საზღვარ გარეთ. 1915 წლის დასაწყისში სობოლი ფარულათ დაბრუნდა რუსეთში. 1916 წლამდე სხვისი გვარით მუშაობდა კავკასიის ფრონტზე. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ 1917 წელს დაბრუნდა მოსკოვში, საიდანაც 1917 წლის აგვისტოში გაიგზავნა ჩრდილოეთის ფრონტზე მე-12 არმიის კომისრად.

ანდრია სობოლის პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1914 წელს. 1922 წლიდან სობოლი იყო სრულიად რუსეთის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი და მდივანი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

რკინისგზელები ერევანში

ერევანი, 9 ივნისი. 7 ივნისს, 23 საათზე, ერევანში მივიდა მატარებელი ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა ყრილობის დელეგატებით. სადგურის შენობა მორთული იყო დროშებით და მისასალმებელი ლოზუნგებით. აგებული იყო თაღი რევოლიუციის ბელადების პორტრეტებით. დელეგატებმა ღამე გაათიეს სადგურში.

დილით სადგურში მისასალმებლად მოვიდენ სომხეთის ცაკის სახკომსაბჭოს, პროფკავშირების და სხვათა წარმომადგენელნი. სახკომსაბჭომ დელეგატების განკარგულებაში გადასცა ავტომობილები და ავტობუსები. დელეგატებმა ინახულეს ჰიდრო-ელექტრონული სადგური, კულტურის სახლი, სურათების გალერეა, კონიაკის ქარხანა „არარატი". შემდეგ ეჩმიაძინში გავლით დაათვალიერეს ყველა ღირსშესანიშნავი მუზეუმები და ბიბლიოთეკები.

დღის 3 საათზე დელეგატები დაბრუნდენ ერევანში.

ლურჯბლუზელებმა „კრასნი პუტ", რომელნიც დელეგატებთან ერთად ჩამოვიდენ, ტროცკის სახელობის თეატრში პროფკავშირის წევრთათვის მოაწყვეს წარმოდგენა.

თამბაქოს მეურნეობა

ერევანი, 9 ივნისი. ექვს თამბაქოს მომშენებელ ამხანაგობათა მიერ, რომელიც 600 სამეურნეო ერთეულს აერთებენ, დათესილ იქნა სომხეთში სამსონის, დიუბეკის და მაკედონელის ხარისხის თამბაქო. შეუდგენ საშრობთა აგებას, რისთვისაც სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 16.000 მან. კრედიტი გასცა.

მიმდინარე წელში სომხეთის საგარეო სახ. ვაჭრობის კომისარიატის მიერ გატანილი იქნება საზღვარგარედ 14.141 კილოგრამი თამბაქო.

უკანასკნელი ცნობები

ფრანკს არაფერი უშველის.

პარიზი, 8 ივნისი. იმ ღონისძიებათა უნაყოფოდ დამთავრებამ, რომელიც ფრანკის კურსის სიმტკიცის შესანარჩუნებლად იყო მიღებული, სრული არევ-დარევა გამოიწვია როგორც საზოგადოებაში, ისე მთავრობაში, რომელსაც, ალბათ, ან უკვე შემოლია მორგანის სესხი, ან არ სურს ამ სესხის ნარჩენის დახარჯვა ფრანკის კურსის განსამტკიცებლად. ამერიკულ ბანკებთან სესხის შესახებ მოლაპარაკების პერსპექტივებიც უიმედოა, რადგან კამპანია, რომელსაც თითქმის მთელი საფრანგეთის პრესა აწარმოებს შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც დადებულია ბერანჟესაგან ფრანგული ვალების მოუწესრიგების შესახებ, ვერ ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოლაპარაკებისათვის.

მთავრობის მიერ ისეთი პალიატიური ღონისძიების მიღებაზე, როგორიც არის მოხმარების იძულებითი შემცირება, პირველ რიგში წინააღმდეგობა გამოიწვია საქმიანი წრეების მხრივ, რომელნიც აღნიშნავენ, რომ უცხოეთიდან საქონლის შემოტანის შეფერხება გამოიწვევს რეპრესიებს ფრანგული ექსპორტის მიმართ. მოხმარების შემცირება კი შიგნით სახელმწიფოში დააშინებს უცხოელებს, რომელნიც საფრანგეთში საცხოვრებლად მოდიან და აქ აუარებელ თანხებს ხარჯავენ.

სახელმწიფო ხარჯების შესამცირებელ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად შედგენილმა კომისიამ იმავე დროს მიიღო დადგენილება, რომ ღონისძიებები, რომელნიც მიზნად მოხმარების შემცირებას ისახავენ, არ უნდა გავრცელდეს არსებულ სავაჭრო ხელშეკრულებებზე.

გავრცელებულია ხმები, რომ ზოგიერთმა მინისტრმა თავიანთი პორტფელები გადასცეს ბრიანს და ამავე დროს ურჩევენ მას—შეადგინოს ეროვნული კონცენტრაციის სამინისტრო.

დეპუტატების ჯამაგირი.

პარიზი, 8 ივნისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ უარჰყო მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტი დეპუტატებისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

ერთა ლიგის საბჭოს რეორგანიზაცია.

ლონდონი, 8 ივნისი. ინგლისის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში, ლორდმა სესსილმა განაცხადა, რომ კომისიამ, რომელიც ერთა ლიგის საბჭოს რეორგანიზაციის საკითხს იხილავს, მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება, რომლის ძალით საბჭოს დროებით წევრთა რიცხვი უნდა გადიდდეს ცხრამდე, რომლებიც სამი წლის ვადით აირჩევიან. ამგვარად, როცა გერმანია სექტემბერში ერთა ლიგაში შევა, საბჭოში იქნება 14 წევრი. თუ ლიგაში შევლენ შეერთებული შტატები და რუსეთი,—ამბობს ლორდი სესსილი,—მაშინ საბჭოში იქნება 16 წევრი.

ბოროტმოქმედება სამხედრო სამინისტროში.

ვენა, 8 ივნისი. რუმინიის სამხედრო სამინისტროში აღმოაჩინეს ახალი დიდი ბოროტმოქმედება, რომელშიაც წილი უდევთ უმაღლეს სამხედრო თანამდებობის პირებს.

გამორკვეულია, რომ ოფიცრებს, რომლებიც ამ ბოროტმოქმედებას ჩადიოდენ, 1920 წლიდან მიუთვისებიათ 100 მილიონი ლეი; ამ ბოროტმოქმედებას ისინი ჩადიოდენ ქარხნებისათვის სახაზინო ტყავეულის მიწოდების დროს.

ბერლინელ კომუნისტების საქმე

ბერლინი, 8 ივნისი. ლეიპციგში გაასამართლეს ხუთი ბერლინელი კომუნისტი, რომელთაც ბრალად დასდეს სახელმწიფოს ღალატი, აგიტაციის გაწევა რეიხსვერსა და პოლიციის შორის მათი დაშლის მიზნით.

ბრალდებულებს ოთხ-ოთხ წლამდე ციხე და 500 მარკამდე ჯარიმა მიუსაჯეს.

მაღაროს მეპატრონეთა მოლაპარაკება კუკთან

ლონდონი, 9 ივნისი. გამოსთქვამენ საერთო სწუხარებას იმის გამო, რომ მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროეთა წარმომადგენლების გუშინდელი სხდომა უნაყოფოდ დამთავრდა.

კუკმა განაცხადა, რომ მაღაროს მეპატრონენი ისევ ძველ პოზიციაზე დგანან. კუკი მწუხარებას გამოსთქვამს მრეწველობის რეორგანიზაცია და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებისადმი მაღაროს მეპატრონეთა ინდიფერენტიზმის გამო.

ამ ჟამად, მოლაპარაკების განახლების იმედი გაცრუვდა, მემაღაროეთა აღმასკომის წევრებს დღეს ჰქონდათ კრება ლონდონში, რომელზედაც კუკის სიტყვით დაადგინეს „განაგრძონ ბრძოლა სტატუს ქვოსათვის".

მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს დასტოვონ ლონდონი. კომიტეტის ეგრედწოდებული, სანახშირო კაბინეტი დღეს იხილავდა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. იუწყებიან, რომ განიხილეს რამოდენიმე ღონისძიება მომავალი მოქმედებისათვის, მაგრამ გადაწყვეტილებას არ გამოიტანენ ჩამოსვლამდე, სანამ ბოლდუინი ლონდონში არ დაბრუნდება.

ლორდ ბირკენხედი—საბჭოთა მუშების დახმარების შესახებ

ლონდონი, 9 ივნისი. ბრიტანეთის საიმპერიო სავაჭრო საბჭოს საუზმეზე გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლორდ ბირკენხედი შეეხო მემაღაროეთა გაფიცვის საკითხს.

ის ლაპარაკობდა, უმთავრესად, კუკის განცხადებაზე, იმის შესახებ, რომ 400.000 გირ. სტერლინგი მიღებულ იქნა „ამხანაგ რუს მემაღაროეთაგან ბრიტანეთის კოლეგების დახმარების მიზნით".

„ეს იყო მართლაც მნიშვნელოვანი რამ, სთქვა ბირკენხედმა, რომ რუსეთის მემაღაროენი მზად უნდა ყოფილიყვნენ ათ-ათი საათი ემუშავნათ იმისათვის, რომ მათ ინგლისელ ამხანაგებს შესძლებოდათ არ ემუშავნათ 8 საათი. რუსი მემაღაროენი მზად უნდა ყოფილიყვნენ მიეღოთ თავისი ხელფასიდან, [illegible], 25 შილინგი იმისათვის, რომ მათ ინგლისელ ამხანაგებს 40—50 შილინგზე ნაკლები არ მიეღოთ.

მაგრამ მოსკოვში ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ ეს ფული გადაიხადეს არა რუსის სამთამადნო მუშებმა, თავიანთი მეტად მცირე [illegible], არამედ რუსეთის მთავრობამ. რუსების განზრახვა, აშკარად რომ ვსთქვათ, რევოლიუციის მოწყობაა. ბრიტანეთის მთავრობას კი არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია ამის გამო".

მაღაროების მეპატრონეების და მუშების შეხვედრა

ლონდონი, 8 ივნისი. მაღაროების მეპატრონეების და სამთამადნო მუშების შეხვედრა მეტად მღელვარე ხასიათს ატარებდა.

მაღაროების მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ სრულიად ინგლისის მასშტაბით საერთო შეთანხმების საფუძვლად მათ შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ 8 საათის სამუშაო დღე და სამუშაო ხელფასის 10 პროცენტით შემცირება. მეპატრონეებმა დასძინეს აგრეთვე, რომ თუ სამთამადნო მუშები სამუშაო დღის გაგრძელებაზე არ დასთანხმდებიან, მაღაროების მეპატრონეები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის კიდევ უფრო შემცირებას.

სამთამადნო მუშებმა კატეგორიულად უარჰყვეს მაღაროების მეპატრონეების მოთხოვნილებები და მოითხოვეს ქვა-ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაცია, რომლითაც შესაძლებელი იქნება ხელფასის შემცირების თავიდან აცდენა.

მუშები მტკიცედ არიან

ლონდონი, 8 ივნისი. სამთამადნო მუშების კავშირის აღმასკომს ყველა რაიონიდან მოსდის ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ სამთამადნო მუშები ყოველგან სრულ სიმტკიცეს და სოლიდარობას იჩენენ; ცნობებში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ სამთამადნო მუშების საერთო საგაფიცვო მოძრაობაში განსაკუთრებულ აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუშების ცოლები.

დახმარება გაფიცულებს

ლონდონი, 8 ივნისი. შოტლანდიის კოოპერატივთა გაერთიანებამ 1.000 გირვანქა სტერლინგი შეიტანა სამთამადნო მუშების დახმარების ფონდში, რომელიც მუშათა პარტიის წევრ მუშა-ქალების კომიტეტმა დაარსა კილკინსონის თავმჯდომარეობით. კომიტეტის მიერ შეგროვებული თანხის საერთო რაოდენობა 25.000 გირ. სტერლინგს უდრის.

კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ლონდონი, 8 ივნისი. თემთა პალატის წევრები, რომელნიც კონსერვატორების პარტიის უკიდურეს მემარჯვენე ფრთას ეკუთვნიან, განაგრძობენ „დეილი მეილი"-ს მიერ დაწყებულ კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მათ განზრახული აქვთ შეკითხვა მისცენ შინაგან საქმეთა მინისტრს, რატომ აქამდე არ გამოაქვეყნდა კომპარტიის შენობაში 1925 წელს მომხდარ გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი დოკუმენტები და როგორია მთავრობის პოზიცია იმ საკითხებში, რომელიც შეეხება „რუსების დახმარებას" სამთამადნო მუშაობისადმი.

ლემპსონმა „დეილი მეილი"-ს წარმომადგენელს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა უკანვე უნდა დავიბრუნოთ.

„დეილი ნიუს" ეხება გაჩაღებულ კამპანიას და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობასთან კავშირის გაწყვეტა საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით უგუნურობა იქნებოდა.

ოსმალეთი და ერთა ლიგა

ბერლინი, 9 ივნისი. „პტი პარიზიენის" ცნობით ოსმალეთი შევა ერთა ლიგაში. ამის შესახებ მოლაპარაკება უკვე დაიწყო.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

როგორ „გაჭყავდათ" წყალტუბოს გზა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა წყალტუბოს გზის გაყვანის გამოკვლევა.

გზის გაყვანა საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ დაიწყო 1925 წლის ივნისში მთავარ საკურორტო სამმართველოს დავალებით; ამ უკანასკნელს არ ჰქონდა საამისო თანხები, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ მიიღებდა მათ. საკურორტო სამმართველოს იმედები არ გამართლდა.

გზატკეცილების სამმართველომ თავის დროზე ყურადღება არ მიაქცია თანხების უქონლობას; მან არ დაუცადა უფრო ხელსაყრელ მომენტს და წინასწარი გამოკვლევის მაგივრად ივნისში შეუდგა მუშაობას გზის მთელ მანძილზე. როდესაც სრულიად შესწყდა თანხების მიწოდება გზის მშენებლობისათვის და გაიზარდა დავალიანება მუშებისადმი, გზატკეცილების სამმართველო იძულებული იყო ოფიციალურად შეეწყვიტა მუშაობა 1926 წლის 23 იანვრიდან, შტატი კი დაითხოვა სამი თვის შემდეგ, ე. ი. მიმდინარე წლის აპრილის ბოლო რიცხვებიდან. ამ უყაირათობის გამო სამმართველომ იზარალა 18.750 მანეთი 63 კაპ.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ გზატკეცილების სამმართველოს მუშაობის სისტემა არ იყო სწორი, რადგან ისეთი მცირე თანხებით, რომელიც სამმართველოს ჰქონდა, არ შეიძლებოდა მუშაობის წარმოება გზის მთელ მანძილზე; სამმართველოს მუშაობა უნდა ეწარმოებია ცალ-ცალკე უბნებში, რაც შეამცირებდა სხვა ახალ ხარჯებსაც.

გზის გაყვანა, რომელიც თანხების თავის დროზე მიწოდების დროს შეიძლებოდა დამთავრებულიყო სამ თვეში, 11 თვე გაგრძელდა; ამ ხნის განმავლობაში შესრულებული იქნა მხოლოდ სამუშაოების 69 პროც.

სამუშაოები დაჯდა 87.710 მანეთი; აქედან მუშებს მისაღები აქვთ კიდევ 741 მანეთი და გლეხებს კომპენსაციის სახით—1.353 მანეთი.

ამას გარდა ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უნაყოფო ხარჯებს მივლინებებზე, ცხენის შეძენაზე და სხვა. ეს უნაყოფო ხარჯები რომ არ ყოფილიყო, გზატკეცილის სამმართველოს შეენახებოდა 13.831 მანეთი 76 კ.

საბოლოო ანგარიშში გზა დაჯდება 123.009 მანეთი 99 კ., მუშაობა რომ ნორმალურ პირობებში ყოფილიყო წარმოებული გზა დაჯდებოდა არა უმეტეს 96.253 მანეთისა, ე. ი. უფრო იაფი დაჯდებოდა 16 პროცენტით.

გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი და წინადადებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს გზატკეცილების სამმართველოს და მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ დაშვებულ შეცდომების და დეფექტების აღმოფხვრას.

ავტომობილებით სარგებლობა

(მომჭირნეობისათვის მებრძოლ ცენტრალურ კომისიაში).

საქ. კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ მომჭირნეობისათვის მებრძოლმა კომისიამ დაადგინა:

წინადადება მიეცეს სახალხო კომისარიატებს შეაჩერონ მათ განკარგულებაში მყოფი ყველა მსუბუქი ავტო-მანქანები.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ გარაჟს გადაეცეს 6 მანქანა. ამ გარაჟიდან მანქანებით ისარგებლებენ: საქართველოს ცაკი, სახალხო კომისართა საბჭო, შინაგან საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, ჯანმრთელობის, იუსტიციის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, მიწათმოქმედების და ფინანსთა სახალხო კომისარიატები.

მანქანებით სარგებლობის წესების შემუშავება დაევალოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას.

წინადადება მიეცეს თბილისის აღმასკომს მოაწყოს ცენტრალური გარაჟი და არსებულ მსუბუქ მანქანების რიცხვი შეამციროს გამოქვეყნებულ დადგენილების თანახმად.

აღმასკომის გარაჟიდან მანქანებით სარგებლობის წესის შემუშავება დაევალოს თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს.

წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოაწყოს ცენტრალური გარაჟი 4 მსუბუქი მანქანით ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმისა და მასში შემავალ ტრესტების საჭიროებისათვის. მანქანების სარგებლობის წესის შემუშავება ევალება ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს.

წინადადება მიეცეს ყველა დაწესებულებებს, რომელთაც ჩამოერთვათ მანქანები თანახმად გაზ. „კომუნისტი"-ს 123 ნომერში გამოქვეყნებულ სიისა შეაჩერონ მანქანები, სანამ არ იქნება განსაზღვრული ჩამორთმეულ ავტომობილების ექსპლოატაციის წესი.

წინადადება მიეცეს აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას აუკრძალოს ქალაქში მსვლელობის უფლება, ჩამორთმეულ მანქანებს.

სახალხო კომისართა საბჭოს, თბილისის აღმასკომის და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გარაჟებში მოთავსებულ მანქანების სარგებლობისათვის დაწესებულ იქნეს საგზო ფურცლები, რომელშიაც უნდა იქნეს აღნიშნული: ვინ ისარგებლა მანქანით, გარაჟიდან გასვლისა და დაბრუნების დრო და სად იყო მანქანა.

ხორცით ვაჭრობის მოწესრიგება

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო ა.-კ. „მიასოტორგ"-ის ხარჯების ყოველმხრივი შემცირება.

„მიასოტორგ"-ის აპარატი ამჟამად 50 პროცენტით შემცირებულია.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ დაავალა ა.-კ. „მიასოტორგ"-ს მოახდინოს ზედ-ნადებ ხარჯების შემდგომი შემცირება.

ხორცის დასამზადებელ რაიონების საკითხში ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გამოყენებულ იქნეს, როგორც საბჭოთა კავშირის საშინაო ბაზრები, ისე სპარსეთის ამიერ-კავკასიასთან ახლო მდებარე ბაზრები.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ აღნიშნა, რომ ა.-კ. „მიასოტორგ"-ს არა აქვს სათანადოთ გამოკვლეული და შესწავლილი ხორცის დასამზადებელი რაიონები და მათი დანაწილების საკითხი, რისთვისაც მას წინადადება ეძლევა სასწრაფოდ შეიმუშაოს და ამ რაიონების დაყოფის გეგმა. ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ დაინტერესებული უწყებები და ორგანიზაციები.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ განიხილა აგრეთვე ა.-კ. „მიასოტორგ"-ის ფინანსების საკითხი. სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორამ ცენტრიდან მიიღო განკარგულება მიაწოდოს ა.-კ. „მიასოტორგ"-ს სესხის სახით 250.000 მანეთი, რის გამო ამიერ-კავკასიის „მიასოტორგ"-ს წინადადება მიეცა მოელაპარაკოს სახელმწიფო ბანკის კანტორას ამ სესხის გამოყენების წესის და სათანადო ვალდებულებების მიღების შესახებ.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

სამარცხვინო ჩვეულება

ფაბრიკა-ქარხნიდან მალულად საქონლის ან შრომის იარაღების გატანას მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს წარმოებისათვის. ამ სენს, რომელიც ამცირებს მუშათა კლასის ღირსებას, არა თუ ეხლა, საბჭოთა წყობილების პირობებში, არამედ მეფის დროსაც ებრძოდა შეგნებული პროლეტარიატი. ფაბრიკანტებს და მეფის ადმინისტრაციას ამის წინააღმდეგ მრავალგვარი საშუალება ჰქონდათ. მათ შორის ხმარებაში იყო შემოღებული მუშების გაჩხრეკა

ეს, ჩვენს პირობებში, როცა პროლეტარიატი ხელისუფლების მესაჭე და ქვეყნის ბატონ-პატრონია, რასაკვირველია, მუშის მოქალაქეობრივ ღირსების შემლახავ ჩვეულებათ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ბევრგან მუშების გაჩხრეკა კიდევაც გააუქმეს. მაგრამ, თითო მახინჯი ყოველ ოჯახში გამოერევა, და მუშათა წრეებშიაც არიან ასეთი მახინჯები. გაჩხრეკის გაუქმებამ ისინი უფრო გაათამამა და თავიანთ სამარცხვინო ხელობას თუ აფართოვებენ, თორემ არ სტოვებენ.

მოსკოვის „რაბოჩაია გაზეტა"-ს მუშა კორესპონდენტები შემდეგს სწერენ ამის შესახებ სხვადასხვა ადგილებიდან:

„კრასნოვოლსკის მანუფაქტურაზე, ქ. კინეშმაში (ივანოვო-ოზნესენსკი გუბ.) აქამდე სწარმოებს მუშების გაჩხრეკა. ფაბკომმა სცადა გაეუქმებია ის, მაგრამ ამას ხელს უშლის ქურდობა.

ამას წინათ ჩვენს ფაბრიკაში დაიჭირეს ერთი გამხეთავი, რომელსაც გაჰქონდა საქსოვი ძაფები. სახლში გაჩხრეკისას მას აღმოაჩნდა სამ ფუთამდე ასეთივე ძაფი და 6 ფურცელი სახურავის თუნუქი".

მეორე კორესპონდენციაში ნამცხვრების ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრ"-იდან „რაბოჩაია გაზეტა"-ს სწერენ:

„აპრილში, ფაბრიკიდან გამოსვლის დროს, მოწყობილ იქნა მოულოდნელი გაჩხრეკა, რომლის დროსაც მუშა ვარაბიოვას ქალს აღმოაჩნდა მოპარული შაქარლამა".

ადმინისტრაციამ ქურდობისათვის მას მხოლოდ გაკიცხვა გამოუცხადა და გააფრთხილა, რომ შემდეგ ამგვარ შემთხვევის დროს ის დათხოვნილი იქნება სამსახურიდან.

ასეთ მსუბუქ სასჯელმა აალელვა საშაქარლამო მუშა ქალები და კაცები, რომელთაც დამნაშავე პირი დაათხოვნეს სამსახურიდან.

მრავალი ასეთი ხასიათის კორესპონდენციები მოჰყავს კიდევ გაზეთს. დასკვნა ერთია. საჭიროა ამ სამარცხვინო ჩვეულების წინააღმდეგ თვით მუშათა საზოგადოებრივ აზრის ამოქმედება. იმაზე, თუ რამდენად მაღლა დგას ამა თუ ფაბრიკა-ქარხნის მუშათა შეგნება და რამდენათ სალი ამხანაგური განწყობილება იქ დამყარებული, ბევრათაა დამოკიდებული მუშების სახელის და ღირსების დამამცირებელ ქურდ-ბაცაცობის მოსპობა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშებით

[illegible]

ბათომი, 9 ივნისი. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ არსდება აჭარისტანის ბუნებრივ სიმდიდრეთა შემსწავლელი ექსპედიცია. ექსპედიცია გაემართება აჭარისტანის მთიან ადგილებში—ხულოს და ქედის მაზრებში.

ნარმა

ბათომი, 9 ივნისი. ამიერ-კავკასიის კოოპკავშირის ბათომის განყოფილება ამერიკიდან მოელის ნარმის დიდ პარტიას. მიღებული ნარმის ნაწილი დატოვებული იქნება აჭარისტანის საჭიროებისათვის.

გლეხკომები

ბათომი, 9 ივნისი. აჭარისტანის გლეხთა კომიტეტების ცენტრალურ კომიტეტის მიერ მაზრებში დაარსებულ იქნა 15 სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, რომელიც 350 გლეხს აერთიანებს.

საკრედიტო ამხანაგობები

თელავი, 9 ივნისი. უკანასკნელ ხანში შემჩნეულია საკრედიტო ამხანაგობებში მუშაობის გაუმჯობესება. დეფიციტები იშვიათი მოვლენა შეიქნა, პაების შემოტანა გაძლიერდა. სესხების დანიშნულ დრომდე დაფარვამ 25 პროცენტამდე მიაღწია. სამი საკრედიტო ამხანაგობა: შილდის, ახალსოფლის და შაშიანის გაერთიანებული იქნა ადგილობრივ ღვინის მომყვან ამხანაგობებთან, რითაც აცილებულია პარალელიზმი, შემოკლებულია შტატი. თავისი მუშაობით გამოირჩევა თელავის საკრედიტო ამხანაგობა. გაზაფხულისთვის მან თავის წევრებს შორის, რომელთა რიცხვი 760-დე აღწევს, გაანაწილა 100.000 ცალი დასამყნელი ვაზი, 1.700 ფუთი შაბიამანი, 600 ფ. გოგირდი, 115 ვერმორელის აპარატი, 2.376 ცალი მაშხალა, გამოწერილია ტრაქტორი.

ზეიმობა

ცხინვალი, 9 ივნისი. გუშინ, ცხინვალში ოსეთის გასაბჭოების ექვსი წლის თავი ზეიმით იდღესასწაულეს.

თავისუფლების მოედანზე შესდგა მიტინგი, ყველა პარტიულ საზოგადოებრივ და კომკავშირის ორგანიზაციების მონაწილეობით. ზეიმს უამრავი გლეხობა მოაწყდა ახლო-მახლო სოფლებიდან. ორატორები სიტყვებში აღნიშნავდენ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს განვლილ პერიოდში.

გაიმართა ტერიტორიალურ ნაწილების პარადი.

ორგანიზაციებისა და გლეხებისათვის მოწყობილ იქნა უფასო სანახაობა და კინო.

რა აწუხებს ქოხ-სამკითხველოებს

(წერილი შორაპნის მაზრიდან)

[illegible] სამკითხველოს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია სოფლისათვის, როგორც პრაქტიკულ ისე პოლიტიკურ განვითარების სახით. მაგრამ ჯერ-ჯერობით განვითარების სახით. მაგრამ არა აქვს სათანადო ყურადღება მიქცეული ვისგანაც ჯერ არს.

ზოგიერთ ქოხ-სამკითხველოში ისეთი გამგე არის დანიშნული, რომ მისი უხეირო მოქმედებით გლეხებს სულ შესძულდათ სამკითხველო, ზოგში ზარმაცი და უმოქმედოა და ზოგში კი საქმის სრულებით არ მცოდნე. ეს დიდ ზიანს აყენებს სოფლად პოლიტგანათლების განვითარებას.

იშვიათად შეხვდებით ჩვენ სოფლებში ერთგულ მომუშავე სამკითხველოს გამგეს და, თუ არის, ისიც უფლება აყრილია. ყველა მას უბრძანებს, დაწყებული თემის დარაჯიდან, გათავებული პოლიტ-განათლების მთავარ მართველამდე.

თუ გაბედა და რომელიმე ადამიანის ცუდი მხარე კედლის გაზეთის ან სხვა საშუალებით სინათლეზე გამოიტანა, ვინ იცის, როგორ დევნას და მუქარას უნდა ელოდეს სხვადასხვა ხრიკების სახით და ზოგჯერ აშკარადაც.

ეხლა ვიკითხოთ, როგორი დავალებანი აქვს მას? მთელი დიდი წიგნებია შედგენილი სახელმძღვანელოთ ქ.-სამკითხველოს გამგისათვის, მაგრამ ერთ ადამიანს შეუძლია შეასრულოს ყველა ის, რაც იქ სწერია?—არა. მის შესრულებას მაქანა თუ შესძლებს მხოლოდ. ამ რიგათ, მუყაით სამკითხველოს გამგეს 16 საათი უხდება მუშაობა. ამასთან სამკითხველოს გამგე ერთ და იმავე დროს არის: სამკითხველოს დარაჯი, დამტარებელი, დამგველი და სხვა. დახმარებას არ უწევს არავინ, არც ტეხნიკურად და არც ნივთიერად.

სამკითხველოს გამგე, რომელიც პირნათლად არ ასრულებს თავის მოვალეობას აგებს ამისათვის პასუხს თუ არა? საუბედუროდ არავინ თხოვს პასუხს. არის გადადებული თვეში ხუთმეტი მანეთი გინდ გააკეთე რამე და გინდ არა, ეს ფული მაინც გეძლევა. ჩემი აზრით საქმის ასეთ პირობებში დატოვება შეუწყნარებელია. საჭიროა დროზე იქნეს შედგენილი და ჩამოყალიბებული შესაძლებლობის ფარგლებში ქ.-სამკითხველოს გამგეების უფლება—მოვალეობანი, საჭიროა ხელისუფლებამ მოითხოვოს ამ ფარგლებში ქ.-სამკითხველოს გამგეებისაგან ანგარიშის მიცემა და უზრუნველჰყოს [illegible] ჯამაგირით რამდენადმე მაინც.

იმედია ჩვენი ხელისუფლება და კომპარტია მიაქცევს ყურადღებას ამ ფრიად საინტერესო საკითხს და თავის დონეზე დააყენებს მას. გლეხობას შეუყვარდა ქ.-სამკითხველო და საჭიროა მათ ჰყავდეს იქ ღირსეული ხელმძღვანელი, ღირსეულად უზრუნველყოფილი.

პლატონ ცინცაძე.

წერილები

ძველი ჩვეულება ვერ მოიშალეს

კვირა დღეა, ხონის ბირჟაზე დიდი მოძრაობა, მიდიან მაღლაკში „ოქონობაზე"—დიდი პატარა, ვაჟრები. მშვენიერი ამინდია, კვირაა, მწვანეზე „ძეთილი გულით" გაშლილი სუფრა, ქალიშვილები, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც შეეხება „ამ ქვეყნიურ ბედნიერებას".

12 საათისათვის დაიძრა მხიარული ქარავანი. გზაში ზურნა, არღანი და გრამაფონი ერთმანეთს ეცილება. ასე ამ გვარათ წრიპინით, ყიჟინით, ხრიალით მიდიან მაღლაკში, იქვე მეზობელ სოფლებიდან ხალხი ურმებით (ზედ აკვნები, ქვეშაგებით და სხვა) მიეშურებიან ნანატრ სოფლისაკენ.

მეორე დილას, ე. ი. ორშაბათს, ხონიდან ვბრუნდებოდი. მაღლაკის დუქნებზე ჩამი ჩუმი არ ისმის. ქვეყანა, რომ დაიქცეს, ერთ კაცს წესრიგის დამცველს ვერ ნახავ. „ოქონობა"-ს აღმასკომის თავმჯდომარეს ნადიმი გაუმართავს და ნურას უკაცრავად, რომ თავის დროზე ვერ გაახლდათ, საუკეთესო მაგალითია! აქვე დუქანზე ორიოდე თავშეხვეული „ნაომარი" ყმაწვილი სდგას უძილობითა და ღვინით მოქანცულნი მოჩვენებას ჰგავან.

სიჩუმეა. ჯერ არავინ ფიქრობს წამოსვლას. მხოლოდ თითო ოროლას ძლივს დაუღწევია თავი და მიეჩქარებიან ქუთაისისაკენ. საუბედუროთ საშუალება არ მქონდა, ჩემი თვალით მენახა ის კურთხეული ზეიმის ადგილი, ბრძოლისა და „დაკვრის" ასპარეზი.

მაღლაკის თითოეულ გლეხს „ოქონობაზე" 10-დან 15 კაცამდე ჰყავდა სტუმრათ.

განსაცვიფრებელია ამ ხალხის საქმე, მეუბნება ერთი კომკავშირელი გლეხი, როდესაც საქმე საქმეზე მივა ყველა ღარიბი და ავადმყოფია, ითხოვენ გადასახადის პატიებას, შეღავათ-დახმარებას, მაგრამ როდესაც საქმე ქეიფზე მიდგება, „ქვას წურავენ" და ფულს შოულობენ, ჰყიდიან სარჩო საბადებელს, ერთ დღეს ყველაფერი აქვთ, ხოლო ჩვეულებრივათ სანახევროდ მშიერი არიან. ეს ხომ ყოვლად გაუმართლებელი რამაა?"

კ. ნ.

შეფი გვეხმარება

(დილიკაურის თ. შორ. მ.)

კულტურულად ეს თემი დიდათ ჩამორჩენილია. არა გვაქვს შენობები, რომლის გამო საექიმო პუნქტი მოთავსებულია ნაქირავებ შენობაში, სოფლის განაპირა უბანში, რის გამო ხალხი უზომო გაჭირვებას განიცდის. გვაქვს ოთხწლედი, მაგრამ მისთვისაც არ არის დამთავრებული შენობა, ამიტომ მეცადინეობა დილა-საღამოს სწარმოებს.

ადგილობრივად არავითარი შემოსავალია, რომ ადგილობრივმა აღმასკომმა გამოიჩინოს ინიციატივობა და სკოლის შენობა დაამთავროს. გვქონდა აბანო, რომელიც იჯარით არის გაცემული და რომლის შემოსავალი ჯანმრთელობის განყოფილებას მიაქვს. არის საწისქვილო ქვები, მაგრამ ბაზრის უქონლობის გამო მუშაობა არ სწარმოებს. მდიდარი იყო ჩვენი თემი ტყეებით; უწესო გაჩეხვამ ისინი გაანადგურა.

ჩვენს მდგომარეობას ანგარიში გაუწია ზესტაფონის მევენახეთა საზოგადოებამ „იმერეთმა", რომელმაც იკისრა დილიკაურის სასწავლებლის შეფობა. „იმერეთმა" ერთ[illegible] დახმარება აღმოუჩინა სოფელს ოცდაათი თუმნის მიცემით.

უკანასკნელ თანხას ადგილობრივი აღმასკომი სცდილობს მიუმატოს სხვა საშუალებანი და პირველ რიგში სკოლის უმთავრესი საჭიროებანი მოაგვარონ.

ამბროსი სალაძე.

კაცის მეგობარი ბუზი

(წერილი გორის მაზრიდან)

ჩვენს მეურნეობაში მეფუტკრეობას საუკეთესო ადგილი უჭირავს. წინათ ძალიან ცოტა მისდევდა ამ კულტურულ საქმეს და ხშირათაც ძველ მეფუტკრეებს დასცინოდენ, „კაცი ბუზს დასდევს"-ო, მაგრამ ბოლო ხანებში მოსახლეობამ გაიგო მეფუტკრეობის შინაარსი და მისი სარგებლიანობა.

ამ ბოლო ხანებში ბევრმა მოჰკიდა ხელი მეფუტკრეობას. თითქმის მთელი მოსახლეობა დაინტერესებულია შესცვალოს ძველი სისტემის კოდები, ახალ დადან-ბლატის სკის სისტემით. მეფუტკრეობას ღირსეული შემოსავლის მოცემა შეუძლია, მაგრამ აღსანიშნავია წლევანდელი წელიწადი. დადგა სეზონი, დაიწყო ღალიანობა, მაგრამ საუბედუროთ დაიჭირა წვიმიანი ამინდებიც. უკვე გადის მთავარი ღალიანობის სეზონი და ფუტკარი გარეთაც ვერ გამოდიოდა და ცხადია, ვერაფერს შეიტანდა სკაში. მოლოდინი ძალიან ცუდია, რადგანაც ამ წელს მოსალოდნელია საფუტკრეების დამშევა და სრულიად განადგურება, თუ ამას არ მიექცა სათანადო ყურადღება და ფუტკარს დროზე არ მიეცა საკვები (სიროფი). მეფუტკრე გლეხებს სესხის სახით უნდა მიეცეს დაბალი ხარისხის ფხვნილი შაქარი სიროფის შესამზადებლათ, რითაც შეგვეძლება საფუტკრეების განადგურებისაგან გადარჩენა.

პ. გაგნიძე.

მეაბრეშუმეობა ფართოვდება

(სენაკის მ.)

მეაბრეშუმეობას ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

დადგება თუ არა გაზაფხული ჩვენი ქალები სულ ჭიის თესლზე ფუსფუსებენ. ზაფხულობით მეაბრეშუმეობას გლეხის მთელი ოჯახი ეწევა და ის შემოსავლიან წყაროდ ითვლება. მაგრამ მეაბრეშუმეობას ჩვენში 1923 წლამდე არ ჰქონდა მკვიდრი საძირკველი. რომ გადავავლოთ თვალი მის განვითარებას,—დავინახავთ, რომ, თუ 1921 წელში სენაკის მაზრაში მოსახლეობას მხოლოდ 30 პროცენტი მისდევდა, 1926 წელს თესლი დაურიგდა მოსახლეობის 60 პროცენტს.

ამ ბოლო ხანს ემჩნევა ფოთლის ნაკლებობა. ქალები 8—10 ვერსს გადიან, რომ ტყეში მოკრიფონ თუთის ფოთლები. ეს სიმცირე მოისპობოდა, რომ ჩვენი სატყეო ორგანიზაციები დააყენებდენ თუთის ხის მოშენების საქმეს მკვიდრ საფუძველზე, როგორც ტყეებში, ისე თვით სოფლებში.

ამ საქმეს ჩვენს მაზრაში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ამავე დროს აღსანიშნავია მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორების სიმცირე. საზოგადოება „აბრეშუმმა" ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

მიმდინარე წელს აბრეშუმის ჭიის ზრდას თვით ჰავაც ხელს უწყობს. გვაქვს იმედი, რომ მოსავალი საშუალო იქნება თუ უკანასკნელად ცუდი ამინდი არ დაიჭირა. გლეხები კი თავის შრომას არ დაზოგავენ.

ბ. უჩ[illegible]იშვილი.

დარჩელს შველა უნდა

(ზუგდ. მ.)

ამ უკანასკნელ ორ-სამი წლის განმავლობაში ამ რაიონში თავი იჩინა სასტიკმა და შეუბრალებელმა სენმა, ჭლექმა. ამ სენმა დარჩელის რაიონში ძლიერ ფართე ხასიათი მიიღო, თვე ისე არ გავა, სამი თუ ოთხი კაცი არ იმსხვერპლოს, და ათი-თხუთმეტი კაცი ერთ-მეორისაგან არ მოიწამლოს.

თვით გლეხკაცობამ ამ სენის მნიშვნელობა არც კი იცის და არ არის მორიდება ავათმყოფთან. ბაზარში არის სამი-ოთხი ამ სენით ავათმყოფი, რომლების ბინიდან ძალიან შესაძლებელია ამ სენის ყოველ დღიურათ სხვებზე გავრცელება.

ამ მდგომარეობას, (მიუხედავათ იმისა, რომ აქ საექიმო პუნქტი არსებობს) ყურადღებას არავინ აქცევს, და თუ დროზე არ იქნა სათანადო ზომები მიღებული, სულ მოკლე ხანში ეს სენი ისეთ ფართე ხასიათს მიიღებს, რომ შემდეგ მისი მოსპობა გვიან იქნება და ძნელიც.

იქაური.

წერილებიდან

ს. ზედა-სიმონეთი, (ქუთ. მ.)

ვისი ეშინოდა? კალისტრატე დოლიძემ ფარულად დაიწერა ჯვარი ეკლესიაში. თუ კალისტრატეს ასე სწამს ღმერთი და საეკლესიოს მადლი, რაღა ქურდულათ გაიპარა ეკლესიაში? ჯერ პარტიაში განეცხადებია და პარტბილეთი ჩაებარებია უჯრედის მდივნისათვის, შემდეგ, თუ უნდოდა, ქეიფით და დაფა-ზურნით წასულიყო ანაფორიანთან.

კორწოხელი.

სოფ. შილდა (თელავის მაზრა).

ასაბაშვილი გათამამდა. სამსონ ასაბაშვილი ცნობილი მდიდარი მღვდელია ჩვენს რაიონში. მას, როგორც მღვდელს, ჩამოართვეს ადგილ-მამული. მამაომ ხერხი იხმარა, გაიკრიჭა და შუამდგომლობა აღძრა მამულების დაბრუნების შესახებ. ვენახები ასაბაშვილს დაუბრუნეს, ხოლო დანარჩენი მიწები გლეხებს დარჩათ. დღეს გათამამებული მამაო დაწესებულებიდან დაწესებულებაში დაძრწის და მთელი ადგილ-მამულების დაბრუნებას ითხოვს. ასაბაშვილს მარტო იმდენი ფუტკარი ჰყავს, რომ ორ ოჯახს არჩენს.

მშრომელი.

ნარინჯოვანი მცენარეები

გურიაში

კარგა ხანია, რაც გურიაში დაიწყო ნარინჯოვანი მცენარეების (უმთავრესად მანდარინა) გავრცელება, მაგრამ 1924-25 წლის დიდმა ზამთარმა თითქმის სრულებით გაანადგურა ეს კულტურა.

წარსული ცდებით დამტკიცებულია, რომ ნარინჯოვან მცენარეთა კულტურას საკმაო დიდი მომავალი აქვს გურიაში, ვინაიდან ჰავის და ნიადაგის პირობები ხელს უწყობენ მის გავრცელებას; მას საკმაო შემოსავალი შეუძლია მისცეს გლეხობას.

საქართველოს საგეგმო კომისიამ გაითვალისწინა ყოველივე ეს და ნარინჯოვან მცენარეთა კულტურისათვის გადაეცა წარმოკავშირს, როგორც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალურ კავშირს, 10.000 მანეთი. წარმოკავშირის მიერ განზრახული იყო სანერგის მოწყობა გურიაში, მაგრამ გლეხობის დაჟინებითი მოთხოვნილებით, რომელიც უფასოდ კისრულობდა სამუშაოების შესრულებას, საჭიროთ იქნა ცნობილი ორი სანერგეს მოწყობა: ერთი სოფ. გულიანში ამხანაგობა „ლიმონი"-ს ხელმძღვანელობით დასავლეთ გურიისათვის—და მეორე სანერგე სოფ. აცანაში ამხანაგობა „ყლორტი"-ს ხელმძღვანელობით აღმოსავლეთ გურიისთვის.

ორივე სანერგეს და სადედეს სივრცე 1½ დესეტინას უდრის. დამზადებულია დასამყნელად 80.000 ძირი მწარე ლიმონი, აგრეთვე დათესილია 4 ფუთამდე მწარე ლიმონის თესლი, რომლიდანაც ამოსულია 200.000 ძირამდე ახალი ნაზარდი. ამნაირად 1927 წ. გურიის გლეხობა მიიღებს დაახლოებით 70.000 ერთი წლის ნამყენს, ხოლო 1928 წ. კი—170.000 ძირამდე.

წარმოკავშირს განზრახული აქვს ამ სანერგეების გადიდება და მათთვის საცდელის ხასიათის მიცემა სხვა კულტურებისათვისაც (დაბალი ვენახების ჯიშები და სხვა).

ამხანაგობა „ყლორტი" და „ლიმონი" დიდ მომჭირნეობას და გეგმიანობას იჩენენ ამ საქმეში; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წარმოკავშირის ხელმძღვანელობით ისინი შესძლებენ გლეხობის ნდობის სავსებით გამართლებას.

ი. ბ.

ტყეების მოწყობა

მიწათმოქმედების კომისარიატის ინიციატივით, დასრულდა წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოსაწყობათ.

ტყის მოწყობას ჩაატარებენ სატყეოთა გამგეები და ცალკე სატაქსაციო (დამახასიათებელ-დამანაწილებელი) ჯგუფები მიწის მზომელების დახმარებით. მოწყობა გამოიხატება იმაში, რომ თვითეული თემისთვის ან სოფლისთვის გადასაცემი ტყე გამოყოფილი იქნება აგარაკებათ და ამ ტყის ნაკვეთის შესახებ შემუშავებულ იქნება ცალკე სამეურნეო გეგმა.

ტყეების მოსაწყობათ პირველ ხანებში ადგილებზე დაიგზავნებიან გამოცდილი მეტყევეები 30 კაცის შემადგენლობით. ამ სამუშაოების ჩასატარებლათ განზრახულია დაიხარჯოს 54 ათასი მანეთი.

შრომის მოწესრიგება

მუშა-ხელის მომზადება

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა შესაძლებლად სცნო ა.-კ. საგეგმო კომისიასთან მოაწყოს სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობას მუშა-ხელის მოსამზადებლად მისცემს გეგმიან ხასიათს.

ამ კომისიის ფუნქციები იქნება გეგმების დამუშავება და საკითხების თეორეტიული გადაწყვეტა.

პრაქტიკული მუშაობის წარმოება კი კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად, განზრახულია დაეკისროს სხვადასხვა უწყებებს კუთვნილების მიხედვით: შრომის სახალხო კომისარიატს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს, კომკავშირს და სხვა.

უმუშევრობასთან ბრძოლა

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილების ცნობით, უმუშევრობასთან საბრძოლველად მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში დახარჯული უნდა იქნეს 402 ათასი მანეთი. ამ თანხიდან 102 ათასი მანეთი გადადებულია უმუშევართა სოციალურ დაზღვევისათვის.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სათანადო ორგანოებს მიცემული აქვს დირექტივები უმუშევრობისათვის გადადებული თანხების დახმარების მთავარი მუხლების მიხედვით დახარჯვის შესახებ: თანხები უნდა მოხმარდეს საზოგადო სამუშაოების, შრომის კოლლექტივების ორგანიზაციას და უმუშევართა გადამზადებას.

გადაწყვეტილია, უმუშევართა ფონდიდან მცირეოდენი თანხა მოხმარდეს საკორესპონდენტო პუნქტების მოწყობას სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. ამ პუნქტების საშუალებით მოსახერხებელი გახდება მუშა-ხელის სოფლებიდან (სამუშაოდ) ქალაქებში წამოსვლის მოწესრიგება.

უმუშევრობისათვის გადადებულ 402 ათასი მანეთიდან ჯერ-ჯერობით დახარჯული 125 ათასი მანეთი. საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე დახარჯული იქნება დანარჩენი—277 ათ. მანეთი.

თემებში მომუშავენი

ამჟამად რესპუბლიკის მაზრებში მიმდინარეობს თემაღმასკომების თავმჯდომარეთა გადასამზადებელი კურსების მოწყობის კამპანია.

ასეთი კურსები უკვე გაიხსნა ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრებში. ზოგიერთ ადგილებში კი გახსნილი იყო და მეცადინეობაც სწარმოებდა.

გადასამზადებელ კურსებზე მეცადინეობა სწარმოებს თანახმად შინ. საქ. სახ. კომისარიატის მიერ გამომუშავებული წესისა. კურსების მოწყობის საქმეს ადგილებზე ხელმძღვანელობენ შინ. საქ. კომისარიატის ინსტრუქტორები.

ამას წინეთ ყველა მაზრებში მოწყობილი იყო თემაღმასკომების მდივნების გადასამზადებელი კურსები. კურსებმა უკვე დაამთავრეს თავიანთი მუშაობა ყველა მაზრებში.

ამნაირად ახლო ხანში ჩვენი სოფლები უკვე უზრუნველყოფილი იქნებიან გამოცდილი მუშაკების კადრით.

გზატკეცილები

სამხრეთ-ოსეთი

საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში ყველაზე მეტად უგზოობა აწუხებს სამხრეთ-ოსეთს, სადაც, ბილიკებს და ვიწრო საურმე გზებს გარდა, ისეთი გზატკეცილები არ მოიპოვება, რომ ავტონომ. ოლქის სხვადასხვა რაიონებს ერთმანეთთან აკავშირებდეს. უკანასკნელ დრომდე სამხრეთ-ოსეთში არსებობს მხოლოდ ორი გზა-ტკეცილი, რომლის საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში ზამთარ-ზაფხულ შეიძლება მოგზაურობა, გორი-ცხინვალის და ცხინვალ-ჯავას გზატკეცილები. დანარჩენი რაიონები უგზოობის გამო მოწყვეტილი არიან ერთი-მეორეს და ცენტრს განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.

სამხრეთ-ოსეთის ხელისუფლების ორგანოებმა ამ გარემოებას მიაქციეს ყურადღება ჯერ კიდევ გასულ წელს და გამოიმუშავეს გეგმა საგზაო ქსელის გასაფართოებლად. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება დაიწყო, ამჟამად სამხრეთ-ოსეთში მიმდინარეობს გაცხოველებული საგზაო მშენებლობა: გაჰყავთ მრავალი სარაიონო მნიშვნელობის გზები და ერთიც მთავარი გზატკეცილი, რომელიც მიიმართება ავტონომიური ოლქის სიღრმეში 54 ვერსის მანძილზე. უახლოეს 3 წლის განმავლობაში სამხრეთ-ოსეთს ექნება რიგიანი მისვლა-მოსვლისათვის გზა-ტკეცილები.

აჭარისტანი

აღმასრულებელმა კომიტეტმა მაისის დამლევს დასრულა გზატკეცილის გაყვანა ჩაქვიდან ჩაქვის-თავამდე. გზატკეცილის სიგრძე 15 კილომეტრს აღემატება. გზატკეცილი გაყვანილი იქნება ადგილობრივი მოსახლეობის საკუთარი შრომით და მათ ხარჯზე.

მაისის ბოლო რიცხვებში დაიწყო მუშაობა ორი ხიდის—სხალტის რკინა-ბეტონის ხიდისა (15 საჟენის სიგრძე) და აჭარისწყალის რკინის ხიდის (სიგრძით—8 საჟენი) ასაგებათ.

ხიდების აგება დამთავრდება ამ ზაფხულზე.

სახელმწიფო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბათომის საწყობებმა აპრილის განმავლობაში საზღვარგარეთიდან მიიღეს 1696 ტონა საქონელი, აქედან ადგილებზე დაიგზავნა 1735 ტონა.

ამ ხნის განმავლობაში ბათომის საწყობებმა ამიერ-კავკასიიდან და საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებიდან მიიღეს 2099 ტონა საქონელი საზღვარგარეთ გასაგზავნათ; აქედან გაგზავნილია 835 ტონა.

ამნაირად აპრილის განმავლობაში საწყობებიდან განაწილებულია გაცილებით მეტი, ვიდრე წინა თვეებში.

ეს აიხსნება მით, რომ საქონელი უმეტესად შემოტანილი იქნა ა.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

შემოტანილ საქონელს შორის აღსანიშნავია სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანები, სხვადასხვა წამლეული და საექიმო ხელსაწყო-იარაღები, ლითონი, ტყავის მრეწველობის საჭირო მასალები და სხ.

რაც შეეხება გატანილ საქონელს, მათ შორის უმთავრესად გაზიდულია ძირტკბილა, აბრეშუმეულობა, ნოხი, ხალიჩები, ჯაგარი და ხე-ტყის მასალა.

ხე-ტყის ქარხნები

უკანასკნელ თვეებში ბაზარზე ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება ყოველგვარი ჯიშის, უმთავრესად კი კაკლის ხის, მუხის, წიფელის დახერხილ ფიცრებზე. საამშენებლო სეზონის გაცხოველების გამო ადგილობრივი ბაზარი უხვად მოითხოვს აგრეთვე სხვა საამშენებლო ხე-ტყესაც. კერძოდ ნავთის სინდიკატის მოთხოვნილება ყუთის გასაკეთებელ მასალებზე აჭარის ხე-ტყის წარმოების მიერ დაუკმაყოფილებელი რჩება, ეს გარემოება იწვევს ხე-ტყის მასალის წარმოების გაფართოების საჭიროებას.

აჭარისტანის სატყეო ტრესტს განზრახვა აქვს გააფართოვოს ფანერის ქარხანა, რომელიც ამ მოკლე ხანში გადატანილი იქნება თამაშევისეულ ქარხნის შენობაში. ეს უკანასკნელი სავსებით აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელიც აუცილებელია წარმოების გასაფართოებლად. გადაკეთების და ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ ქარხანას ექნება განყოფილებები: სახერხი, ხის დასამუშავებელი და საფანერო. ქარხნის გადაკეთების და ახალ შენობაში გადატანისათვის გამომუშავებული ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით საჭიროა—65 ათასი მანეთი. გარდა ამ დიდი ქარხნისა, აჭარისტანის სატყეო ტრესტს აქვს საბონდარო-საკასრე ქარხანა, რომელიც წლიურად ამზადებს 250 ათას ცალ კასრს. ამა[illegible] ტრესტის [illegible] ზემო-აჭარის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელსაც შეუძლია დაამზადოს 150 ათას კვადრ. ვერშოკი დახერხილ ხე-ტყის მასალა. ზემო აჭარის სახერხი ქარხანა საჭიროებს რემონტს და ხელახალ მოწყობას, რისთვისაც საჭიროა 150 ათასი მანეთი.

ხე-ტყის საწარმოო დაწესებულებათა გასაფართოებლად მისაღებ ღონისძიებათა გატარების შემდეგ, ზემოხსენებული ქარხნები აჭარისტანის სატყეო ტრესტს მისცემენ დაახლოვებით 70 ათას მანეთს წმინდა მოგებას წლიურად.

წითელ ჯარში

წითელარმიელების კულტურულად აღზრდა

ჩვენი წითელი არმია შესდგება უმთავრესად გლეხურ ელემენტებისაგან.

სწავლების დროს ყაზარმაში მიქცეული აქვს უმთავრესი ყურადღება სამხედრო და პოლიტიკურ საგნებს. მაგრამ, არ შეიძლება გვერდის ახვევა ამ მდგომარეობის, რომ დღეს წითელი ყაზარმა წარმოადგენს სკოლას და ამ სკოლამ უნდა ჩაუნერგოს წითელარმიელს კულტურული ჩვეულებები, წითელმა ყაზარმამ უნდა დაუბრუნოს სოფელს და ქარხანას სამხედრო და პოლიტიკურ დარგში მომზადებული მებრძოლი და კულტურულად აღზრდილი მოქალაქე, რომელიც შესძლებს კულტურულ მუშაობის წარმოებას სოფლად.

წითელ ყაზარმას ამ დარგში აქვს მიღწევები. თუ გადავავლებთ თვალს ჩვენ სოფლებს, დავინახავთ, რომ ბევრ ადგილას კულტურულ მუშაობას სათავეში უდგანან უვადო შვებულებაში დათხოვნილი არმიელნი, რომელნიც აღიზარდენ ყაზარმაში და იქ შეიძინეს ცოდნა. წითელარმიელის კულტურულად აღზრდას ყაზარმაში ხელმძღვანელობს სკოლის გარეშე განათლების დარგი—კლუბი და ბიბლიოთეკა. [illegible]ში, იწყება ბრძოლა არმიელთა ყოველგვარი ცუდი-ზნე-ჩვეულების აღმოსაფხვრელად, როგორიც არის ლოთობა, დაუდევრობა, ცუდი სიტყვების ხმარება, ამხანაგების გაუტანლობა, ცრუმორწმუნეობა და სხ. ყაზარმაში მრავლად არის სამხატვრო-სააგიტაციო და საერთო-განათლების წრეები, რომლის მუშაობაში ჩაბმულნი არიან წითელარმიელნი. საჯარო საჩვენებელი გასამართლების მოწყობით ასეულებში და ლეგიონის ფარგლებში, წითელი არმიელი ნათლად ხედავს უკულტურობის ცუდ შედეგებს. ექსკურსიების საშუალებით მუშათა რაიონებში, სხვადასხვა მუზეუმებში, სამოქალაქო სასწავლებლებში კიდევ უფრო ფართოვდება წითელარმიელის ცოდნა.

ბიბლიოთეკა თავის მხრივ სათანადო ხასიათის წიგნების მიწოდებით სცდილობს ჩაუნერგოს წითელარმიელებს კულტურული ჩვეულებები. ეწყობა თითქმის ყოველდღიურად შერჩეულ მასალის ხმა-მაღალი კითხვა და საუბრები.

ფართოდ არის გამოყენებული პლაკატი, რომლის შემსრულებლებიც მეტ წილად არიან თვით წითელარმიელნი.

ქართული ჯარის გაზეთი „წითელი არმიელი" დიდ დახმარებას უწევს ნაწილებს საჭირო მასალის მოთავსებით.

ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ სწარმოებს ბრძოლა კულტურისათვის წითელ ყაზარმაში, წითელარმიელთა კედლის გაზეთები იძლევიან. ამ გაზეთებში გამოყოფილია განყოფილება, სათაურით „ჩვენი ყოფა-ცხოვრება". აქ ნათლად ვხედავთ, რომ წითელი არმიელი ერკვევა კულტურის საკითხებში, [illegible] განვითარდეს, ლენინის კუთხეების კითხვა-პასუხის რვეულები აჭრელებულია წითელარმიელთა შეკითხვებით, რომელშიაც ნათლად გამოსჭვივის მათი სურვილი ეზიარონ კულტურას და შეიტანონ განათლება სოფელში.

წითელი ყაზარმა მთელი თავისი შესაძლებლობით სცდილობს დააკმაყოფილოს არმიელთა მოთხოვნილება და არ ზოგავს არაფერს, რომ მისცეს სოფელს მომზადებული მოქალაქე.

გ. ხუციშვილი.

ჩვენი საქმიანობა

(ქართული ცხენოსანი ლეგიონი)

მეცადინეობა ლეგიონში რიგიანად მიმდინარეობს. ბანაკი კარგად გვაქვს მოწყობილი. ლეგიონის წითელარმიელნი დიდ აქტივობას იჩენენ და ყოველივე დავალებას ასრულებენ შეგნებულად.

აღსანიშნავია, რომ ლეგიონში არა გვყავს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ამხანაგი.

წრეების მუშაობა კარგად მიმდინარეობს. გვაქვს აგრეთვე მჭიდრო კავშირი ადგილობრივ გლეხობასთან.

ლეგიონში დიდი ყურადღება ეპყრობა მომჭირნეობის საკითხის ცხოვრებაში გატარებას: ყველანი სცდილობენ სახალხო ქონების დაცვას და მის მიზანშეწონილად მოხმარებას.

ხ.

ახალი წიგნები

ქართულ სამხედრო საგამომცემლო კომისიამ ქართულ ენაზე გამოუშვა ჯარის ნაწილებისათვის შემდეგი წიგნები: 1) დრ. სადისციპლინარო წესდება, 2) საბრძოლო წესდება, 3) სროლის დრ. წესდება, 4) საველე არტილერიის მოკაზმულობა და 5) ახლად შესწორებული სამხედრო-ტეხნიკური ლექსიკონი.

სამხკორთა მუშაობა

(მე-8-მე ლეგიონი)

ბანაკად გამოსვლის პირველ დღიდან სკოლის გარეშე მუშაობაში უპირველესი ყურადღება მიექცა სამხკორთა წრის მუშაობას, რადგან სამხკორთა წრის უნარიანობას საბანაკო პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მოწვეულ იქნა წრის წევრთა კრება, შედგენილი სია და გამომუშავებული საზაფხულო პერიოდის სამუშაო გეგმა. მიღებულია ზომები მჭიდრო კავშირის დასაჭერად ადგილობრივ მუშკორებთან.

კ.

უფშემადგენლობის ცოდნის გადასინჯვა

15 ივნისიდან დაიწყება ქართულ ჯარის ნაწილებში უფშემადგენლობის ცოდნის გადასინჯვა.

გასინჯვის მიზანია გამოირკვეს, თუ როგორი პოლიტიკური და საერთო განათლებით არიან აღჭურვილნი ჩვენი მეთაურები, და როგორ მიმდინარეობს მათში თვითგანვითარების საქმე.

პროფკავშირებში

რკინისგზელთა მე-6-ის ყრილობის შედეგები

ლენინაკანში დამთავრდა ა.-კ. რკინისგზელთა მეექვსე ყრილობა. ყრილობა გაგრძელდა ერთ კვირას. ყრილობამ ცხადჰყო რკინის-გზელების აქტივობის თვალსაჩინო ზრდა.

მეექვსე ყრილობამ დაამტკიცა, რომ რკინის-გზის პროლეტარიატში აქტივობა და შეგნება მასიური მუშაობისა თვალსაჩინოდაა გაზრდილი. ეს გარემოება აიხსნება საგზაო კომიტეტის მიერ ჩატარებულ საქმიანობით, სახელდობრ მით, რომ მან თავისი მუშაობა უშუალოდ დაუკავშირა ადგილებს და ამით ისინი ჩააბა საერთო საქმიანობაში. პროფკავშირის ამგვარად აღებული ხაზი უთუოდ სწორი აღმოჩნდა და მან კიდეც გაამართლა თავისი თავი უკანასკნელ ყრილობაზე.

ყოველ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში დელეგატ-რკინისგზელები იღებდენ დიდ მონაწილეობას თავის საქმიანი მიდგომით ყოველ საკითხისადმი. გამოსულ მომხსენებლებს უთითებდენ პრაქტიკულ ღონისძიებებზე მუშაობის გასაჯანსაღებლად.

კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობის დელეგატები დაიყვენ სექციებად: საორგანიზაციო, კულტურულ - განმანათლებელ და სატარიფო-ეკონომიური. აქაც დელეგატები იღებდენ აქტიურ მონაწილეობას ყველა წამოჭრილ საკითხების განხილვაში.

ასეთი საქმიანი და აქტიური მონაწილეობა მიიღეს დელეგატების ახალ საგზაო კომიტეტის არჩევაში.

კომიტეტის თვითეულ წევრის შერჩევაშიც ყრილობამ გამოიჩინა დიდი სიფრთხილე და საქმიანობა.

ყრილობამ ახალ კომიტეტს მისცა მთელი რიგი დირექტივებისა მომავალში მუშაობის გასაღრმავებლად და გასაჯანსაღებლად, როგორც პროფესიონალური ხაზით, ისე მეურნეობის წევრთა ყოფა-ცხოვრების მხრივ.

ახალ კომიტეტში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **საბაშვილი, კოლოსოვი, უსტიაშვილი, სტეფანოვი და აბდულოვი.**

ა. ქ.

კიდევ ერთი მახინჯი.

პროფესიონალურ კავშირებში ფულების გაფლანგვა თითქმის შეწყდა ამ 5—6 თვის განმავლობაში. თუ 1924 წ. 1 სექტემბრიდან 1925 წლ. 1 ოქტომბრამდე საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებში გაფლანგული იყო 14 ათას მანეთამდე, ამ ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი-სამი გაფლანგვის შემთხვევა იყო. შესაძლებელია, გაფლანგვა იყო, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს. ფაქტი ისაა, რომ აღმოჩენილი ბოროტმოქმედება 1926 წ. პირველ აპრილამდე მხოლოდ ორ-სამ ადგილას იყო.

პირველ აპრილიდან გაფლანგვების ხანა იწყება. შემთხვევა იყო მეტყევეთა კავშირის ადგილკომში ფულის გაფლანგვის. დამნაშავემ შესაფერისი სასჯელი მიიღო.

ამ ბოლო ხანებში მოგვივიდა ცნობა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირში მეეზოვეთა მე-5-ე რაიონის ადგილკომში მომუშავე მოქ. წარმუდოვმა გაფლანგა: ა) ადგილკომის—109 მან. 38 კაპ., ბ) საურთიერთო დამხმარე სალაროსი—240 მან., გ) გაფლანგულია კიდევ—57 მ. 73 კაპ., დ) გაფლანგულია კიდევ ურთიერთ დამხმარე სალაროსი 23 აპრილიდან—165 მან. 84 კაპ., ე) კლუბის ფული—60 მან. სულ—632 მანეთი 95 კაპ.

კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრ. გამგეობის დადგენილებით წარმუდოვი სამუშაოდან მოხსნილია და საქმე გადაცემულია სასამართლოში.

საჭიროა სასტიკი ზომები იქნეს მიღებული წარმუდოვებისთანა „პროფმუშაკები"-ს წინააღმდეგ.

პროფკორი ეკალი.

პროფმუშაობის ქრონიკა

აღმშენებ. კავშირის ც. გამგეობაში.

— **ფინანსიური დახმარების აღმოსაჩენად.** აღმშენებელთა კავშირმა დაადგინა გაუწიოს ფინანსიური დახმარება სამხრეთ-ოსეთის აღმშენებელთა კავშირს. დახმარება მოხმარდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

— **კოჯორის ელექტროგზის მუშა-მოსამსახურეთა შესახებ.** კოჯორის ელექტროგზის საამშენებლო პროექტების შესადგენ კომისიასთან მომუშავე მუშა-მოსამსახურენი შევლენ ზაჰესკომში.

— **ვალის პატიება.** აღმშენებელთა კავშირის ც. გ. აპატია ვალი ახალ-სენაკის განყოფილებას.

— **აღმშენებელთა პროფსექცია.** ქართულ მუშფაკთან დაარსდა აღმშენებელთა პროფსექცია.

— **კულტმუშაობის მოსაწესრიგებლად.** აღმშენებელთა კავშირის ც. გ. გაგზავნა თავისი წარმომადგენელი გორსა და შორაპნის მაზრებში აღმშენებელ მუშებს შორის კულტმუშაობის მოსაწესრიგებლად.

— **დეფექტების გამოსასწორებლად.** აღმშენებელთა კავშირმა მოახდინა შავი ზღვის სანაპირო რკინისგზების სამმართველოს ადგილკომის გამოკვლევა. აღმოჩნდა დეფექტი. კავშირმა წინადადება მისცა ადგილკომს გამოასწოროს ნაკლულოვანებანი: შემოიღოს ფულის შემოსავალ-გასავლის ორდერები, სალაროს ანგარიში წარმოადგინოს სარევიზიო კომისიის აქტთან ერთად და იქონიოს რვეული გამოკვლევის დროს შემჩნეულ დეფექტების ჩასაწერად.

კრედიტი ღარიბ გლეხობას

საკავშირო ფინსახკომმა დააწესა შეღავათიანი კრედიტის მიცემის წესი ღარიბ გლეხობისათვის ათმილიონიანი ფონდიდან. კოლექტიურ და პიროვნულ სესხის კატეგორიებს აწესებენ ადგილობრივი მიწის სამმართველოები, ნასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებებთან შეთანხმებით.

კრედიტი გაიცემა საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით, რომლებიც სესხს გაანაწილებენ ადგილობრივ აღმასკომის წევრთა, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით. სესხი გაიცემა სამუშაო საქონლისა და საწარმოო იარაღის ქირაზ, არა უმეტეს 300 მან.-სა ყოველ მეურნეობაზე. საკრედიტო ამხანაგობებს უფლება აქვთ მისცენ სესხი იმ ღარიბ მეურნეებსაც, რომელნიც საკრედ. ამხანაგობის წევრები არ არიან. სესხზე დაწესებულია 6 პროც. წლიური გადასახადი. პროცენტები იფარება საოპერაციო ხარჯებიდან და გადაიდება ფონდის გასაძლიერებლად.

საქონლის ჭირი

გუშინ მიწათმოქმედების კომისარიატის საბეითლო განყოფილებამ დეპეშა მიიღო შორაპნის მაზრიდან, რომ მაზრის ზოგიერთ სოფლებში თავი იჩინა საქონლის ჭირმა.

ჭირი განსაკუთრებით მოედვა საჩხერის რაიონს და სოფ. ჯაჯანიძეებს (რაჭის მაზრის საზღვართანაა). თუ სასწრაფოთ არ იქნა გამოცხადებული კარანტინი, შესაძლებელია ჭირი გადავიდეს რაჭაშიაც.

კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ იმერეთში ჭირი უკანასკნელათ შეუტანია ვინმე მევახშეს ფარა ჯოხაძეს. აღნიშნულ ჯოხაძეს უყიდია ავადმყოფი საქონელი ქიურდამირში და საიდუმლოთ გაუპარებია ხაშურისაკენ. ხოლო იქიდან ჩაურეკია ჭიათურაში. აქ მას გაუყიდია ეს საქონელი; ამნაირათ გავრცელდა საქონლის ჭირი.

მევახშე ჯოხაძეს პასუხის გებაში აძლევენ.

„ზაკსოიუზ"-ის საბჭოს სესია

გუშინ საღამოს გაიხსნა ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის, „ზაკსოიუზ"-ის, საბჭოს მეორე სესია.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში გამგეობის მუშაობის და კოოპერაციის და სახელმწიფო მრეწველობის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ბალტინი.**

ამხ. ბალტინის მოხსენება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში ურთიერთ დამოკიდებულება კოოპერაციისა და სახელმწიფო მრეწველობისა იმდენად გართულდა, რომ მრეწველობამ დასვა კოოპერაციასთან დადებულ გენერალურ ხელშეკრულებების დარღვევის საკითხი.

— სახელმწიფო მრეწველობის ხელმძღვანელთა შემოტევები,—ამბობს ამხ. ბალტინი,—მოწმობს იმას, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადავსინჯოთ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება და რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, შეუთანხმდეთ სახელმწიფო მრეწველობას.

უარყოფს რა ბრალდებებს, რომელსაც ამხ. ძერჟინსკი უყენებს სავაჭრო - სამრეწველო კოოპერაციას, ამხ. ბალტინი გადადის „ზაკსოიუზ"-ის ფინანსიურ მდგომარეობის და მის სავაჭრო მოღვაწეობის შეფასებაზე.

გასულ რვა თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მთელი სავაჭრო ბრუნვა გამოიხატა 12.000.060 მანეთში. ამნაირად, ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციამ შესძლო არა მარტო ძველი ვალის დათარება, არამედ რამდენადმე კიდეც მოახერხა თანხების შეგროვება.

ამგვარად, „ზაკსოიუზ"-ის ფინანსიური მდგომარეობა საკმაო მტკიცედ უნდა ჩაითვალოს.

სავაჭრო საქმიანობაშიაც შესაძლებელი გახდა უმთავრესი დეფექტების მოსპობა და გადასვლა გეგმიან და საორგანიზაციო საქმიანობაზე.

პოლიტგანათლების მუშაკთა მომავალ თათბირის გამო

საბჭოთა ხელისუფლების ერთ დიდ ამოცანას შეადგენს პოლიტგანმანათლებელი მუშაობის ფართოდ დაყენება.

ამ მუშაობის წარმოებისათვის მოზრდილ მოსახლეობაში სოფლად და ქალაქად მოწოდებულია პოლიტგანათლების მთავარმართველობა. მას განზრახული აქვს ამ რამოდენიმე დღეში მაზრპოლიტგანის გამგეების თათბირის მოწვევა სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.

პოლიტგანათლების მთავარმართველობის მუშაობა ამჟამად არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. არის ამის საპატიო მიზეზები: ერთი მხრივ—მეორე მხრივ სუსტი კადრის პოლიტგანათლების მუშაკების სუსტი კადრის ყოლა, ხშირად მათი გამოცვლა და აგრეთვე ადგილებზე ამ მუშაობისადმი გულგრილობა; მაგრამ მიღწევები საგრძნობია, როგორც სასკოლო განათლების, აგრეთვე სკოლის გარეშე განათლების ხაზით. საჭიროა ფინანსიური საქმის გაუმჯობესება და აგრეთვე მაზრაღმასკომების და მაზრპარტკომების მეტი დაინტერესება საპოლიტგანმანათლებლო მუშაობით.

თავის სასკოლო დარგში პოლიტგანათლების მთავარმართველობა აერთიანებს: წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებს, მცირემცოდნეთა სკოლებს, მაღალი ტიპის სკოლებს, საღამოს და სხვ. მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს პირველ რიგში წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას, ამ მიმართებით მრავალი რამ არის გასაკეთებელი და საჭიროა კიდევ ენერგიული ზომების მიღება სკოლების ქსელის გაფართოებისათვის, რაც დამოკიდებულია ადგილობრივ ბიუჯეტზე. მომავლიდან სკოლების მეტი რიცხვის გახსნით, დასავლეთ საქართველოს რამოდენიმე მაზრებში (რაჭა, გურია და ფოთი) შესაძლოა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე წ. კ. უ. სავსებით ლიკვიდაცია ეყოს. სალიკვიდაციო სკოლებში განვლილი მსმენელი თავისუფლად უნდა ვარჯიშობდეს წერა-კითხვაში, მაგრამ საჭიროა მცირე მცოდნეთა სკოლები, რომელშიაც რამოდენიმე საგნებს ასწავლიან და ამით ლიკპუნქტებში მიღებულ ცოდნას აფართოებენ. ასეთი სკოლების რიცხვი მცირეა (სულ 18), რაც სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. შემდეგ მოდის მსურველთათვის მაღალი ტიპის სკოლები, რომელთა პროგრამა შეფარდებულია თითქმის საშუალო სკოლების პროგრამასთან.

აგრეთვე პოლიტგანათლების განყოფილების ქსელში შედის საბჭოთა, პარტიულ და მოძრავ სტაციონალური პოლიტსკოლები.

სკოლის გარეშე განათლების განყოფილების მუშაობა ქალაქათ და სოფლად პოლიტგანათლების მთავარმართველობის უმთავრეს მუშაობას წარმოადგენს. ეს მუშაობა სწარმოებს ბიბლიოთეკების, ქოხ-სამკითხველოების, კლუბების, სახალხო სახლების, მოძრავი კინოების და სხვ. საშუალებით.

საბიბლიოთეკო მუშაობის ტეხნიკის შესწავლა აუცილებელ საჭიროებათ უნდა იქნას მიჩნეული, რისთვისაც საჭიროა საბიბლიოთეკო მუშაკების შერჩევა-გადამზადება. პოლიტგანათლების მუშაკების ა.-კ. თათბირმა (20-24 თებერვალი 1926 წ.) საკმაო ყურადღება მიაქცია ამ საკითხს და ფედერაციაში რესპუბლიკების პოლიტგანათლების მთავარმართველობებს მრავალი ამოცანები დაუსახა, რომელთა გადაჭრა ჩვენს საბიბლიოთეკო მუშაობას საგრძნობათ გააუმჯობესებს. გარდა პოლიტგანათლების მთავარმართველობის ბიბლიოთეკებისა ჩვენ ვხვდებით სხვა ორგანიზაციების ბიბლიოთეკებსაც (პროფკავშირთა, კომკავშირთა და სხვა), რომელთა მუშაობა უნდა სწარმოებდეს პოლიტგანათლების მთავარმართველობასთან არსებულ საბიბლიოთეკო გაერთიანების იდეურ შეთანხმებით საბიბლიოთეკო მუშაობაში პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად.

სოფლად კულტურული მუშაობა სავსებით დაკისრებული აქვს ქოხ-სამკითხველოს, როგორც პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობის ცენტრს სოფლად, თანახმად მე-13 პარტყრილობის დადგენილებისა. მაგრამ დღემდე კიდევ ჩვენ ქოხ-სამკითხველოებს ვერ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ეს მუშაობა იწყება საქართველოს გასაბჭოებიდან. მენშევიკების 3 წ. ბატონობის დროს ამ მხრით არაფერი არ გაკეთებულა, პირიქით უპატრონობით და მოუვლელობით დაიღუპა ის მცირე რიცხვი ბიბლიოთეკებისა, რომელნიც სხვადასხვა კულტურულ ან საქველმოქმედო საზოგადოებათა მიერ იყო შექმნილი. დღეს ქოხ-სამკითხველოთა ქსელის გაფართოებაზე ლაპარაკი ძნელია (სულ ქოხ-სამკითხველოთა რიცხვი აღწევს 419-მდე), მაგრამ საჭიროა მათი საბჭოების და წრეების უფრო ენერგიული ამოქმედება. ამ მხრივ პოლიტგანმუშაკების მომავალმა თათბირმა უნდა ჩაუყაროს მტკიცე საფუძველი სხვადასხვა ორგანიზაციათა კავშირს, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებთა, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას სოფლად. ასეთები არიან: პროფკავშირები, გლეხკომები, კოოპერაცია, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ქალთა განყოფილება და სხვ. ისინი უნდა ჩაებან ქოხ-სამკითხველოსთან არსებულ საბჭოს და წრეების მუშაობაში. „არავითარი კულტურული მუშაობა სოფლად არ უნდა სწარმოებდეს ქოხ-სამკითხველოს მუშაობის შეუთანხმებლათ, რომელიც აერთიანებს პოლიტგანათლების მუშაობას თემში". (მე-13-ე პარტყრილობის რეზოლიუციის მე-10-ე მუხლი „სოფლად კულტურულ მუშაობაზე"). ამ მხრივ სეპარატიულ მუშაობას სოფლად ადგილი არ უნდა დაურჩეს და ეს საქმე მიჩნეულ უნდა იქნას პოლიტგანათლების საქმედ.

გარეშე ამ ორგანიზაციების დახმარებისა შეუძლებელია ნაყოფიერი მუშაობის წარმოება.

აგრეთვე თათბირი უნდა შეჩერდეს მოძრავ კინოებზე, რომელთა რიცხვი მცირეა დღეს. უნდა გადაიდგას ნაბიჯები ჩვენი მაზრებისათვის მოძრავ კინოების შესაძენათ.

საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს საკლუბო მუშაობას, განსაკუთრებით, ქალაქათ. მუშაობის ეს მხარეც თათბირმა თავის მსჯელობის საგნად უნდა გახადოს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კადრი პოლიტგანათლების მუშაკებისა (ქოხ-სამკითხველოს, ბიბლიოთეკების და კლუბების გამგეები) სუსტია, რასაც თათბირმა ყურადღება უნდა მიაქციოს. **ლენინი** ამ მუშაკებს დიდ ყურადღებას აქცევდა და ამბობდა „ბიბლიოთეკა და ქოხ-სამკითხველო დიდხანს იქნებიან მთავარ და ერთად ერთ წყაროთ, დაწესებულებათ, განსაკუთრებით სოფლად, მასის პოლიტიკურ აღზრდისათვის და მასში მუშაობა საინტერესოა და იმავე დროს საპასუხისმგებლოც".

მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ბიბლიოთეკა-ამკითხველოების ლიტერატურით შევსება და გაზეთის მიწოდების საქმის მოგვარება.

ჩვენ შევეხეთ მხოლოდ მთავარ საკითხებს, რომლებიც უნდა გადასჭრას თათბირმა.

გერ. ლომთათიძე.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

გუშინ დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა გამგეობის წევრის ი. ცაგარელის მოხსენება ცეკავშირის სამეურნეო მდგომარეობის და მისი პერსპექტივების შესახებ.

ცეკავშირის სამეურნ. მდგომარეობა.

(ი. ცაგარელის მოხსენება).

ცეკავშირის თანამედროვე სამეურნეო მდგომარეობის დახასიათების დროს მომხსენებელს პარალელი გაჰყავს გასულ სამეურნეო წელთან. წარსული წლის ბოლოში ცეკავშირის ბალანსის ანალიზს უჩვენებია, რომ ორგანიზაცია ფინანსიურად მძიმე პირობებშია.

ამის გამო გამგეობამ მიმართა სახელმწიფო ორგანიზაციებს დახმარებისათვის და სთხოვა ვალების ჩამოწერა და ახალი სესხების მიწოდება. მთავრობამ თხოვნის პირველი ნაწილი დააკმაყოფილა, მხოლოდ ახალი სესხი არ მისცა.

მომჭირნეობის მიზნით მოხდა შტატების 50 პროცენტით შემცირება. გათვალისწინებული იყო აგრეთვე განყოფილებების შემცირება, და მართლაც ეს ნაწილობრივ უკვე გატარდა—თელავის განყოფილების ლიკვიდაცია თითქმის მთავრდება და განზრახულია ქუთაისის განყოფილების ლიკვიდაციაც.

ეხლა მდგომარეობა ცეკავშირისა შედარებით უკეთესია, იგი წმინდა სამომხმარებლო კალაპოტში ჩადგა და განთავისუფლდა საწარმოო ფუნქციებიდან. მისი სავაჭრო ბრუნვა მიმდინარე წლის 1-ლ აპრილამდე 3.569.292 მანეთში გამოიხატა.

საერთოდ ცეკავშირის მდგომარეობა ეხლა გაუმჯობესდა, მაგრამ მის საბოლოო გამაგრებას ხელს უშლის ძველ ვალებზე დიდი პროცენტი.

რაც შეეხება მომავალ მუშაობას, გამგეობას განზრახვა აქვს საწყობგარეშე საკომისიო ოპერაციების შემოღება. ამის მიზანი მდგომარეობს უმთავრესად: საქონლის შეძენის მხრივ პერიფერიის ცეკავშირთან უშუალოდ დაკავშირებაში. ადგილებზე მომუშავეთა ცენტრში მივლინებების შემცირებაში, ზედნადებ საქონელზე ხარჯების მინიმუმამდე დაყვანაში და ცალ-[illegible]ბის შეგროვებაში, რათა ცეკავშირის სისტემაში გაერთიანებული კოოპერატივები მთლიან ფრონტით გამოვიდნენ ბაზარზე.

ამ ღონისძიების განსახორციელებლად ცეკავშირთან უნდა მოეწყოს საკომისიო განყოფილება.

მომხსენებლის აზრით ასეთი წესის შემოღება, ერთად ერთი საშუალებაა მიზანშეწონილი მუშაობისათვის.

კამათი

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები, უმთავრესად აღნიშნავენ ტეხნიკურ დაბრკოლებებს ამ გეგმის გატარების დროს. ამაზე მომხსენებელი უპასუხებს, რომ პრინციპიალურად ეს წესი უეჭველად მისაღებია და რაც შეეხება მის ტეხნიკურად გატარებას, აქ საჭიროა სათანადო ღონისძიებების შემუშავება და მტკიცე კოოპერატიული დისციპლინა.

საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის გეგმა.

(მ. გოგებაშვილის მოხსენება)

აღნიშნულ თემაზე იმავე დღის საღამოს სხდომაზე მოხსენებას აკეთებს **შ. გოგებაშვილი.** იგი არკვევს საერთო-საორიენტაციო და კონკრეტიულ საქმიანობის გეგმებს.

საორიენტაციო გეგმა ჩამოყალიბებული იქნება ამ ყრილობის რეზოლიუციებში, ხოლო რაც შეეხება კონკრეტიულ გეგმას, აქ მომხსენებელი ინსტრუქტორებს აცნობს მას მუხლობრივ და უხსნის, თუ როგორ უნდა იმუშაოს მომავალში თვითეულმა ინსტრუქტორმა.

რეზოლიუციების მიღება

დასასრულ ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები თვითეულ ცალკე საკითხის შესახებ.

გამოიწერეთ
ჟურნალი
სოფლის კომუნისტი

საკვირაო ორგანო

შინაარსი:
ფ. მახარაძე—„სოფლის კომუნისტი" და სოფელში მუშაობა
ი. ორახელაშვილი—მესამე საკავშირო

„სოფლის კომუნისტი" საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ერთად-ერთი ჟურნალია, რომელიც მიზნად ისახავს გააშუქოს სოფლად პარტიული და საბჭოთა მუშაობის პოლიტიკა.

„სოფლის კომუნისტი" არკვევს პარტიულ მუშაობის ამოცანებს სოფლად მუშაობის სხვადასხვა დარგში; **პარტიული ცხოვრება, სოფლის საბჭოების მუშაობა, სამეურნეო მშენებლობა, სასოფლო მეურნეობის საკითხები, სოფლად ახალი გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების შეტანა, სარწმუნოების და ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების საკითხი, გლეხკორების მოძრაობა და სოფლის სხვადასხვა კულტურული საქმეები ჟურნალში პოულობს ახსნა-გაშუქებას.**

ჟურნალი არკვევს აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„სოფლის კომუნისტს" უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლად მომუშავე ამხანაგების გათვითცნობიერების საქმეში, ამიტომ ამ ჟურნალს აუცილებლად უნდა კითხულობდეს უჯრედის თითოეული წევრი.

არ უნდა დარჩეს არც ერთი ამხანაგი, რომელსაც არ ექნება გამოწერილი „სოფლის კომუნისტი".

ჩვენი ლოზუნგია: **მიმდინარე წელში 10 ათასი ტირაჟი „სოფლის კომუნისტი"-ს!**

საჭიროა და აუცილებელი ჟურნალის გავრცელება უპარტიო აქტივს შორის. ეს საქმე უნდა იკისრონ განსაკუთრებით უჯრედის აქტიურმა წევრებმა.

„სოფლის კომუნისტი"-ს გავრცელებაში, ხელისმოწერის მიღებაში უნდა ჩავითრიოთ ქოხ-სამკითხველოს გამგე, მასწავლებელი და სხვა. ამით შევძლებთ ამ ჟურნალის მასსიურ გავრცელებას.

ხელისმოწერის პირობები:

1 წლით	2 მანეთი
ნახ. „	1 „
3 თვით	60 კაპ.
ცალკე ნომერი	20 „

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
თბილისი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილება, რუსთაველის 22.

მუშათა ცხოვრება

ავლაბრის მუშათა კლუბი

საკითხი ავლ. მუშ. კლუბის გახსნის შესახებ საბოლოოდ გადაწყდა გასული წლის ნოემბერში, საქ. პროფკავშირთა საბჭოს და კომპარტიის მე-3-ე რაიკომის ინიციატივით.

კლუბის მოსაწყობად საჭირო თანხები გაღებულ იქნა საქ. პროფსაბჭოსა და აღმასკომის განათლების განყოფილების მიერ. ამათ გარდა, კლუბს ერთდროული დახმარება გაუწია აღმშენებელთა კავშირმა.

კლუბის გახსნის შემდეგ გამგეობის მიერ მასში მოეწყო დასასვენებელი ოთახი, სათამაშო ოთახი, ქალთა კუთხე ბიბლიოთეკა, სანიტარული განათლების კუთხე, სალექციო დარბაზი და დაარსებული იქნა დრამწრეები ქართულ და რუსულ ენებზე.

კლუბი განსაკუთრებით სამსახურს უწევს აღმშენებელთა, სურსათ-გემოვნების და მეტყავეთა კავშირის წევრებს.

კლუბის წევრთა რიცხვი ამჟამად აღწევს 500-მდე. ამათგან აღმშენებელთა კავშირის წევრია—240, სურსათ-გემოვნების—36, მეტყავეთა—21 და დანარჩენი სხვა კავშირების.

კლუბში დაარსებულია კლუბის მეგობართა წრე, რომელიც ხუთ სექციად არის დაყოფილი. კლუბის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მომღერალთა წრის, სიმებიანი ორკესტრის, ფიზკულტურის, სალიტერატურო, სამეცნიერო და სხვა წრეების დაარსება. დაარსებულია ახალგაზრდათა სექცია, რომელიც უკვე შეუდგა გეგმიან მუშაობას. კლუბში მოეწყობა აგრეთვე სამხატვრო, ჭადრაკის, სანიტარული და სალექციო-საექსკურსიო კომისიები.

კლუბს გახსნისთანავე მუშათა მასა ერთგულად მოეკიდა. მუშები კლუბში წესრიგს იცავენ, რაც ძლიერ უადვილებს მუშაობას გამგეობას. უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში კლუბში გამართულ საღამო-წარმოდგენებს დაესწრო 8.062 კაცი. ამათგან 7.000 მამაკაცი და 1.062 ქალი. დაახლოებით თითო საღამოს კლუბში მოდიოდა 300-მდი კაცი.

კლუბში გამოცემულია კედლის გაზეთი. მიღებულია ზომები კორესპონდენტთა შემოსაკრებად.

ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს ბიბლიოთეკა.

ქალთა კუთხეში საქმე კიდევ უკეთ არის დაყენებული. კუთხეში მუშაობს 120 ქალი.

ზაფხულის დადგომის გამო გამგეობა ცდილობს საზაფხულო ბინის გამონახვას და მთელი საკლუბო მუშაობის ბაღში—ჰაერზე გადატანას.

ამით უფრო გაცხოველდება და გაძლიერდება მასიური მუშაობა, სალექციო-საექსკურსიო საქმე და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საღამო-წარმოდგენების გამართვაც.

მუშკორი მიშა.

საბჭოთა მეორე ხე-ტყის სახერხი ქარხანა

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 42 კაცს მათში 30 საწარმოო მუშებია.

12 კაცი კანტორის და დაბალი მოსამსახურეებია. მუშების საშუალო თვიური ხელფასი უდრის 48 მანეთს.

ქარხანა ნადლი მასალით უზრუნველყოფილია რამოდენიმე თვით.

ქარხანამ სამი უკანასკნელი თვეების განმავლობაში დაამუშავა 48.000 კუბ. ვერშოკი ნედლი მასალა.

ქარხნის სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ქარხანასთან არსებობს ლენინის კუთხე და სამკითხველო, რომლითაც სარგებლობენ მუშები. მცირე წერა-კითხვის მცოდნეთათვის ხეზე მომუშავეთა კავშირს აქვს გახსნილი საღამოს სკოლა, სადაც წ.-კ. უცოდინარები დაიარებიან.

დიდი უმრავლესობა მუშებისა იწერს ადგილობრივ გაზეთებს: „მუშას", „კომუნისტს" და „რაბოჩაია პრავდას".

მუშკორი სიდ—ნიძე.

დღიურ მუშებში

ეს დროებითი მომუშავე მუშები უწინაც იყვნენ და დღესაც არიან, მხოლოდ უწინ ისინი უუფლებონი იყვნენ, დღეს კი უფლებით აღჭურვილნი არიან. ესენი პირველ სამუშაო დღიდან იხდევიან და სარგებლობენ წამლობით, ირიცხებიან შტატში ორი-სამი თვის შემდეგ და ხდებიან კავშირის წევრები. უწინ კი ამნაირ შეღავათს და უფლებას მოკლებულნი იყვნენ.

გაიხსნებოდა ვაკანსია, გინდა რამდენიმე წლიწადი გემსახურა, მაინც მოხდებოდა ხოლმე ისე, რომ გახსნილ ვაკანსიას სხვა გარეშე პირი დაასწრებდა პროტექციით, „ნათლი-მამობით". და ისინი კი რჩებოდენ უალაგოდ.

პროფკავშირებმაც კარგად იციან დღიური მუშების მდგომარეობა და ყოველმხრივ ცდილობენ როგორმე ამ ძველი სათაკილო სახელწოდების გაუქმებას. განზრახვაა: „დღიურის" ნაცვლად დაერქვას: „მაშველი". ამ მაშველი მუშის სამუშაო ერთი-ორი დღით ანუ ერთი ორი კვირით კი არ უნდა განისაზღვრებოდეს, არამედ მანამდის, სანამდის ვაკანსია გაიხსნებოდეს მას უნდა ჰქონდეს სამუშაო.

ასე თუ ისე, პროფ. საბჭოსთვის დღიური მუშების საკითხი პირველხარისხოვანი საკითხთაგანია და იმედია, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ამ მომწიფებულ საკითხს მშრომელთა საკეთილდღეოდ მოაგვარებენ.

ქალარა ვანო.

წრეები მუშაობენ

ამ სამი თვის წინეთ კოლოფების ქარხანაში „ინტერნაციონალი" დაარსდა მუშებისათვის, პროფ-წრეები: ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე.

ამ ხნის განმავლობაში, მსმენელი-მუშები სისტემატიურად დაიარებოდნენ წრეებში და გულმოდგინეთ უსმენდნენ ლექტორებს. სამივე წრეში ითვლებოდა 50 მუშა.

მოკლე კურსის გავლის შემდეგ, ამავე ქარხნის კულტ-კომისიამ, წრის ხელმძღვანელებთან ერთად, შაბათს, 5 ივნისს, მოაწყო წრეების მსმენელთა საზეიმო გამოშვება. დაკითხულ იქნენ მუშა-მსმენელები, თუ რა შეითვისეს მათ, პროფ-მოძრაობის გარშემო.

გამოცდების შემდეგ გამოირკვა, რომ მუშებს საკმარისად შეეთვისებინათ განვლილი პროფმოძრაობის ისტორია და მათი როლი, საბჭოთა აღმშენებლობაში.

ბოლოს, კურს დამთავრებულ მუშების მიმართ, წარმოთქმულ იქნა მისასალმებელი სიტყვები; რის შემდეგ მუშებს დაურიგდათ წიგნები.

წრეების ხელმძღვანელად იყვნენ ამხ. ამხ. ხომერიკი იაკინთე, ტერ-აკოპოვი—კრაამა და ავეტისოვი პაიკა, რომლებმაც მოანდომეს მაქსიმუმი ენერგია ჩვენი მუშების მომზადებას. მადლობა მათ.

ქარხნის კულტ-კომისია.

მუშათა სამკითხველოც ასეთი უნდა

დიდუბეში (დიდუბის ქ. № 6) არის სამკითხველო, სადაც მრავალი წიგნებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სამკითხველოს მკითხველი ცოტა ჰყავს, ხანდახან თუ იპოვნით ხოლმე შიგ თითო ოროლა მუშა-მოსამსახურეს, რომელსაც კარგი გაბედულება ქონია, რომ შეუდგამს ფეხი სამკითხველოში. სამაგიეროთ აქ უსაქმო გოგო-ბიჭები ბლომად მოიპოვებიან, რომლებიც შიგნით და გარეთ იკლებენ იქაურობას. ამ კრებულში მთავარ როლს ასრულებს ამავე სამკითხველოს თანამშრომელი ვინმე ქსენია, რომელიც მკითხველებს არ ასვენებს, თავისი უზნეო მოქმედებით. ის სამკითხველოში არ არის, როდესაც მას საქმე აქვს. ჩადგება ვაჟებში, მათ ეჭიდავება, სარკეში იხედება, პუდრს იცხებს, პირს ილამაზებს, ეს ხდება მუშაობის დროს.

მუშა-მკითხველი ამაოდ უცდის წიგნის ან ჟურნალის წასაკითხავად მიღებას.

ახკორი გზა.

ბაუშებრობის მსხვერპლი

რკინის გზის ყარაიაზის სადგურის შტატზე წელიწადზე მეტია მსახურობდა შტატის მეისრე ამხ. ვასო გიგაური. მას თავის ამხანაგის რევოლვერი უცაბედად გაუვარდა ხელიდან და გავარდა დაშავებით კი არავინ დაშავებულა.

ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ხელათ მოხსნა სამსახურიდან გიგაური იმ მიზეზით, რომ ვითომდა მას ნდომებოდა თავის მოკვლა. ადმინისტრაცია მას აო გაუსწორდა, არც გაფრთხილების გასამრჯელო მისცეს. და არც სხვა ხვედრი ფულით.

მართალია უბედური შემთხვევის ნამდვილი მსხვერპლი არ გახდა გიგაური, მაგრამ არც ნაკლები ტანჯვაა უსაქმოდ დარჩენა, მით უფრო. რომ გიგაური უღარიბესი გლეხია.

ჭალარა მუშა.

მუშათა ქრონიკა

თბილისის ტრამვაიში

— **თანრიგის მომატება.** ტრამვაიზე კანტროლიორების მავიერ მომუშავე კონდუქტორებს მოემატათ ერთი თანრიგი.

— **წიგნაკების დარიგება.** ტრამვაის მუშამოსამსახურეებს დაურიგდა წიგნაკები, სადაც ჩაიწერება სპეცტანისამოსების რაოდენობა, და მათი დარიგების დრო.

— **დათხოვნა-მიღების საკითხი.** თბ. ტრამვაის ადგილკომი შეუთანხმდა ადმინისტრაციას, რომლის ძალით მუშების დათხოვა - მიღება ხდება ურთიერთ შეთანხმებით.

— **შუამდგომლობის აღძრა.** ტრამვაის მოძრაობის ადგილკომმა, სთხოვა ადმინისტრაციას, ყველა მოსამსახურეები გაიყვენ ორ თანრიგათ და მოემატოთ მათ თითო თანრიგი.

— **შტატში გადარიცხვა.** ტრამვაიზე დროებით მომუშავე კონდუქტორები ადგილკომის შუამდგომლობით გადაირიცხენ შტატში.

— **პრემიის მიღება შეიცვალა.** ტრამვაიზე მომუშავე კონდუქტორები ღებულობენ პრემიას ახალი წესით დღიური შემოსავლიდან მანეთზე თითო კაპეიკს. ტრამვაის ვატმანებს კი პროცენტები საშუალო შემოსავლისა.

— **რონოდების შესანახავი ჯილდო.** იმ ვატმანთ, რომელიც გაუფრთხილდება რონოდას და შეუკეთებლად ამუშავებენ ხანგრძლივად ეძლევათ სამისო ჯილდო.

— **ზედმეტი სათის დაწერა.** ტრამვაის ვატმან კონდუქტორებს უხდებოდათ ერთი საათის ზედმეტი მუშაობა, რომელიც არ ეწერებოდათ, მაგრამ ადგილკომის შუამდგომლობით ეს ერთი საათი ეწერებათ სამუშაო საათებად.

— **სპეც-ტანსაცმელების საკუთრებად გადასვლის დრო.** ტრამვაის ადგილკომმა დაადგინა. ზამთრის ორი სეზონის და ზაფხულის ერთის გასვლის შემდეგ სპეც-ტანსაცმელები გადავიდენ მოსამსახურეების საკუთრებაში. **სპეც-ტანსაცმელების ყიდვის დროს ადმინისტრაციასთან ერთად დაესწრება მუშების წარმომადგენელი.**

— **კლუბის შეკეთება.** ტრამვაის ადგილკომმა სთხოვა ადმინისტრაციას შეაკეთოს მუშათა კლუბი.

1-ლი ტყავტრესტის ქარხანაში

— **შენობის შეკეთება.** ტყავტრესტის ქარხნის ადმინისტრაციამ შეაკეთა ტყავის გამოსაყვანი მუხის ქერქის წვენის დასამზადებელი განყოფილების შენობა.

— **წყლის დასუფთავება.** ვინაიდან კარგი ხარისხის ტყავის გამოყვანას ხელს უშლიდა ღვრიე წყალი, ტყავტრესტი საწარმოო კომისიამ სთხოვა ადმინისტრაციას მიიღოს ზომები წყლის დასასუფთავებლად. სათანადო ზომები უკვე მიღებულია.

— **ტყავი ფუჭდება.** ტყავტრესტის საწარმოო კომისიამ დაადგინა: ვინაიდან სღებავ განყოფილებაში იატაკზე ყრია ტყავები და ფუჭდება, სიჩქაროთ გაკეთებული იქნეს ტყავის დასაწყობი ფიცრები.

— **ექსტრაქტის მოგროვება.** ექსტრაქტი ძვირფასი ნივთია ტყავის გამაგრებისათვის, ამისთვის ტყავტრესტის საწარმოო კომისიამ დაადგინა—სპეციალური ქვაბში მოგროვებულ იქნეს ექსტრაქტი.

— **საქაჩავის მოწყობა.** შრომის გაადვილების და წარმოების ამაღლების მიზნით, ტყავტრესტის საწარმოო კომისიამ სთხოვა ადმინისტრაციას, ტყავის გამოსაყვან განყოფილებაში მოაწყოს სითხის საქაჩავი.

ქრონიკა

ხორცით ვაჭრობის სექცია

ხორცით ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით, ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა საქონლის-საფონდო ბირჟებს, რომ ამ უკანასკნელებთან გამოყოფილი იქნეს ხორცით ვაჭრობის სექციები.

სექციების მოვალეობა იქნება ხორცის გარიგებების რეგისტრაცია და თვალყურის დევნება იმისათვის, რომ სისწორით იქნეს გატარებული ცხოვრებაში ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ხორცის ბაზრის მოწესრიგების მიზნით ვამომუშავებული ინსტრუქცია.

ლიანდაგის გაფუჭება

გუშინ დღის 1-ლ საათზე ზემმელის აფთიაქთან გაფუჭდა ტრამვაის ლიანდაგი. ამის გამო მოძრაობა დაბრკოლდა ნახევარი საათით.

ტრამვაის სამმართველომ ლიანდაგი სასწრაფოთ შეაკეთა.

გადასახადისაგან განთავისუფლება

ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია მანდარინის პლანტაციები, თუთის ხეები, ხელოვნური სათიბები და მეფრინველეობა.

სანიტგანათლება

ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტგანათლების განყოფილებამ გამოუშვა სურათი გიგიენის დაცვის შესახებ. სურათი ნაჩვენები იქნება რამდენიმე კვირის განმავლობაში ყველა კინო-თეატრებში სეანსების წინ.

თბ. აღმასკომში

— **საბურთალოს ჭაობების** ამოსაშრობათ თბ. აღმასკომმა გადადო 10 ათასი მანეთი.

— **ხიდების შეკეთება.** ქალაქში მდებარე ხიდების შესაკეთებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 5 ათასი მანეთი.

— **სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე** მისავალ გზის გასწვრივ თბ. აღმასკომი აგებს ქვაფენილს.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **სიკვდილიანობის შემცირება.** ჯანმრთელობის კომისარიატის ცენტრ. კლინიკის ინსტიტუტში ავადმყოფთა შორის სიკვდილიანობა შემცირდა 7,77 პროცენტით.

— **მექანიკურად დამზადებული წამლეულობა.** 15 ივნისიდან თბ. აფთიაქებში დაიწყება მექანიკურად დამზადებულ წამლეულობის გაცემა. დამზადებულია 150 რეცეპტი.

— **პროფსნეულება.** პროფსნეულების შემსწავლელი პოლიკლინიკის გახსნა განზრახულია ივლისში. ამჟამად დაჩქარებით სწარმოებს კლინიკის სათანადოთ მოწყობა.

თბ. დამზღვევ სალაროში

—**ხელახალი აღრიცხვა.** უმუშევართა დამზღვევმა [illegible] მკერავთა ხელახალ აღრიცხვას.

— **კურორტებზე.** 11 ივნისიდან დამზღვევი სალარო გასცემს სათანადო დოკუმენტებს იმ დაზღვეულებზე რომლებიც იგზავნებიან კურორტებზე.

— **ახტალაზე და წყალტუბოზე** საექიმოო გამწესებულ დაზღვეულებზე. 19—20 ივნისს სალარო გასცემს აღნიშნულ კურორტებზე გასაგზავნ მოწმობებს.

— **დახმარება უმუშევრებს.** სალარომ მაისში უმუშევრების დახმარების სახით გასცა 24.998

— **ხელახალი აღრიცხვა.** სალარო უმუშევარ- მან.

სხვადასხვა

განათლების მუშაკთა სახლში, პარასკევს, 11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ამხ. ნიკიტენკო გააკეთებს მოხსენებას საზაფხულო მუშაობის შესახებ.

ჩაუბარებელი დეპეშები. ლენინაკანიდან მიკირტუმოვს, ზირიანოვსკიდან კაზანცევს, ოჩემჩირედან გერსამიას, მოსკოვიდან მამულოვს. ყაზახიდან ხიტაროვს, სვერდლოვსკიდან იურაგინისას, ბათომიდან სიამაშვილისას, ველისციხიდან სილიკოვს, ჩაიკერდიდან ისრაელოვს, პარიზიდან ფისსონს.

— **სწავლის შეწყვეტა.** გუშინ შრომის სკოლებში შეწყდა მეცადინეობა.

— **ნოხების გატანა.** ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველომ შესწყვიტა ლიცენზიის გაცემა ხალიჩა-ნოხების საზღვარგარეთ გასატანათ.

—**საწყობი.** „ხლებოპროდუქტის" თბილისის განყოფილება დიდუბეში აგებს პურის საწყობს.

— **ხონის და თელავის** აბრეშუმის სახვევი ქარხნები ამუშავებულნი იქნება ივლისის შუა რიცხვებში.

— **თემების შეერთება.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა შეაერთა თავასის და თუზის თემები.

— **გზების შეკეთება.** შორაპნის აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს საფუძვლიანათ მაზრაში სასოფლო გზები.

— **წითელი ჯვრის სასარგებლოდ** შორაპნის მაზრაში ეწყობა სხვადასხვა იაფ-ფასიანი გასართობები.

— **საბავშვო ექსკურსიების** მოსაწყობათ ახალ ქალაქის აღმასკომმა გადასდო 400 მან.

— **გადასახადი.** ახალ-ქალაქის აღმასკომმა გამოყო კომისია მომავალ წლის სასოფლო - სამეურნეო გადასახადის წინასწარი მუშაობის საწარმოებლად.

— **ზუგდიდის** სამაზრო საავადმყოფოსთან ამ დღეებში გაიხსნება ლაბორატორია.

— **საზღვაო ფლოტი.** ზუგდიდის მაზრაში შეუდგენ მზადებას საზღვაო ფლოტის სამდღიურის ჩასატარებლად.

— **თათბირი.** ზუგდიდის აღმასკომი იწვევს თემაღმასკომის თავმჯდომარეების და მდივნების თათბირს.

— **წალენჯიხის** დასამთავრებლად აღმასკომმა გადასდო 1500 მან.

— **სოფ. კირცხში.** (ზუგდიდის მაზრა) აგებენ 7 წლედისათვის შენობას.

შემთხვევები

მსახიობ დავით აბდუშელის დახრჩობა. 8 ივნისს, ქ. გორში მდ. მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო მსახიობი აბდუშელი.

— **ყალბი ჩეკები.** 8 ივნისს, გრუზვოსტორგის მაღაზიიდან ყალბი ჩეკებით გაიტანეს 50 მან. საქონელი. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად.

— **თავდასხმა.** 8 ივნისს, ყარაიაზის მახლობლად სოფ. ნაზარალს მცხოვრებთ ისლამ ნამიდ-ოღლის, მუსტაფა მამედ-ოღლს და მამად ამფა სატიროვს თავს დაესხენ 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედი და გაძარცვეს.

— **დაჭრა.** 8 ივნ. რიყის ქუჩაზე ივანე და ილია შაბონები ჩხუბის დროს დასჭრეს უცნობმა მოქალაქემ.

—**კოგანის ფოტოგრაფიიდან** უცნობმა პირებმა მოიპარეს 150 მან. ნივთები.

— **ქურდობა.** 8 ივ. კარაკლისის შესახვევი № 20 გაქურდეს მარიამ ბაგდასაროვის ბინა.

— ამავე დღეს კლარა ცეტკინის ქ. № 230 ეპიპადინს მოპარეს 12 თხა.

— სოფელ კულაში თამარ დესპოტაშვილის ბინიდან მოიპარეს 112 მ. ნივთები.

— 8 ივნისს ანანოვის შესახ. № 4 გაქურდეს მოქ. პირადოვის ბინა.

— ამავე დღეს კომინტერნის ქუჩაზე ნატალია შულგინას ამოაცალეს საფულე.

ხელოვნების ქრონიკა

სანდრო ინაშვილის დებიუტი მოსკოვში. 5 ივნისს, მოსკოვის ოპერის დიდ თეატრში, წარმატებით ჩატარდა არტისტ სანდრო ინაშვილის პირველი დებიუტი. ინაშვილმა იმღერა ოპერა „კარმენ"-ში.

—**სიმფონიური კონცერტი.** დღეს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის ხელმძღვანელობით.

— **კონცერტი-კაბარე.** დღეს ბაღ „არტო"-ში გაიმართება დიდი საღამო-კაბარე.

ქარიშხალი თბილისში

გუშინ თბილისში მზიანი დღე იყო. დაახლოვებით 3 საათისათვის ამინდს ცვლილება დაეტყო. ერთბაშად ამოვარდა ძლიერი ქარი და წამოვიდა წვიმა. იმდენად ძლიერი იყო ქარი და წვიმა, რომ ქუჩებში მოძრაობა შეწყდა.

ქარიშხალს თან მოჰყვა ნიაღვარი. რუსთაველის პროსპექტზე ნიაღვარი იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერ დაეტია რა ქუჩის გასწვრივ გაყვანილ კვალებში, იგი რამოდენიმე ადგილას ქვაფენილებზე გადავიდა და დაჰფარა. მთაწმინდის მხრიდან რუსთაველის პროსპექტზე ჭავჭავაძის, დავითის და წულუკიძის ქუჩებით ნიაღვარმა აუარებელი ხრეში და სილა ჩამოიტანა.

ფეოდოსიის ქუჩიდან ლენინის ქუჩაზე გადმოსულმა ნიაღვარმა ქვიშით დაჰფარა ტრამვაის ხაზი, ტრამვაის მოძრაობა შეჩერდა. მოსკოვის ქუჩაზედაც ძლიერი ნიაღვარი მიდიოდა და ქუჩას ავსებდა სილით და ქვიშით.

ბელინსკის ქუჩიდან გადმოსული ნიაღვარი გადავიდა ლენინის ქუჩაზე, დაეშვა ვერის დაღმართზე და მთლიანად დაჰფარა, როგორც ქუჩის შუაგული, ისე ფილაქანი.

ქარიშხალი გაგრძელდა დაახლოვებით 15 წუთს.

სასწრაფოდ მიღებული ზომებით ტრამვაის ხაზები გაწმენდილ იქნა და მოძრაობა ჩქარა აღადგინეს.

სტატისტ. სამმართველოში

10% სასოფლო-სამეურნეო აღწერა

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო ივნისის შუა რიცხვებში შეუდგა 10% სასოფლო-სამეურნეო შერჩევითი გამოკვლევას.

აღწერაში მოხვდება რესპუბლიკის ყველა სათემო ერთეულები. შერჩევა მოხდება მექანიკურ წესით. ამ აღწერის მიზანია მეურნეთა რიცხვის, მათი შემადგენლობის, მუშა-ხელის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, დათესილ სივრცის, მუშა საქონლის, 1925 წლის პროდუქციის და მოჯამაგირეების რიცხვის გამოკვლევა; აღწერის პროგრამა საშუალებას მოგვცემს სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი თანამედროვე სასოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე.

გლეხის მეურნეობის დინამიკის გამოკვლევა

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო შეუდგა გლეხის მეურნეობის დინამიკის გამოკვლევისათვის საჭირო წინასწარ სამზადისს.

გამოკვლევის მიზანია—აღწუსხოს ის სოციალური-ეკონომიური და ორგანიული პროცესები, რომლებსაც ადგილი აქვს სოფლის მეურნეობაში, და გააშუქოს კლასების დინამიკა. ჯერჯერობით გამოკვლეული იქნება მხოლოდ სოფლის მთელი მეურნეობის 3 პროც.

ამ მოკლე ხანში სტატ. სამმართველოების მმართველების თათბირზე განზრახულია ყველა კითხვების გამომუშავება, რაც საჭიროა ამ სრულიად ახალ და მასთან მეტად რთულ გამოკვლევისათვის.

ბიუჯეტის გამოკვლევა

საქ. სტატ. ცენტრალური სამმართველო 10 ივნისიდან შეუდგება გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევას.

გამოკვლევა ჩატარდება მთავარ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, გამოკვლევის მიზანია შეისწავლოს 150 გლეხის მეურნეობის ბიუჯეტი. შერჩეული მეურნეობანი წარმოადგენენ გავრცელებულ ტიპებს, რომლებიც ახასიათებენ გლეხის მეურნეობის მდგომარეობას ეკონომიურ სიმძლავრის ნიშნების მიხედვით.

უკვე დამთავრდა 1924-25 წლის გლეხის მეურნეობის საბიუჯეტო გამოკვლევის მასალების პირველადი დამუშავება. ამჟამად სამმართველო აწარმოებს მასალების ანალისტურ დამუშავებას, რომელიც დამთავრებული იქნება თვენახევრის განმავლობაში.

რკინის გზებზე

მატარებლების დაგვიანება 1925-26 წლის პირველ ნახევარში

წარსული ექვსი თვის განმავლობაში სახალხო მატარებლების დაგვიანება ას კილომეტრზე თანდათანობით კლებას იძლევა, მაგ. დაგვიანება 5,5 წუთიდან (ოქტომბერში) [illegible] 4,3 წუთამდე (მარტში).

მატარებლების დაგვიანება უმთავრესად გამოწვეული იყო გზაში გაჩერებით. ნახევარზე მეტი მატარებლების დაგვიანების შემთხვევებისა (53,2 პროც.) გამოწვეულია ამ მიზეზებით.

მატარებლების დაგვიანებას იწვევდა ბარგის დატვირთვა გადმოტვირთვაც, მაგრამ საამისო პროცენტი 4,93-დან შემცირდა 0,07-დე თვეში.

სემაფორებთან მატარებლების დაყენებაც ხელს უწყობს მატარებლების დაგვიანებას.

აღსანიშნავია სახალხო მატარებლების დაცდევინება დაგვიანებულ მატარებლებისათვის; ასეთი დაგვიანების რაოდენობა ზრდას იძლევა აღნიშნულ პერიოდში.

გაუსგელტერის აპარატის ზოლების გასინჯვიდან გამოირკვა სალიანდაგო ჟურნალების უწესოდ წარმოება, მათში მატარებლების მოსვლა-წასვლის აღნიშვნის მხრივ.

ვინაიდან მატარებლების თავის დროზე მოძრაობას მოსახლეობისა და ვაჭრობა-მრეწველობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ა.-კ. რკ. გზ. მმართველობამ წინადადება მისცა რკინისგზის აგენტებს, მიიღონ ზომები მატარებლების დაგვიანების პროცენტის მინიმუმამდე დასაყვანად. კერძოდ მოძრაობის დაწევის დარგებს წინადადება მიეცათ მიიღონ ენერგიული ზომები მატარებლების მოძრაობის გაუმჯობესებისათვის ისე, რომ ა.-კ. რკინისგზებმა ამ მხრივ დაიკავონ ერთ-ერთი პირველი ადგილი საკავშირო რკინისგზების საერთო ქსელში.

მადლობა გამოგონებისათვის.

ა.-კ. რკ. გზების მმართველობამ მადლობა გამოუცხადა სადგ. ბათომის ზეინკალს ამხ. პიხლიარს ტყვიის რგოლების გამოგონებისათვის, რომელთაც იყენებენ ორთქლის ქვაბებში.

სადელეგატო მატარებელი

გუშინ, ღამის 5 საათზე ბათომისაკენ გაიგზავნა სადელეგატო მატარებელი, რომელმაც წაიყვანა სოხუმში ცაკის სესიაზე მიმავალი დელეგატები.

მატარებლის გაწყვეტა

7 ივნისს ცისტერნებისაგან შემდგარ მატ. № 240, რომელიც მოდიოდა აჯიკაბულიდან, გაწყდა და ამის გამო გაჩერდა გზაში.

ლიანდაგი დაკეტილ იქნა მოძრაობისათვის 4 საათით, იგი გაწმინდა სპეციალურად მოსულმა დამხმარე მატარებელმა.

სოცდაზღვევა

სამხრეთ-ოსეთში

საქართველოს სოციალური დაზღვევის სამმართველოს ცნობით, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამჟამად ითვლება 59 დამზღვეველი წარმოება-დაწესებულება. სულ დაზღვეულია 935 მუშა-მოსამსახურე.

მიმდინარე წლის პირველ ოთხი თვის განმავლობაში სამხრეთ-ოსეთის დამზღვევმა სალარომ შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთ აუნაზღაურა 2.346 გაცდენილი დღე, რაც გამოიხატება 3.715 მანეთში.

მაისის თვეში სამხრეთ-ოსეთის დამზღვევ. სალაროს ხარჯზე იმყოფებოდა 10 შრომის ინვალიდი, 9 ქვრივ-ობოლთა ოჯახი და დახმარებაზე ჩარიცხული 20 უმუშევარი.

აჭარისტანის გლეხკომი

აჭარისტანის ცენტრალურ გლეხკომს ამჟამად მოწყობილი აქვს შემდეგი ხასიათის წარმოებანი: ფურნე, ღვინის სარდაფი და ფეხსაცმელების სახელოსნო.

ამჟამად გლეხკომი აგებს ქობულეთის რაიონში კრამიტისა და აგურის დასამზადებელ ქარხნებს.

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით, გლეხკომმა მოაწყო ქვის სატეხი კარიერი, სადაც მუშაობენ გლეხები დღიურ ხელფასზე და ამზადებენ ქვის საამშენებლო მასალას ბაზრისათვის. აღნიშნულ მასალაზე დიდი მოთხოვნილებაა მთელ აჭარისტანში, რადგანაც იქ ამჟამად სწრაფი ტემპით სწარმოებს აღმშენებლობა.

სასამართლო

დ. ლორთქიფანიძის საქმე

გუშინ დასრულდა წინასწარი ვამოძიება დავით ლორთქიფანიძის საქმეზე.

ლორთქიფანიძეს ბრალდება 11.000 მ. გაფლანგვა ცეკავშირის ექსპედიტორათ ყოფნის დროს.

აღნიშნული თანხა ლორთქიფანიძეს გაუფლანგავს 1924 წლის მაისიდან 1925 წლის ივნისამდე.

ლორთქიფანიძის მოვალეობას შეადგენდა ცეკავშირის საქონლის გაგზავნა რკინის-გზით. ამისათვის იგი ანგარიშ ქვეშ ღებულობდა სათანადო თანხებს.

იყო შემთხვევა, როცა ლორთქიფანიძემ რკინის-გზიდან საქონლის გამოსასყიდათ მიიღო ავანსათ 3.000 მანეთამდე.

გამოირკვა, რომ ლორთქიფანიძეს არ სთხოვდენ გასამართლებელ საბუთებს, რადგან იგი დიდი ნდობით სარგებლობდა.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულმა ლორთქიფანიძემ თავი არ სცნო დამნაშავეთ და დასძინა, რომ მისი ანგარიშების მოუგვარებლობაში ბრალი მიუძღვის ბუჰჰალტერიას.

წითელი ჯვრის თანამშრომელთა საქმე

მოწმეების დაკითხვიდან და სასამართლოს კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებულ ქუთათელაძის მიერ მონიავაზე გაცემული იყო 1150 მანეთი არა კანტორის, არამედ მისი პირადი ფული. დანარჩენი თანხები ქუთათელაძის მიერ გაცემული აღმოჩნდა კანონიერად. გამოირკვა, რომ წითელ-ჯვარს ამ მხრივ არავითარი ზარალი არ მოსვლია. შემდეგ გამოძიებიდან ირკვევა, რომ ბრალდებულ ქუთათელაძის მიერ არც ერთი ყალბი საბუთი არ ყოფილა შედგენილი.

სასამართლოს გამოძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებულ მონიავას მხრით სახაზინო ქონების გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია.

გამოძიების დასრულების შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალდებელი გ. აბაკელია აღნიშნავს, რომ ბრალდებულების მიერ გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია. პროკურორი მოითხოვს ქუთათელაძის პასუხისგებაში მიცემას სავაჭრო პოლიტიკის დარღვევისა და სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობისათვის. ქუთათელაძის დამცველი ტატიშვილი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა ბრალდებულზე გავრცელებული იქნას 1924 წ. ამნისტია.

სახელმწიფო ბრალმდებელი არ უჭერს მხარს მონიავას წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებას. დამცველი ქავთარაძე მოითხოვს ბრალდებულ მონიავას გამართლებას.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

გამფლანგველების საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით დაიწყო ვასილ ჭეიშვილის, ვასილ პატარაიას, მიხეილ გორსკის და არკადი სუსკის საქმის გარჩევა.

ჭეიშვილს ბრალდება 677 მანეთის და 88 კაპ. გაფლანგვა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ადგილკომის მდივნათ ყოფნის დროს. ბრალდება აგრეთვე ყალბი საბუთების შედგენა. პატარაიას, გორსკის და სურსკის ბრალდებათ უყაირათობა და სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობა.

ბრალს სდებს პროკურორი ლ. ჟღენტი, ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: კ. ნინიძე, ყანჩელი და ე. ღვამიჩავა.

სასამართლოში ბრალდებულმა ჭეიშვილმა თავი სცნო დამნაშავედ, დანარჩენმა ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავედ.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

ნოე სიხარულიძის მკვლელის საქმე

უზენაეს სასამართლომ პროკურორის პროტესტის გამო გააუქმა განაჩენი **ნოე სიხარულიძის** მკვლელის ურთმელიძის საქმეზე.

ურთმელიძეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა.

უზენაესმა სასამართლომ სცნო, რომ ურთმელიძის მიერ მკვლელობა ჩადენილია არა ძლიერი სულიერი მღელვარების, არამედ შურისძიების ნიადაგზე.

ამის გამო გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. გლადკოვის თავმჯდომარეობით ხელ-ახლად დაიწყო ურთმელიძის საქმის გარჩევა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ მან მკვლელობა ჩაიდინა ძლიერი სულიერი მღელვარების დროს.

შემდეგ ბრალდებული ურთმელიძე დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, როგორ ჩაიდინა მკვლელობა და რითი იყო ის გამოწვეული.

ბრალდებული აცხადებს, რომ მან სცადა თავის შეკავება მკვლელობისაგან, მაგრამ ოჯახის შეურაცხყოფის გრძნობა მას არ ასვენებდა, მით უფრო რომ მან ყველაფერი ეს თავისი თვალით ნახა. შემდეგ ფიქრობდა თავის მოკვლას, მაგრამ გადაიფიქრა და გადასწყვიტა მოეკლა ჯერ ნოე სიხარულიძე, იყიდა ბებუთი და ეძებდა მოხერხებულ მომენტს შეურაცხყოფელის მოსაკლავად. ურთმელიძეს შურისძიების გრძნობა კიდევ უფრო გაუძლიერდა, როდესაც სიხარულიძემ მოსკოვიდან ჩამოსული ინჟენერი რუვინი სუფრაზე მიიპატიჟა დაათრო და თვითონ კი წავიდა მის ცოლთან. ძალზე აღელვებულმა ურთმელიძემ, როცა სიხარულიძე დაბრუნდა ინჟ. რუვინის ცოლის ოთახიდან მას რამოდენიმეჯერ ჩასცა ბებუთი. სიხარულიძე მძიმედ დაჭრილი დაეცა იატაკზე. ამ ჭრილობისაგან ის გარდაიცვალა.

ბრალს სდებს პროკურორი ბარამიძე, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ამირაღოვი.

სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ურთმელიძეს მართლაც უნახავს სიხარულიძე ოთახში მის ცოლთან.

მეცნიერება და ტეხნიკა

ბრძოლა ჩრდილოეთ- პოლიუსისათვის

პოლიუსის მნიშვნელობა

ავიაციის განვითარების გამო პოლიარულ ქვეყნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ჩრდილოეთ პოლიუსი წარმოადგენს ცენტრს, რომლის გარშემო მდებარეობს ევროპა, აზია და ამერიკა.

ამის გამო, უმოკლესი გზა ევროპიდან ამერიკაში და შორეულ აღმოსავლეთში პოლიუსზე გაივლის. თუ რამდენად მცირდება გზა ევროპასა, ამერიკასა და შორეულ აღმოსავლეთის შორის ჩრდილოეთ პოლიუსით გადაფრენის დროს, სჩანს იქიდან, რომ საჰაერო გადაფრენას ჰამბურგიდან სანფრანცისკოში ან იოკაგამაში დასჭირდება 7 დღე; ყველაზე სწრაფლმავალი გემები კი ამ გზის გავლას ერთ თვეს ანდომებენ.

ეკონომიური ინტერესები მოითხოვენ ჩრდილოეთ პოლიუსის დაპყრობას, ვინაიდან საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის მოწყობის დროს პოლიუსი უნდა გადაიქცეს იმ გზა-ჯვარედინად, სადაც გაივლიან მსოფლიო საჰაერო გზები.

პოლიუსისათვის ბრძოლის წელიწადი

1926 წ. წარმოადგენს ჩრდილოეთ-პოლიუსისათვის ენერგიული ბრძოლის წელიწადს. დედამიწის ის ნაწილი, რომელიც რამოდენიმე წლის წინათ სრულიად მიუწვდომელი იყო კაცობრიობისათვის, მოულოდნელად ადვილად მისაწვდომი შეიქნა ავიაციის არაჩვეულებრივი განვითარების წყალობით.

ყოველი მხრიდან პოლიუსისაკენ მოილტვიდენ ადამიანები ჰაერზე მძიმე და უფრო მსუბუქ საფრენი აპარატებით. სულ რამდენიმე თვის განმავლობაში 5 ექსპედიცია მოეწყო პოლიუსის მისაღწევად.

ბირდის ექსპედიცია

ამერიკელმა ბირდმა მიაღწია პოლიუსს. კინსბეიდან (კუნძულ შპიცბერგენზეა) ბირდი გაფრინდა 9 მაისს ნაშუადღევის 1 საათზე და 50 წუთზე და უკან დაბრუნდა იმავე დღეს, საღამოს 6 ს. 30 წუთზე. ამრიგად ჰაერში დაჰყო 16 საათი და 30 წუთი. ბირდმა განაცხადა, რომ ის სამჯერ გადაფრინდა პოლიუსზე, ჩამოაგდო იქ ამერიკული დროშა და ყუთი საბუთებით. ხმელეთი პოლიუსის რაიონში მას არ შეუნიშნავს.

ბირდის პოლიარული ექსპედიცია მოეწყო ედზელ ფორდის (ჰენრი ფორდის შვილის), ჯონ როკფელერის და მთელ რიგ სხვა ამერიკელ კაპიტალისტების ხარჯზე.

მაგრამ ბირდმა თავისი ამოცანის მხოლოდ ერთი ნაწილი შეასრულა—დაამტკიცა ჰაეროპლანით პოლიუსის მიღწევის შესაძლებლობა. რაც შეეხება გამოკვლევითი მუშაობას, იგი მხოლოდ აწი უნდა დაიწყოს. ამ მიზნისათვის კუნძულ შპიცბერგენზე მივიდა გემი „ჩანტირ", რომელიც ბირდის ექსპედიციის ბაზას წარმოადგენს. გემზე იმყოფებიან მფრინავები, ინჟენრები, მექანიკოსები, ფიზიკოსები და სხვა სამეცნიერო მუშაკები. ბირდს განზრახული აქვს კიდევ 6-ჯერ გაფრინდეს პოლიუსისაკენ პოლიუსის გარშემო მდებარე სივრცის გამოსარკვევათ.

ამუნდსენ - ელსვორტ - ნობილეს ექსპედიცია

ყველაზე საინტერესოა ჩრდილოეთ-პოლიუსისაკენ გამგზავრებულ ექსპედიციებს შორის ნორვეგია-ამერიკის შეერთებული ექსპედიცია როალდ ამუნდსენის მეთაურობით. ეს ექსპედიცია საინტერესოა იმით, რომ მასში მონაწილეობას იღებდა 16 კაცი, რომელთაც საშუალება ჰქონდათ მეტად ხელსაყრელ პირობებში გადაფრენილიყვენ პოლიუსზე და ყურადღებით გამოერკვიათ მის გარშემო მდებარე სივრცე.

ბირდის ექსპედიციამ შპიცბერგენის პოლიუსამდე და უკან გაიარა 2.200 კილომეტრი. დირიჟაბლმა „ნორვეგიამ" კი შპიცბერგენიდან პოლიუსამდე და იქიდან ალიასკამდე—3.400 კილომეტრი.

ამერიკის ნაციონალური ექსპედიცია

პოლიარული ექსპედიცია, რომელსაც ახლა აწყობენ, ამერიკელები, მიზნათ ისახავს იმ მიწების აღმოჩენას, რომელნიც მდებარეობენ ალიასკიდან ჩრდილოეთ და მათ შემოერთებას შეერთებული შტატების ტერიტორიასთან. ამ მიწებზე უნდა მოეწყოს საჰაერო ბაზა მომავალში ჩრდილოეთ პოლიუსით მიმოსვლის მოსაწყობათ.

ექსპედიციის ხელმძღვანელები არიან ლეიტენანტები ოგდენი და უედი. ექსპედიციის წევრები არიან ამერიკის მრავალი გამოჩენილი ზოოლოგები, ბოტანიკოსები, ფიზიკოსები და სხვა. ექსპედიცია ივლისში გაფრინდება პოლიუსისაკენ 5 ჰაეროპლანით.

კაპიტან უილკინსის ექსპედიცია

ამერიკელ უილკინსის ექსპედიცია, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში ბარროუს კონცხიდან უნდა გაფრენილიყო პოლიუსისაკენ მარცხით დამთავრდა: ჰაეროპლანი გაფუჭდა და მფრინავები ფეხით დაბრუნდნენ უკან.

უილკინსი ახალ ექსპედიციას ამზადებს პოლიუსისაკენ.

გერმანია-საბჭოთა ექსპედიცია

მიმდინარე წელს ეწყობა გერმანია-საბჭოთა შერეული ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.

„დორნიე-ვალ"-ის სისტემის ჰაეროპლანები გერმანიიდან ლენინგრადით, არხანგელსკით, ახალი მიწით, ტაიმირის ნახევარ-კუნძულით, ნიკოლოზ II-ის ყოფ. მიწით გაფრინდებიან პოლიუსისაკენ, იქიდან კი—ჩრდილოეთ გრენლანდიაში და შპიცბერგენზე. ექსპედიციას დასჭირდება 2—2 ნახევ. თვე. ექსპედიციის მიზანია ციმბირსა და პოლიუსს შორის მდებარე მიწების გამოკვლევა.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„დინამო"—„პოლიტეხნიკუმი"

დღეს, საღამოს 5 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების—„დინამო"-ს და „სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის" კალენდარული შეჯიბრი.

„დურუჯი"—„ლენრაიონი"

კვირას, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ორი კალენდარული შეჯიბრი.

პირველ საფინალო შეჯიბრში ერთმანეთს შეხვდებიან მეორე კატეგორიის საუკეთესო გუნდები—„პროლეტარი" და „ჯავშნიანი ნაწილები". ამ გუნდებს პირველობა აქვთ აღებული მეორე კატეგორიის ორივე ჯგუფის გუნდებს შორის.

გამარჯვებული გუნდი, პირველ კატეგორიაში გადასვლის მიზნით, შემდეგ შეეჯიბრება პირველი კატეგორიის ყველაზე უფრო სუსტ გუნდს.

დასაწყისი დღის 3 საათზე.

იმავე დღეს, საღამოს 5 საათზე, იქვე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების—„დურუჯის" და „ლენრაიონის" შეჯიბრი.

„დურუჯი"—„პოლიტეხნიკუმი"

შემდეგ ოთხშაბათს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „დურუჯი"-ს და „სახელმწიფო [illegible] კალენდარული შეჯიბრი პირველობაზე.

„დურუჯი"—„დინამო".

ფეხბურთის მიმდინარე სეზონი დამთავრდება 20 ივნისს; უკანასკნელი შეჯიბრი გაიმართება თბილისის საუკეთესო გუნდებს—„დინამო"-ს და „დურუჯს" შორის.

საქალაქთაშორისო შეჯიბრი

ფეხბურთის მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ თბილისში გაიმართება საქალაქთაშორისო შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ბათომის, სოხუმის, ქუთაისის და ფოთის გუნდები.

ტანვარჯიშული შეჯიბრი

კვირას ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ტანვარჯიშული შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თბილისელმა ჯგომარდებმა.

შეჯიბრის შედეგები ასეთია: რბენაში პირველობა აიღო შვარცბაიამ, ბადრის ტყორცნაში—სერგეევმა, ქალებში პირველობა აიღო დავიდოვამ.

ტანვარჯიშული შეჯიბრის გაგრძელება მოხდება კვირას, 13 ივნისს ლენინის სახელობის სტადიონზე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ფაქტიური მეუღლეობის შესახებ

კითხვა

ფაქტიურად 1923 წლიდან ვცხოვრობდი ერთ ქალთან და მივეცი პირობაც, რომ ნამდვილად ვითხოვდი ცოლად. ის დათანხმდა. ჩემთან დაორსულდა და ყავს ვაჟი. დღეს მიჩივის უნდა მითხოვოო. მე ურის ვეუბნები.

გთხოვთ მიპასუხოთ, კანონი მომაკუთვნებს თუ არა ქალს ცოლად როგორც ჯვარდაუწერელს. მომსჯის თუ არა სამშობიარო ხარჯებს. ან ბავშვის საზრდოს. კანონი მომთხოვს თუ არა პასუხს მის მოტყუილებისათვის.

ახალგაზრდა ქუ.

პასუხი

მეუღლეობის მთავარ საფუძვლად ითვლება მეუღლეთა ორივე მხრით თანხმობა, საერთო სურვილი და თავისუფალი ნებსყოფა დაქორწინების შესახებ, თუ კი ორივენი სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელნი და სრულწლოვანი არიან (იხ. დეკრეტი № 28-ის მუხ. 43 და 48), ამიტომ კანონმდებლობა არ მიმართავს არავითარ იძულებით წესებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც არ სურთ გაფორმება მეუღლეობისა (იმის და მიუხედავად ფაქტიურია იგი თუ რეგისტრაცია ქმნილი ე. ი. „ზაგს"-ში გატარებული) არც თქვენ გაიძულებთ კანონი განაგრძოთ მეუღლეობა ზემოაღნიშნულ ქალთან. მხოლოდ თქვენი მოქმედება შესაძლებელია ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად და დაისაჯოთ სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 174 თანახმად, თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით. ვინაიდან ქალის გარყვნა გამოწვეულია თქვენი დაპირებით (ანგარიშით ან სხვა რაიმე პირადი მოსაზრებით ფიზიკური და პსიქიური ზეგავლენით).

რაც შეეხება ბავშვის საზრდოობას, თქვენ პირადად ღიარებთ, რომ ბავშვი თქვენია. ამიტომ თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 117, 124 და 125-ისა, თქვენ ვალდებული ხართ მისცეთ ბავშვს სარჩო-საზრდებელი. ის ფაქტი, რომ ბავშვი დაბადებულია ქორწინების გარეშე, სრულიად არ უკარგავს მას უფლებას თქვენგან ალიმენტის მიღებისათვის, ვინაიდან ყველა ბავშვები, მიუხედავად იმისა, დაბადებულნი არიან ისინი (კანონიერ) ქორწინებაში, თუ მის გარეშე, თანასწორი არიან ყველა უფლებებში (იხ. დეკრეტი № 28-ის მუხ. 104 და მისი შინსახკომატის ცირკულიარული განმარტება № 17 1924 წ. 31 მარტიდან). ამას გარდა თქვენს ფაქტიურ მეუღლეს აქვს უფლება, როგორც შრომის უუნარომოკლებულს (დედა, რომელსაც ჰყავს ბავშვი 8 წლის ჩასაკამდე ითვლება შრომის უუნარომკლებულად), თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 96 და 97-ისა მოითხოვოს თქვენგან სარჩო სასამართლოს წესით თავის ბინადრობის მიხედვით.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ ა.-კ. საფინანსო კომისარიატში. მაქვს ჯამაგირი ხუთი თუმანი (31 მან. ძირითადი და 19 მან. დატვირთვის) ვცხოვრობ კამოს ქუჩ. სახ. № 61-ში, მიკავია ოცი კვადრ. არშინიანი ოთახი, (ოთახი მომცა უძრავ ქონებათა სამმართველომ ორდერით) დღემდის ვიხდიდი 60 კაპ. თვეში. ეხლა სახლის პატრონი მეუბნება, რომ თანახმად ახალი დადგენილებისა უნდა გადაიხადოთ ბინის ქირა ორმაგადო. არ ვიცი როგორ მოვიქცე და ამისთვის გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირად. ვარ საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის წევრი (წიგნაკი № 4858).

კავშირის წევრი № 4858.

პასუხი

ახალი საბინაო ტარიფი დღემდის არ არის სავალდებულოდ შემოღებული და ძალაშია მხოლოდ ძველი. ამის მიხედვით, კი თითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ იხდით ერთ ნახევარ კაპეიკს (1,5 კაპ.).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარასკევს, 11 ივნისს, დღის 11 საათ. **კ. პრეზიდიუმის სხდომა.** თ. კ. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პარასკევს, 11 ივნისს, საღამოს 7 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია **საქართველოს კ.პ. (ბ). თ. კომიტეტის პლენუმი.** თ. კ. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ს კ. პ. (ბ) ც. კ. საავ. ქ.-განყ. სთხოვს ამხ. ვლადიმერ დიმიტრის ძე იაშვილს გამოცხადდეს სამი დღის განმავლობაში ცეკაში ოთახი № 14.

„დღეს, ხუთშაბათს, საღ. 7 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ბეჭვდითი განყოფილებაში დანიშნულია **წერკუმს-ის ცენტრალური გამგეობისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის კომფრაქციის გაფართოებული სხდომა.** დასწრება სავალდებულოა".

[illegible] ბით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს [illegible]

პეტრე სიმონის ძე ლორიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე 10 ივნისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათ. გამოსვენება შერემეტევის ქ. № 60. (დიდუბე). 2776

კლიმენტი ჭეიშვილი და ვიქტორ კაციტაძე ვაუწყებთ ნაცნობებს და მეგობრებს დაუვიწყარი და საყვარელი მეგობრის და ამხანაგის

პეტრე სიმონისძე ლორიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს კუკიის (წმინდა ნინოს) სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან, შერემეტევის ქ. № 60

ქ. 2772

ქ. გორის დრამატიული წრის დამწუხარებული წევრები და გულნატკენი ამხანაგები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და საზოგადოებას, რომ მდ. მტკვარში დაიღუპა მსახიობი

დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელი

დაკრძალვა მოხდება ქ. გორში ივნისის 10-ს. გამოსვენება გორის სამაზრო საავადმყოფოს შენობიდან ნაშუადღევის 4 საათზე.

ქვ. 2775

ნუგეშდაკარგული და იმედ მიხდილი მშობლები ნადეჟდა სიმონის ასული და ექიმი მიხეილ ნიკოლოზის ძე ჟორჟოლიანები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შავ მიწას მიაბარეს მათი ცხოვრების სილამაზე, ჭიკჭიკა-მალხაზი ბიჭუნა

ჯანიკო ჟორჟოლიანი

ქუთაისში. 12 ივნისი, დღის 11 საათი, საფიჩხიის სასაფლაო. ნ.

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
საზაფხულო
აპოლო
(არტის ბაღში, პლეხ. № 105).
ზოლეი
ნ. 1375 0—9

პრემიერა
ქალი მთის მწვერვალებიდან
ბარბალე ლა-მარის მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში „ქალი ცეცხლში" ასტეი ნილსენის მონაწილეობით.
შეუდარებელი მერი პიკფორდი სურათში
„შუქი სიბნელეში"
(კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა)
ანონსი: მალე პრემიერა გარი პილის მონაწილეობით.
მხატვრული დრამა 7 ნაწილად
„მიხაელი"

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8.
პლეხანოვის პროსპექტი, № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
2537 25—1

ა.-კავ. სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა

აცხადებს კონკურს აცხადებს

ოთხსართულიან ქვის სახლის პროექტის შედგენაზე (ნაწილობრივ სარდაფებით). სახლი უნდა აშენდეს ქ. თბილისში, მაჩაბლის (ყ. სერგიევის) და ლერმონტოვის ქუჩის კუთხეში.

საუკეთესო პროექტების წარმომდგენი მიიღებს

1. პრემია . . . . . 1.000 მან.
2. „ . . . . . 500 „

პროექტები წარმოდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1926 წლ. 10 ივნისისა. პროექტის შედგენის შესახებ საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ა. კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოში (სოლოლაკის ქ. 8). ყოველდღიურათ დღის 12-დან 14 საათამდე, ა. კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ცეცხლის განყოფილების გამგე ამხ. ჭელიძესთან ნ. 1412

ხდება ლიკვიდაცია
ქუთაისის
მეფუტკრეთა I ამხანაგობის
საზოგადო კრება შესდგება ქ. ქუთაისში 20 ივნისს
2760 სალიკვიდაციო კომისია.

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 12 ივნისს 1926 წ., დღის 12 საათზე, სახლში № 15, პეთხაინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის დავით დანიელოვის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას. შეფასებულს 190 მანეთად, ველისციხის გლეხკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად გურჯაანის უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 22 აპრილს 1926 წ. თარიღით, № 821, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2770

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—0

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის № 32. 25—

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალის. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 5—17

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82. 25—1 ქვ. 2356

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 2215 3—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე. პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ., საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი, №15.

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი, (ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ). მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა. ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18, შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

დაკარგა მატრიკული, მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდ. თეოდოსი სოლომონის ასულ სულავას სახელზე, ჩ. გ. 2768

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი გიორგი მიხეილის ძე მათურელის სახელზე, ჩ. გ. 2769

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 3991, მიშა აკოფოვის სახელზე, ჩ. გ. 2771

დაკარგა პირადობის მოწმობა ტრიფონ დავითის ძე იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2773

დაკარგა განათლების მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი რუსუდან ებრალიძის სახელზე, ჩ. გ. 2774

დაკარგა კ. პ. საკანდიდატო მოწმობა № 2324, კომკავშირის საწევრო მოწმობა, სამხედრო სამეცნიერო წრის მოწმობა, „ბოეც კაკას" ბათომის განყოფილების საწევრო მოწმობა და თვითმოქმედ ორგანიზაციების მოწმობები ვ. სერგოს ძე ძაბახიძეს სახელზე, ჩ. გ. 2773

დაკარგა თბ. ქალაქის ლომბარდის ქვითარი № 1700 ჩ. გ. 2777

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68